პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 16 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 160 (1905)

დღიური

- მოსკოვში ჩამოვიდენ ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.
- „როტე ფანე“ კაუტსკის წერილის შესახებ.
- გაფიცვები გერმანიაში, ინგლისში, ამერიკაში და ავსტრალიაში.
- მონღოლეთის დამოუკიდებლობის 6 წ. თავი.
- პატიმართა მღელვარება ბენდინის ციხეში (პოლონეთი).
- საბჭ. კავშირთან ვაჭრობის საკითხი დანციგის პარლამენტში.
- ქარიშხალი რუმინეთში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეულისათვის

ამჟამად მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელნი ატარებენ **თავდაცვის კვირეულს.** ამ კამპანიის აზრი ნათელია. ჩვენ გართული ვართ მშვიდობიან მუშაობაში და ვაწარმოებთ სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ საერთაშორისო მტაცებლური ბურჟუაზია ინგლისელ იმპერიალისტების მეთაურობით თავს გვახვევს ომს, რომ ამით ჩაშალოს ჩვენი მშვიდობიანი მუშაობა და შემდეგ კიდევაც ჩამოაგდოს საბჭოთა ხელისუფლება. მთელი ეს კონტრ-რევოლიუციონური ხროვა სცდილობს რათაც არ უნდა დაუჯდეს **აღადგინოს ჩვენში ძველი, რევოლიუციამდე არსებული წესრიგი, ე. ი. აღადგინოს თავის უფლებებში კაპიტალისტები და მემამულეები**, ანუ ლიკვიდაცია უყოს ყველაფერს იმას, რაც მოიპოვა რუსეთის და მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი ოქტომბრის რევოლიუციით. ამ ვაჟბატონებს და სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს სურთ ხელახლა დაიმონონ ჩვენი კავშირის მუშათა კლასი. ამ მიზნით ისინი გაძლიერებული ტემპით ამზადებენ ომს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, რისთვისაც იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და მის ლაქიებს, ე. ი. სოციალ-შოვინისტებს და გამცემ—მენშევიკებს როლები განაწილებული აქვთ შემდეგნაირად: ომის მომზადების მთელ მატერიალურ მხარეს აწარმოებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, პირველ რიგში ინგლისელი კონსერვატორები, ამ ბინძური ისტორიის მთელი იდეური მხარე კი ნებაყოფლობით იკისრეს მეორე ინტერნაციონალის სოციალისტებმა. პირველნი მიმართავენ ყოველგვარ ღონისძიებებს და ხმარობენ ყველა საშუალებებს იმისათვის, რომ გამოიწვიონ ახალი უსაშინელესი ომი, მეორენი კი ამავე დროს სცდილობენ დაუმტკიცონ მთელი ქვეყნის მუშებს, რომ არ არსებობს ახალი იმპერიალისტური ომის არავითარი საშიშროება, რომ ყველაფერი ეს ბოლშევიკების გამოგონილია. იმპერიალისტებს ამჟამად სწორედ ეს ესაჭიროება, რომ მუშები სრულებით არ ფიქრობდენ იმ საშიშროების შესახებ, რომელიც მოელის მათ.

ამრიგად მეორე ინტერნაციონალის სოციალისტები იმპერიალისტების სასიამოვნოდ სცდილობენ გაიმეორონ 1914 წლის ცდა, როდესაც მათ საზიზღრად მოატყუეს მუშათა კლასი და ჩაითრიეს იგი ძმათაშორის ომში.

ამ გამცემლებს სურთ იგივე ჩაიდინონ ახლაც.

შესძლებენ თუ არა ეს ვაჟბატონები ისევ გააბრიყვოს თავის ქვეყნის მუშები და ჩაითრიონ ისინი ძმათაშორის ომში? ვფიქრობთ, რომ ვერ შესძლებენ იმიტომ, რომ, ჯერ—ერთი, მუშათა კლასი საერთოდ პირველ მსოფლიო ომის შემდეგ ბევრად უფრო შეგნებული გახდა, ვიდრე იყო უმალ, და მეორე,—ჯერ კიდევ ყველას უდგია თვალისწინ წარსულ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტის საშინელებანი.

მიუხედავად ამისა საჭიროა ყოველივე ზომების მიღება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასი არ აჰყვეს ილიუზიას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ავრცელებს სოციალ-დემოკრატია, თითქოს არ არსებობს ახალი იმპერიალისტური ომის არავითარი საშიშროება. მაგრამ განსაკუთრებული სიფხიზლე ამ მხრივ უნდა გამოიჩინონ ჩვენი საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა, ვინაიდან საერთაშორისო მტაცებლურ ბურჟუაზიის თავდასხმის მთავარ ობიექტს წარმოადგენს სწორედ ჩვენი კავშირი. ფაქტებით არის დამტკიცებული, რომ ჩვენ არ გვსურს ომი, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ ვინმეს თავს დავესხათ, მაგრამ, დეე იცოდეს ყველამ, რომ შესაძლოდ ჩვენ არავის არ დავანებებთ თავს. ჩვენ ახლაც საკმაოდ ძლიერი ვართ წინააღმდეგობის გაწევისა და თავდაცვისათვის. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გავადიდოთ ჩვენი სამხედრო ძლიერება. ამიტომ ჩვენ არ უნდა დავაყოვნოთ არც ერთი წუთი და ამთავითვე უნდა მოვკიდოთ ხელი სამხედრო მომზადებას ჩვენი კავშირის თავდაცვისათვის, დიადი ოქტომბრის მონაპოვართა ყოველ მხრივ თავდაცვისათვის. ჩვენი კავშირის მუშებმა და გლეხებმა უნდა ისე მოაწყონ თავდაცვა, რომ გამორიცხული იქნეს იმპერიალისტების გამარჯვების რაიმე შესაძლებლობა. ჩვენი ლოზუნგი მომავალ ომში იქნება: **რათაც არ უნდა დაგვიჯდეს დავიცვათ საბჭოთა სახელმწიფო საერთაშორისო მტაცებლურ და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ყოველგვარ თავდასხმისაგან** და ყოველმხრივ დავიცვათ მუშათა და გლეხთა ინტერესები. საჭირო არაა ზედმეტი სიტყვები. მუშებს და გლეხებს ყველაფერი ეს მშვენივრად ესმით. ამჟამად ჩვენ გვესაჭიროება პრაქტიკული ღონისძიებანი თავდაცვის მოწყობის საქმისათვის, გვესაჭიროება სწორი ჩვენება, თუ როგორ მოაწყონ მუშებმა და გლეხებმა საუკეთესოდ ეს თავდაცვა. თუ კი ოდესმე ყოფილა საჭირო მთელი ჩვენი კავშირის მუშების და გლეხების შემჭიდროება და ერთსულოვნება, განსაკუთრებით საჭიროა ეს ამჟამად. საბჭოთა კავშირის მშრომელთა რკინისებური შეკავშირება უნდა დაემყაროს იმ დებულებას, რომ თუ იფეთქა ომმა, საფრთხის ქვეშ იქნება დაყენებული არა მარტო საბჭოთა ხელისუფლება, არამედ თვით მუშათა და გლეხთა ფიზიკური არსებობაც. და აი, იმიტომ თითოეული მუშა და გლეხი, თითოეული მშრომელი ქალი არა მარტო დაინტერესებული უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში, არამედ, რაც მთავარია, ყველა ისინი თითონ უნდა იქნენ ჩაბმული თავდაცვის საქმეში; ამ მხრივ ჩვენ უნდა შევსძლოთ, რომ **მთელმა შრომის უნარიანმა მოსახლეობამ მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა** სახელმწიფოს თავდაცვაში. ამას კი ჩვენ მივაღწევთ მაშინ, როდესაც ყოველ მუშა და გლეხს ეცოდინება თოფის მოხმარა, საკმაოდ იქნება გაცნობილი ახალი ომის წარმოების საშუალებებს, განსაკუთრებით ქიმიურ და საჰაერო ომის ხერხებს, და ეცოდინება, როგორ მოიქცეს ასეთ შემთხვევაში (აეროპლანების თავდასხმა, შხამიანი გაზები და სხვა), ამ მხრივ ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. თავდაცვის კვირეულით ეს მუშაობა მხოლოდ იწყება, მაგრამ სრულებითაც არ თავდება.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ ამ მხრივ საქართველოში, და განსაკუთრებით **გლეხობაში.** გლეხობა იმდენადვეა დაინტერესებული საბჭოთა ხელისუფლების თავდაცვაში, როგორც მუშები. მაგრამ ამავე დროს დღემდე ის ძლიერ მცირედ არის ამოძრავებული. აქ ბრალი უმთავრესად ედება ხელმძღვანელ ორგანოებს, ჩვენ ყველას. თუ თბილისის პროლეტარიატი აწყობს თანხების შეგროვებას თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ასაგებად, თუ საქართველოს პროფკავშირები აწყობენ ასეთსავე შეგროვებას თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები“-ს ასაგებად, უკვე დროა, რომ **მთელ საქართველოს გლეხობისათვისაც** გადასროლილ იქნას ლოზუნგი თვითმფრინავ **„ქართველი გლეხი“**-ს ასაგებად თანხების შეკრების შესახებ. მე მგონია, რომ ასეთი თვითმფრინავის, „ქართველი გლეხი“-ს აგება იქნებოდა ჩემბერლენისა და მისი კომპანიისათვის ღირსეული პასუხის გაცემა საქართველოს გლეხების მხრივ.

ეს ლოზუნგი უნდა გადაისროლონ **საქართველოს სასოფლო და სათემო საბჭოებმა.**

დეე იცოდეს ყველამ, რომ **ჩვენი საბჭოთა კავშირის თავდაცვა თვით მშრომელი მასების საქმეა.**

ძირს ახალი იმპერიალისტური ხოცვა ჟლეტა!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სამხედრო თავდაცვას!

ფ. მახარაძე.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

კომინტერნის ყველა სექციები და მთელი ჩვენი საკ. კ. პ. (ბ) უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მოვლენათა მსვლელობას ჩინეთში. უდიდეს ტანჯვაში და გენერლების ღალატის ორთურმაში აქ სწარმოებს დიადი ბრძოლა ჩინეთის მუშათა და გლეხთა გასათავისუფლებლად. ათასი ლახვარი ხვდება ზურგში ამ მოძრაობას, საშინელ დამარცხებებს განიცდის და უამრავ მსხვერპლს იღებს იგი. კომინტერნის ყველა სექციები და ჩინეთის რევოლიუციის ყველა პატიოსანი მომხრენი კმაყოფილებით მიიღებენ კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომის დადგენილებას ჩინეთის რევოლიუციის მიმდინარე მომენტის შესახებ.

კომინტერნის აღმასკომის ეს დადგენილება, რომელიც დაბეჭდილი იყო „პრავდა“-ს გუშინდელ ნომერში, იძლევა ჩინეთის კლასიური ბრძოლის დღევანდელი ეტაპის ლენინურ შეფასებას და განსაზღვრავს ამ ბრძოლის კონკრეტულ შინაარსს. ჩინეთის დღევანდელი განსაკუთრებით რთული ურთიერთობის ლენინურად აღრიცხვა აუცილებლად საჭიროა. მომენტის ფხიზლად შეფასების გარეშე შეუძლებელია მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

საჭიროა ნათლად იქნას გარკვეული კლასიურ ძალთა დღევანდელი ურთიერთობა ჩინეთში, საჭიროა გაგებულ იქნას ქვეყნის სოციალურ მოძრაობათა მთელი მექანიკა; საჭიროა იმის გაგება, რომ აგრარულ რევოლიუციის მსვლელობა ამჟამად აკავშირებს მუშათა, გლეხთა და ქალაქის ღატაკთა ფრონტს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით საერთო კონტრ-რევოლიუციონურ მტრის და ყველა მქონებელთა წინააღმდეგ; უნდა გამოტანილ იქნას სათანადო დასკვნა გენერალიტეტის და ოფიცერთა კორპუსის გამცემლობის და განდგომის ფაქტიდან; უნდა გარკვეულ იქნას უხანის ეროვნული მთავრობის დღევანდელი კონტრ-რევოლიუციონური როლი და გომინდანის ხელმძღვანელ წრეების კონტრ-რევოლიუციონური გადაგვარება; უნდა აღრიცხულ იქნას ყველა უდიდესი შეცდომები ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობაში.—უამისოდ შეუძლებელია სტრატეგიულად და ტაქტიკურად სწორი და ჭეშმარიტად რევოლიუციონური ხელმძღვანელობის გაწევა მასების მოძრაობისათვის ბრძოლის ამ უაღრესად საპასუხისმგებლო და კრიტიკულ ფაზაში.

კომინტერნის დადგენილება იძლევა ნათელ ლენინურ პასუხს ჩინეთის ბრძოლის მიმდინარე მომენტის ყველა კითხვებზე.

არის თუ არა კომინტერნის გადაწყვეტილებებში ჩინეთის საკითხის შესახებ ლოღიკური თანამიმდევრობა? დიახ, ასეთი თანამიმდევრობა უთუოდ არის კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებში, დირექტივებში და რეზოლიუციებში.

მხოლოდ პოლიტიკის მოსამზადებელ კლასში მყოფს, ან ძირითადი ფაქტების და საბუთების არამცოდნეს, რომელიც აჰყოლია ოპოზიციის თეორეტიულ მანდარინების ცილის-მწამებლურ მტკიცებებს, შეუძლია დასვას „განცვიფრებული“ კითხვა:—ეს როგორ იქნება?

გუშინ ერთი, დღეს მეორე, გუშინ უხანი—რევოლიუციონური ცენტრი, დღეს ის—კონტრ-რევოლიუციონური ჯაჭვის რგოლი; გუშინ—მხარის დაჭერა უხანის მთავრობისთვის, დღეს—დემონსტრატიული გამოსვლა უხანის მთავრობიდან? განა დასაშვებია ასეთი ორთურმა?

დიახ, დასაშვებია,—ამბობს ბოლშევიზმი. არა თუ დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა. ტაქტიკისა და ლოზუნგების დიალექტიკა მხოლოდ გამოხატავენ რეალური რევოლიუციონური პროცესის დიალექტიკას. გუშინ საჭირო იყო მხარის დაჭერა უხანისათვის, იმიტომ, რომ ის იყო ჩან-კაი-შის ნანკინის მოწინააღმდეგე. სამი დღის წინად საჭირო იყო მხარის დაჭერა ლაშქრობისათვის ჩრდილოეთისაკენ, იმიტომ, რომ ის ხელს უხსნიდა რევოლიუციას. მაგრამ რევოლიუციის თანდათანი განვითარება ერთი-მეორის მტრად ხდის გუშინდელ მომხრეებს და ნახევრად მოკავშირეებს. ამიტომ დღეს რევოლიუციას „იგივე აფერხებს“, რაც მას გუშინ ანვითარებდა, ამიტომ დღეს საჭიროა დაუყოვნებლივ, თვითეული წამის დაუკარგველად, გამოსვლა უხანის მთავრობიდან მისი რამდენადაც შესაძლებელია დაუხდობელი გამოაშკარავება, გამოაშკარავება გომინდანის ზედა წრეებისა, გამოაშკარავება ვან-ტინ-ვეის და სხ. ტიპის წვრილბურჟუაზიულ რადიკალების მერყეობისა. საკმარისია მოვიგონოთ ლენინის ცნობილი წერილი „ლოზუნგების შესახებ“, რომ გავიგოთ, თუ რას ნიშნავს, ბოლშევიკური თვალსაზრისით, ხაზის მემკვიდრეობა რევოლიუციონურ ბრძოლაში. რევოლიუციონური ხაზის ამ მემკვიდრეობას ჩვენ ვხედავთ ჩინეთის რევოლიუციის განვითარების ფაზების ანალიზში, რომელიც მოცემულია კომინტერნის მიერ, და კომინტერნის ყველა გადაწყვეტილებებსა და დირექტივებში.

კომინტერნს აქვს ხაზის მემკვიდრეობა, მაგრამ კომინტერნის წინააღმდეგ მებრძოლ „ოპოზიციონურ მებრძოლებს“ სრულიად არ ატყვიათ, რომ ისინი იცავდენ ხაზის მემკვიდრეობას. კომინტერნის ეს „ოპოზიციონური მებრძოლები“ ხან გამოდიოდენ ოთხი კლასის ბლოკის (რადეკი) ოპორტიუნისტულ დამცველებად, და თავის „შრომებს“ უძღვნიდენ მემარჯვენე გომინდანს (ალსკი), ხან თავის - თავს აცხადებდენ „ყველაზე მეტ მყვირალათა ფრაქციად“ და იძლეოდენ წინადადებას, რომ იმპერიალისტურ ზარბაზნების ლულის ქვეშ შანხაიში მოწყობილიყო აჯანყება (ზინოვიევი), აჯანყება, რომელიც აუცილებლივ გამოიწვევდა ათასობით შანხაელი მუშების დახვრეტას, და ხან კომინტერნს აბრალებდენ მენშევიზმს (მთელი ოპოზიციონური ჯგუფი).

კომინტერნმა თავის დადგენილებაში გადაჭრით და მკაცრად გააკრიტიკა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა. მაგრამ ასეთი მკაცრი კრიტიკა აბსოლიუტურად აუცილებელია იმათთვის, ვინც იხრებოდა ოპორტუნიზმისაკენ და არღვევდა კომინტერნის პროლეტარულ დისციპლინას.

რევოლიუციონურ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც მოვლენები გრიგალივით მიჰქრიან, როდესაც სწრაფად იცვლება მდგომარეობა, როდესაც „მოკლდება ბრძოლის ეტაპები“ დროში და როდესაც საჭირო ხდება მთავარ დირექტივების სწრაფი შეცვლა. მაგრამ მით უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთ. და მაშინ, როდესაც ჩინეთის კომკავშირმა შესძლო სწორ პოზიციაზე დადგომა, როდესაც ჩინეთის კომპარტიის მასები აწარმოებენ გმირულ და თავდადებულ მუშაობას ქვედა ფენებში, მით უფრო დასაგმობია ხელმძღვანელთა ოპორტიუნიზმი. ხელმძღვანელთა წრე, რომელიც დასტურს იძლევა მუშათა განიარაღებისათვის, რომელიც არღვევს დისციპლინას. არ ემორჩილება დირექტივებს, რომელიც აკავებს მასებს და უფრთხის აგრარულ რევოლიუციას, რომელიც ვერ პოულობს საკმაო გამბედაობას, რომ გამოვიდეს უხანის კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობიდან — ხელმძღვანელთა ასეთ წრეს აუცილებლად ესაჭიროება გაჯანსაღება და განახლება. სწორედ ასეთი აზრი აქვს კომინტერნის გადაწყვეტილებებს. თავის ხელმძღვანელთა ოპორტიუნიზმის დაძლევა, ეს არის სასწრაფო და პირველი რიგის ამოცანა, „ძირითადი რგოლი“. რომელსაც ჩინელმა ამხანაგებმა ხელი უნდა მოჰკიდონ უწინარეს ყოვლისა.

იმ მძიმე დამარცხებათა და დიდი მსხვერპლის მიუხედავად, რაც განიცადა ჩინეთის რევოლიუციამ, კომინტერნი შორსაა იმ პანიკურ, უაღრესად მავნე აზრიდან, თითქო საჭიროა ჩინეთის რევოლიუციაზე „ჯვარის დასმა“. კომინტერნი ფიქრობს, რომ თანდათან გაფართოებულ კლასიურ ბრძოლის მშფოთვარე ალში შეიძლება შეიქნეს და ბოლოს და ბოლოს შეიქმნება კიდეც ახალი რევოლიუციონური კერები, რომ ყველა ძალები უნდა გადასროლილ იქნან რევოლიუციონური პერსპექტივის გასამარჯვებლად. კომინტერნის აღმასკომი სრული უფლებით დაასკვნის, რომ „ჩინეთის რევოლიუციის მსვლელობამ პოლიტიკურ ცხოვრებაში და პოლიტიკურ მოქმედებაში ჩააბა მუშების და გლეხების ისეთი ფართო მასები, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია მათი მოძრაობის ჩაქრობა“.

„პრავდა“.

მოსკოვი, 15 ივლისი.

ლორდთა პალატის რეფორმა

(წერილი ინგლისიდან)

ძნელი სათქმელია სად გაჩერდება ბოლდუინის მთავრობა რეაქციის გზაზე. მემაღაროების წინააღმდეგ მიმართული იერიშებისა, ჩინელ მუშებზე თავდასხმისა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული შეტევის შემდეგ, ის შეუდგა ლორდთა პალატის რეფორმის განხორციელებას.

ამ შემთხვევაში ბოლდუინის მთავრობა სცდილობს ბარიერი ამართოს მუშათა პარტიის წინაშე და შეუძლებელი გახადოს ამ პარტიის მთავრობის დაბრუნება. მაგრამ რეაქციის უკიდურესი ზომები აუცილებლათ აღელვებას გამოიწვევს მუშათა მოსახლეობაში. ეს კარგათ ესმის კონსერვატორთა პარტიას. ამიტომ ის წინასწარ ზომებს ღებულობს რათა უზრუნველჰყოს ანტიმუშური კანონების არსებობა მომავალში და შეინარჩუნოს კონტროლი ინგლისის საქმეებსა და პოლიტიკაზე, თუნდაც ხელისუფლება ოპოზიცია დაუბრუნდეს.

აქედან წარმოსდგება ზედაპალატის რეფორმის პროექტი.

დღეს ეს პალატა 726 წევრისგან შესდგება, რომელთა უფლება მემკვიდრეობით გადადის. ამათგან ერთი მესამედიც არ იწუხებს თავს, რომ ცოტათ თუ ბევრად რეგულიარულად დაესწროს სხდომებს. ომის დამთავრების შემდეგ მაქსიმალური რიცხვი იმ ლორდებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამა თუ იმ კენჭისყრაში, არასოდეს არ გადასცილებია 200.

მთავრობა ამ გარემოებას იყენებს, რათა ზედა პალატის წევრების რიცხვი შეამციროს. პროექტის მიხედვით მომავალი ზედაპალატის შემადგენლობა მხოლოდ 350 წევრით უნდა განისაზღვროს.

ახალი ლორდთა პალატა შემდეგნაირად შესდგება: სამეფო სისხლის ლორდები, ეპისკოპოსები, უზენაესი სასამართლოს წევრები; დანარჩენი არჩეულნი იქმნებიან ამ ლორდების მიერ, ხოლო რამდენიმე წევრს მეფე დანიშნავს მთავრობის წარდგენის შემდეგ. ამ უკანასკნელთა რიცხვი მტკიცეთ უნდა იყოს განსაზღვრული. შთამომავლობით ლორდები ეპისკოპოსები და მსაჯულები ზედაპალატის წევრებათ რჩებიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში. დანარჩენი 12 წლით აირჩევიან, ისე რომ მათი შემადგენლობის განახლება ყოველ 4 წელიწადში უნდა მოხდეს სამესამედოთ.

ამ რიგათ კონსერვატორებს მუდამ უმრავლესობა ეყოლება ლორდთა პალატაში.

გავიხსენოთ ისტორიული ფაქტები. 1910 - 11 წელს, უკანასკნელი დიდი კრიზისის დროს ლორდთა პალატის საკითხის შესახებ, იმდროინდელი პრემიერ მინისტრი ასკვიტი იძულებული გახდა მეფისთვის მიემართა, რათა მას ლიბერალი ლორდები დაენიშნა ზედაპალატაში და ამრიგათ კეთილგანწყობილი უმრავლესობა შეედგინა. მხოლოდ ამ გზით მიაღებინა მან ლორდთა პალატას თემთა პალატის მიერ მიღებული აქტი, რომელიც ზედაპალატის უფლებებს ჰკვეცდა.

ეს კრიზისი გამოიწვია იმ შემთხვევამ, რომ ზედაპალატამ უარი სთქვა მიეღო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ლოიდ ჯორჯმა წარადგინა და ქვედა პალატამ დაამტკიცა. არჩევნები ხელსაყრელნი აღმოჩნდენ ასკვიტისათვის და მან ეს გარემოება გამოიყენა ზედაპალატის უფლებების შესაკვეცად.

ბოლდუინის მთავრობას სწორეთ ამ 1910-11 წელს მიღებული აქტის მოსპობა სურს.

1910-11 წ. აქტმა ლორდთა პალატას წაართვა უფლება უარჰყოს ისეთი კანონპროექტი, რომელიც ასე თუ ისე სახელმწიფოს ფინანსებს ეხება. ახლანდელ მთავრობას სურს ხელახლა აღადგინოს ეს ფეოდალური უფლება. და აი როგორ:

დღეს თემთა პალატის სპიკერი (თავმჯდომარე) სწყვეტს ფინანსიური ხასიათისაა თუ არა ესა თუ ის კანონპროექტი. მომავალში ეს საკითხი უნდა გადასწყვიტოს შერეულმა კომისიამ, რომელშიც კონსერვატორ - ლორდებს უმრავლესობა ეყოლებათ.

ამ რიგათ ლორდებს ყოველთვის შეეძლებათ კომისიის შემწეობით განაცხადონ, რომ მათთვის არასასიამოვნო კანონპროექტი არ შედის ფინანსიურ კანონპროექტების კატეგორიაში. მაგალითად მთავრობის კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ყოველი კანონპროექტი რომელსაც გავლენა აქვს მუნიციპალურ ნიხრზე, არ შედის ფინანსიურ კანონპროექტთა კატეგორიაში. დიდი გონებამახვილობა არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს ყოველგვარ კანონპროექტს შეუძლია ასე თუ ისე გავლენა მოახდინოს მუნიციპალურ ნიხრზე და მაშასადამე ვერ შევა იმ ფინანსიურ კანონპროექტების რიცხვში,რომელსაც თემთა პალატა ამტკიცებს ლორდთა პალატის დაუდასტურებლად.

მთავრობის პროექტი ფარულად სცდილობს უკან დაუბრუნოს ლორდთა პალატას ის უფლებები, რომელიც მას 1910-11 წლის აქტმა წაართვა.

მაგრამ კანონპროექტი აქ როდი ჩერდება. ყოველი ხიფათის თავიდან ასაცილებლად ის აცხადებს, რომ ლორდთა პალატის კონსტიტუციისა და უფლებების შეცვლა შეუძლებელია, თუ თვით ლორდთა პალატის თანხმობა არ იქმნა. სინამდვილეში ამ კანონპროექტის მიზანია ლორდთა პალატას უპირატესობა მიანიჭოს სახელმწიფოში, როგორც თემთა პალატისა, ისე მთავრობის წინაშე.

ის გულისხმობს აგრეთვე, რომ ლორდები, რომელნიც არჩეულნი არ იქნებიან ზედაპალატაში, შეიძლება ქვედა პალატაში იქმნან არჩეულნი, რაიც დღემდე შეუძლებელი იყო. თავის თავათ კი ეს კანონპროექტი მხოლოდ განმეორებაა ლორდ რაიზბერის წინადადებისა, რომელიც ამ უკანასკნელმა 1911 წელს წარმოადგინა საპარლამენტო დებატების დროს.

ბოლდუინის მთავრობა უარყოფს, რომ ამ პროექტს ანტიმუშური ხასიათი აქვს, მაგრამ სამაგიეროთ ჰერცოგ, ნორტჰუმბერლანდი და ლორდი ბირკენჰედი გულწრფელად აღიარებენ ამას. პირველმა განაცხადა, რომ ლორდთა პალატის რეფორმა უძლიერეს ბარიერს წარმოადგენს სოციალიზმის საფრთხის წინააღმდეგო. მეორემ კი პირდაპირ განაცხადა, რომ ამ კანონპროექტს დღევანდელი მთავრობა უეჭველად თემთა პალატის დღის წესრიგში დასვამს მომავალი წლის დასაწყისშიო.

მუშათა პარტიას ერთხელ კიდევ გაფრთხილება ეძლევა. ის პროტესტს აცხადებს, ეს პროტესტი ალბად რამდენჯერმე განმეორდება, როგორც ანტი-ტრედიუნიონისტური კანონის მიღების დროს მოხდა. მაგრამ ამ სიტყვიერ კორიანტელს, რომელსაც არავითარი ენერგიული მოქმედება არ მოსდევს, იმდენივე გავლენა აქვს, რამდენიც ნელს სიოს ზღვის ზედაპირზე.

ლონდონი, 30 ივნისი.

კ. დავიდ.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ჩინეთის ბურჟუაზიის სამხედრო ძალთა გაერთიანებამ და რევოლიუციისაგან გათიშვამ არამც თუ არ გააძლიერა ჩრდილოელ მილიტარისტების საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაციები, არამც თუ არ წასწია ნანკინის მთავრობის ჯარები წინ ბრძოლის ასპარეზზე, პირიქით, დღევანდელი დეპეშები ადასტურებენ, რომ როგორც ჩან-კაი-შის ჯარებს აღმოსავლეთით, ნანკინ-ტიანძინის რკინის გზის მიმართულებით, ისევე ფინ-იუი-სიანის ჯარებს დასავლეთით კაი-ფინ-ჩენ-ჯოუს მიმართულებით წილად საგრძნობი მარცხი ხვდათ.

დღევანდელ დეპეშის ცნობით შანდუნის ჯარებს წაურთმევიათ ჩან-კაი-შის ჯარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი სუი-ჯოუ და ფინ-იუი-სიანიც იძულებული გამხდარა თავისი მთავარი შტაბი ჩენ-ჯოუდან ლოიანში გადაეტანა.

მართალია, ჩან-კაი-შის დამარცხებას დეპეშა იმით ხსნის, რომ ვითომ მისი ჯარი შესუსტებული იქმნა, რადგანაც ნაწილი ამ ჯარისა გაგზავნილია უხანის წინააღმდეგ. თუ მართლა ეს არის მიზეზი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩან-კაი-შისათვის არა მილიტარისტებთან ბრძოლა ყოფილა მთავარი და პირდაპირი მიზანი, არამედ ჩინეთის გლეხობის და მუშების მოძრაობის ჩახრჩობა, როგორც ეს ჩვენთვის იმთავითვე ცხადი იყო. მით უმეტეს ეს აღსანიშნავია, რომ ამჟამად უხანის მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი და საშიში რამ ნანკინის მთავრობისათვის არ არსებობს. იგივე ფაქტი და საქციელი ჩან-კაი-შისა აშკარად მოწმობს, რომ ამჟამად ჩინეთის აგრედ წოდებული ლიბერალური ბურჟუაზია, ბოლო დროს კონტრ-რევოლიუციაში გადასული, ეხლა ამჯობინებს ჩინეთის მშრომელ მასებთან სვლის მაგიერ, უცხოელ იმპერიალისტებისაკენ გადახრას, რადგანაც ჩან-კაი-შის აშკარა გალაშქრება რევოლიუციის წინააღმდეგ პირველ ყოვლისა ნიშნავს იმპერიალისტებისათვის დიდს მოგებას.

ამრიგად ჩინეთის ბურჟუაზიამ, რევოლიუციის გაღრმავებით შეშინებულმა ზურგი უბრუნა და გაეთიშა ამ რევოლიუციას. ეხლა იგივე ბურჟუაზია მზად არის უღალატოს თვით ჩინეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ იდეას. თავისთავად ცხადია, რომ ბრძოლა ჩინეთის რევოლიუციონურ გლეხობასთან და მუშებთან დიდ დროს და ძალებს მოითხოვს და, რასაკვირველია, ამ გარემოებაში მოსალოდნელია, რომ ჩრდილოელი მილიტარისტები წელში გასწორდებიან და მდგომარეობით ისარგებლებენ, რათა დაიბრუნონ ის, რაც წინად სამხრეთელებმა წაართვეს.

ასევე მოიქცევიან უცხოელი იმპერიალისტები და როდესაც ჩან-კაი-შის და ფინ-იუი-სიანის ჯარები ჩაებმებიან რევოლიუციონურ გლეხობის და მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს იმპერიალისტები სულ სხვა კილოთი ილაპარაკებენ და სხვა ტემპით იმოქმედებენ.

მართალია, ჩინეთის რევოლიუცია ჯერ კიდევ განიცდის ღრმა და საშიშ კრიზისს, მაგრამ შეიძლება ახლო მომავალში ასეთივე კრიზისი დაუდგეს ჩინეთის ბურჟუაზიას და თვით მის ბანაკში დაიწყოს რყევა და რღვევა და კვლავ ინიციატივა სამხედრო მოქმედებაში უფრო რევოლიუციონურად განწყობილ ელემენტების ხელში გადავიდეს.

ი. გედევანიშვილი.

ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა განცხადება მოსკოვში

„გზა საბჭ. კავშირის და ამერიკის ურთიერთ-გაგებისა და დაახლოებისათვის ნაპოვნი იქნება.—შორს არ არის ის დრო, როცა ვაშინგტონი იხილავს საბჭოთა ელჩს“

მუშათა პარტიის წარმომადგენლების სიტყვები თემთა პალატაში ხიკსის პოლიტიკის წინააღმდეგ

ახალი უთანხმოება სამთა კონფერენციაზე.—იაპონია არ ეთანხმება ინგლსს და ამერიკას

ამერიკის საქმიან წრეების წარმომადგენლები მოსკოვში

მოსკოვი, 15 ივლისი. სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოს პრეზიდიუმის ინიციატივით, საქმიან კლუბში მოეწყო მოსკოვში ჩამოსულ ამერიკის საქმიან წრეების წარმომადგენლების შეხვედრა საბჭოთა სამეურნეო მუშაკებთან და სინდიკატების, ტრესტების, ბანკების და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საქმიანი კლუბი ინახულეს სენატორმა ფრანკ ფეიმ, ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო პალატის მდივანმა **სმიტმა,** ცნობილმა ვაშინგტონელმა ადვოკატმა,—მსხვილ ამერიკულ ფირმების წარმომადგენელმა **დინაიტმა,** ამერიკის უდიდეს კინო-ფირმის წარმომადგენელმა **მაიერმა,** მსხვილ სამრეწველო კორპორაცია „ინდუსტრი კორპორეიშენ“-ის მეთაურმა ბიმისმა, ცნობილ ამერიკულ ფირმების წარმომადგენელმა **დევისმა** და სხ.

ვაჭრობის ყრილობათა საბჭოს სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. დანიშევსკი.

მისალმების საპასუხოდ გამოვიდა სენატორი ფეი რომელმაც განაცხადა, რომ **საბჭოთა კავშირში მოგზაურობისაგან მიღებული შთაბეჭდილება საშუალებას აძლევს იფიქროს, რომ გზა ურთიერთშორის გაგებისათვის და დაახლოებისათვის გამონახული იქნება. დინაიტმა იმედი გამოსთქვა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ვაშინგტონში დაარსდება საბჭოთა საელჩო.**

უცხოეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოების სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. კამენევა. (ადს).

დანციგი და საბჭოთა კავშირი

დანციგის მთავრობა იღებს ზომებს საბჭ. კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გასაფართოებლად

ბერლინი, 14 ივლისი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა დანციგის სავაჭრო წრეების წარმომადგენლებმა გააკეთეს სენატში მოხსენება თავის მგზავრობის შედეგების შესახებ. მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დანციგის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გასაცხოველებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სარკინიგზო ტარიფებს. ამ საკითხის გარშემო დიდი ხანია სწარმოებს მოლაპარაკება დანციგსა და პოლონეთს შორის. **დანციგის მთავრობამ, საბჭოთა კავშირში საინფორმაციო მგზავრობის შედეგებთან დაკავშირებით, გადასწყვიტა მიიღოს ყოველგვარი ზომები პოლონეთ - დანციგის მოლაპარაკების დასაჩქარებლად. ამავე დროს მოლაპარაკებას გამართავენ დანციგის იმ წრეებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით. (ადს).**

სამთა კონფერენცია

განიარაღების ნაცვლად შეიარაღება

ბერლინი, 14 ივლისი. უცხოეთის გაზეთების ცნობით, განიარაღების კონფერენციაზე ინგლისი და ამერიკა შეთანხმდენ. ახალი კრეისერების აგების საკითხში.

იაპონია, რომელიც ასეთი შეთანხმების ძალით, იძულებულია გააძლიეროს სამხედრო გემების მშენებლობა, უკმაყოფილოა მოლაპარაკების მსვლელობით და აპირებს კონფერენციიდან წასვლას (ადს).

იაპონია უკმაყოფილოა

ბერლინი, 14 ივლისი. იაპონიის დელეგაციის წევრმა **საბურიმ** განუცხადა რეიტერის სააგენტოს ჟენეველ კორესპონდენტს, რომ იაპონიის დელეგაციას არ შეუძლია იაპონიაში დაბრუნება პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო მშენებლობის გაფართოებას. „იაპონია, — განაცხადა მან, — მხარს უჭერს ინგლის - ამერიკის შეთანხმებას, **მაგრამ თუ ამ შეთანხმებამ მოითხოვა იაპონიისაგან თავისი საზღვაო მშენებლობის გადიდება, ის იძულებული გახდება უარი სთქვას ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღებაზე.** შესაძლებელია შეთანხმება შეერთებულ შტატებსა და ინგლისის შორის, იაპონიის მონაწილეობის გარეშე, თუმცა ასეთ შეთანხმებას არ თანაუგრძნობენ ვაშინგტონში, ვინაიდან ანგარიშს უწევენ იაპონიის შესაძლებელ უკმაყოფილებას ამ შემთხვევაში“. (ადს).

გაფიცვა და ლოკაუტი

კელნში

ბერლინი, 14 ივლისი. მუშა-მელითონეთა ლოკაუტი კელნში უკვე გატარდა თითქმის ყველა იმ წარმოებებში, რომელთა მეპატრონენი მონაწილეობენ ლითონის მრეწველთა კავშირში.

ლოკაუტი შეეხო 22000 მუშას. გადაწყვეტილება ლოკაუტის გამოცხადების შესახებ მიღებულ იქნა მრეწველთა კრებაზე.

რეინის წისქვილების მუშათა ნაწილობრივი გაფიცვა გათავდა გაფიცულთა გამარჯვებით: განახლებულ მოლაპარაკების შემდეგ მუშებმა მიაღწიეს 48 საათის სამუშაო კვირის შემოღებას. (ადს).

გაფიცვა ავსტრალიის შაქრის პლანტაციებზე

ლონდონი, 14 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტის ცნობით ბრისბენიდან (ავსტრალია), კვინსლენდის შაქრის პლანტაციებზე გაფიცვები დაიწყო. გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო შაქრის პლანტაციების და ქარხნების მუშები, არამედ მტვირთავები და მეზღვაურები. კერნში სადაც სწარმოებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საზღვაო ვაჭრობა შაქრით, გაფიცვები სერიოზულ მუქარას წარმოადგენენ მთელი კვინსლენდის რაიონის შაქრის მრეწველობისათვის. (ადს).

„როტე ფანე“ კაუტსკის წერილის შესახებ

ბერლინი, 14 ივლისი. გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ კაუტსკის წერილის გამო სწერს.

„ახლა ყოველი მუშისთვის აშკარაა კავშირი ერთის მხრივ ჩემბერლენის სტრატეგიისა და ტაქტიკის და მეორეს მხრივ მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკის შორის. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმაშეწონილად მომზადების სისტემაში შედის ის გარემოება, რომ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ჩემბერლენი საექსპედიციო კორპუსებს გზავნის აზიაში, მეორე ინტერნაციონალი აყენებს საკითხს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აჯანყებების მოწყობის შესახებ აზიის მოსაზღვრე ოლქებში. **კაუტსკის წერილი მისი პირადი საქმე კი არაა—ის გამოხატავს მთელი მეორე ინტერნაციონალის სოციალ - იმპერიალისტურ პოლიტიკას. მაგრამ კაუტსკის პოზიციას არაფერი არა აქვს საერთო სოციალ - დემოკრატ მუშების უმეტესობის პოზიციასთან: — მუშები ოპოზიციაში უდგიან თავისი ლიდერების სოციალ-იმპერიალიზმს“.** (ადს).

ჩერჩილის სიტყვის გარშემო

ლონდონი, 14 ივლისი. ჩერჩილის მიერ ვაჭრმრეწველთა ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვის გამო პოლიტიკურ წრეებში ხაზს უსვამენ ამ სიტყვაში გამოთქმულ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ შესაძლებელია კონსერვატორების და მუშათა პარტიის მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში. ეს აზრი, რომელსაც ბევრი კონსერვატორი იზიარებს, წარმოიშვა იმ პროტესტის შედეგად, რომელიც განაცხადა პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ კონტრ-რევოლიუციონერების დახვრეტის გამო მოსკოვში. (ადს)

საოკუპაციო ჯარი

ლონდონი, 14 ივლისი. თემთა პალატაში სამხედრო მინისტრმა **ევანსმა** პასუხი გასცა შეკითხვაზე საოკუპაციო ჯარების რაოდენობის შესახებ რეინის ოლქში. მან განაცხადა, რომ **საოკუპაციო ჯარი შესდგება 7300 ინგლისელ, 56500 ფრანგ და 6300 ბელგიელ ჯარისკაცისაგან** (ადს).

არეულობა ციხეში

ვარშავა, 14 ივლისი. ბენდინსკის სატუსაღოში მოხდა არეულობა. პოლიტიკურმა პატიმრებმა სატუსაღოს ადმინისტრაციას წაუყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებები. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

უ-პეი-ფუს განადგურება

ხანკოუ, 14 ივლისი. სამხედრო ხელისუფლების ცნობების მიხედვით, **უ-პეი-ფუს ჯარის ნაშთები ხენანის პროვინციის დასავლეთში სასტიკად დამარცხდენ მდინარე ტანხოზე გადასვლის დროს. უ-პეი-ფუს შტაბის უფროსი მოკლულია. უხანის ჯარებმა ხელთ იგდეს 500 ტყვე და დიდი სამხედრო დავლა.** (ადს).

ხმები სიუ-ჩჟოუს დაცემის შესახებ

შანხაი, 14 ივლისი. შეუმოწმებელი ცნობებით, შანდუნელებმა უკან დაიბრუნეს ქალაქი სიუ-ჩჟოუ.

ეს აიხსნება ჩან-კაი-შის ძალების შესუსტებით, რადგან თავისი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩან-კაი-შიმ გადაიყვანა უხანის ფრონტზე. (ადს).

ტან-შენ-ჩის ბრძანება

ხანკოუ, 14 ივლისი. ტან-შენ-ჩი დაბრუნდა ჩანშადან უხანში, სადაც მას ქონდა ხანგრძლივი თათბირი კორპუსების მთავარსარდლებთან. ტან-შენ-ჩი აქტიური მონაწილეობას იღებდა გომინდანის პოლიტბიუროს მუშაობაში. ჩანშადან გამომგზავრების წინ, ტან-შენ-ჩიმ გამოსცა ბრძანება ხუნანის ჯარებისადმი, სადაც აღნიშნავს, რომ პარტიული კომიტეტების მოქმედება დროებით შეჩერებულია ცენტრიდან მოსული განკარგულების თანახმად სანამ სათანადო რეორგანიზაცია გატარდებოდეს. ბრძანება ავალებს ჯარებს „მიიღონ ზომები ყოველგვარი უწესოების წინააღმდეგ, თუნდაც ამ უწესოებას იდენდენ პარტიული კომიტეტების სახელით“ და მოუწოდებს კონტრ - რევოლიუციონერათ ჩასთვალონ ყველა, ვინც არ დაექვემდებარება ცენტრის ბრძანებას. (ადს)

ფინ-იუი-სიანის შტაბი

ხანკოუ, 14 ივლისი. როგორც **ჩენჩჟოუდან იუწყებიან, ფინ-იუი-სიანს განზრახული აქვს გადაიტანოს თავისი შტაბი ჩენჩჟოუდან ლოიანში.** (ადს).

რევოლიუციონერები უხანს ემიჯნებიან

ხანკოუ, 14 ივლისი. არმიის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსმა დე-შენ-დამ, თავის წასვლის წინ დასტოვა განცხადება, რომელიც დღეს გამოქვეყნდა.

თავის განცხადებაში დე-შენ-და უარს ამბობს პოლიტიკური სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე და აღნიშნავს, **რომ რევოლიუციის ხელმძღვანელობა დაშორდა სუნ-იატ-სენის სამ პრინციპს და მას შეუძლებლად მიაჩნია იაროს იმ გზით, რომელსაც ადგია გომინდანი გენერალიტეტის ზეგავლენით.** დასასრულ დე-შენ-და აცხადებს, რომ ის არ ანებებს თავს რევოლიუციონურ მუშაობას და აქტიურ მოღვაწეობას დაუბრუნდება მაშინ, როდესაც აღდგენილი იქნება რევოლიუციონური პრინციპები. (ადს)

ბოიკოტი იაპონურ საქონელს

შანხაი, 14 ივლისი. კანტონში ფართო ხასიათს იღებს იაპონური საქონლის ბოიკოტი. დღემდე კონფისკაცია ქმნილია ნახევარი მილიონი დოლარის ღირებული საქონელი. სრულიად შეწყვეტილია იაპონიის გემების დატვირთვა-გადმოტვირთვა. (ადს).

სამხედრო კონფერენცია

შანხაი, 14 ივლისი. 15 ივლისს ნანკინში იხსნება სამხედრო კონფერენცია, რომელზეც მიწვეული არიან პროვინციალური სამხედრო საბჭოები. (ადს).

ლენსბერი ხიკსის წინააღმდეგ

ლენსბერისა და ტეილორის გამოსვლა.—ხიკსი სდუმს.

ლონდონი, 14 ივლისი. თემთა პალატაში **ლენსბერი** გამოვიდა განცხადებით, რომელშიაც შეეხო კანონს ნატურალიზაციის შესახებ და „ შინაგან საქმეთა მინისტრ ხიკსის ჯვაროსნულ გალაშქრებას წითლების წინააღმდეგ“.

ლენსბერიმ განაცხადა, რომ თუ ხიკს უფლება აქვს ქონდეს თავისი პირადი შეხედულებები ამ საკითხების შესახებ, ის უარყოფს ხიკსის უფლებას გამოვიდეს როგორც ქვეყნის წარმომადგენელი ისეთი განცხადებებით, რომელშიაც რუსეთის კომუნისტური მთავრობა ან საერთოდ კომუნიზმი ხასიათდება როგორც ერთგვარი სენი, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის მოსასპობად უნდა გაერთიანდენ ყველა მთავრობები. ასეთი განცხადება იმას მოწმობს, რომ ხიკსი არაა შესაფერისი პიროვნება იმ პირთა ნატურალიზაციის საკითხის გადასაჭრელად, რომლებიც ისეთ შეხედულებებს ატარებენ, რომლებიც ხიკსს არ მოსწონს.

შემდეგ ლენსბერი შეეკითხა—მოინახა თუ არა არკოსში დაკარგული დოკუმენტი და რა მოუვიდა მილერს, რომელიც თავდასხმის დროს არკოსში იყო და რომელიც ხიკსმა დაახასიათა, როგორც შპიონაჟის სისტემის ცენტრალური ფიგურა და ყველაზე უფრო საშიში და სასიზღარი რუსი ჯაშუში.

„როგორ აძლევდენ—შეეკითხა ლენსბერიმ—მას ნებას ეცხოვრა ინგლისში 7 წლის განმავლობაში, თუ ის ასეთი საშიშია?“

მუშათა პარტიის წევრმა **ტეილორმა** კითხა: რამდენი დაუჯდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არკოსზე თავდასხმა და რატომ არ ისარგებლა ხიკსმა თავისი ნორმალური რწმუნებები, რომლებიც მას მიცემული აქვს ყოველი არასასურველი უცხოელის გადასასახლებლად, თუ კი იცოდა, რომ ეს საშიში პიროვნება არკოსის შენობაში იმყოფებოდა?

ჯონსონ ხიკსმა უარი განაცხადა გაეცა პასუხი ლენსბერისა და ტეილორის მიერ მიცემულ შეკითხვებზე. (ადს).

მემაღაროეთა აპოლიტიურ კავშირების ყრილობა

ლონდონი, 14 ივლისი. ლონდონში თავი მოიყარეს ნოტტინგემშირის, ნორტუმბერლენდის, დერგემის, იორკშირის, სამხრეთ უელსის და შოტლანდიის პოლიტიკის გარეშე მდგომ მემაღაროეთა კავშირების დელეგატებმა. კონფერენციამ, რომელიც მუშაობდა სპენსერის თავმჯდომარეობით, გამოაცხადა თავი „მემაღაროეთა ინდუსტრიალური კავშირების ნაციონალური ფედერაციის“ დამფუძნებელ ყრილობათ. სპენსერის განცხადებით, ახალ ორგანიზაციაში ირიცხება 70.000 წევრი.

„მანჩესტერ გარდიენი“ უკეთებს რა სპენსერის ამ განცხადებას კომენტარიებს დასძენს: „სპენსერის ოპტიმიზმის წინააღმდეგ მიუდგომელ მეთვალყურეთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ახალ ორგანიზაციებს არსად არ მოეპოვებათ რამოდენიმე მაინც საგრძნობი ძალები, ნოტინგემშირის გარდა. (ადს)

მემაღაროების გაფიცვა

ლონდონი, 14 ივლისი. დამთავრდა სამხრეთ-უელსის 8.000 მემაღაროეს ლოკაუტი, რომელიც გამოცხადდა გაფიცვის შემდეგ. **გაფიცვა გამოცხადებული იყო პროტესტის ნიშნად იმის გამო, რომ მაღაროებში ამუშავებდენ ისეთ მუშებს, რომლებიც არ შედიოდნენ მემაღაროეთა ფედერაციაში.** მაღაროებში მუშაობა განახლდა. (ადს).

ლონდონი, 14 ივლისი. **მაღაროებში, რომლებიც ეკუთვნიან „ბოლდუინ-ლიმიტედ“-ის კამპანიას, გაიფიცა 700 მემაღაროე.** (ადს).

როგორ ტარდება „განიარაღება“ შეერთ. შტატებში

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. შეერთებული შტატები განუწყვეტლივ ადიდებს თავის სამხედრო ძალებს. სამხედრო მინისტრის ამხანაგმა **დევისონმა** განაცხადა, რომ თუ ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების ხუთწლიანი გეგმა განხორციელდა, მაშინ 1932 წ. ჩრ.-ამ. შეერთებულ შტატებს ეყოლება საავიაციო კორპუსი შემდეგი შემადგენლობით: 1.650 ოფიცერი-პილოტი, **თადარიგის** 550 ოფიცერი და საავიაციო კორპუსის 15.000 ჯარისკაცი. ეს შემადგენლობა სამსახურს გაუწევს 480 განმანადგურებელს, 95 აპარატს თავდასხმისათვის, 185 ყუმბარების დამშენ აპარატს, 59 სატრანსპორტო, 412 მზვერავ, 479 სასწავლო და 110 აეროპლანების სადგომ გემს. (ადს).

უმუშევართა მდგომარეობა რუმინეთში

ვენა, 14 ივლისი. რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დაგზავნა მოწერილობა იმის შესახებ, რომ უმუშევართათვის საზღვარ - გარეთ გასამგზავრებელი პასპორტების გაცემა ხდებოდეს განსაკუთრებული სიფთხილით და არ იქნეს დაშვებული ისეთი მდგომარეობა, რომ უმუშევრების დიდმა რაოდენობამ დასტოვოს რუმინეთი.

ეს განკარგულება მით უფრო სასტიკია, რომ რუმინეთში არ სწარმოებს უმუშევრობის სახელმწიფოებრივი დაზღვევა და უმუშევრებს, რომლებსაც საზღვარ-გარეთ გამგზავრების საშუალებასაც უსპობენ, მოელით სიმშილით სიკვდილი. (ადს)

მონღოლეთის დამოუკიდებლობის 6 წლ. თავი

ულან-ბატორი. 14 ივლისი. **1 ივლისს იდღესასწაულეს მონღოლეთის დამოუკიდებლობის 6 წლისთავი.**

მონღოლეთის არმიის აღლუმის დროს მიტინგზე გამოვიდა მცირე ხურულდანის თავმჯდომარე, **გენდუნი,** რომელმაც განაცხადა:

„ამ 6 წლის წინათ მონღოლეთი განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის დახმარებით და შეუდგა თავისი მეურნეობის მშენებლობას“.

მიტინგზე გამოვიდენ აგრეთვე კომინტერნის, საბჭოთა კავშირის, ახალგაზრდობის რევოლიუციონური კავშირის, მონღოლეთის არმიის, პროფკავშირების და პიონერების წარმომადგენელნი. **მთავრობის მიერ მოწყობილ ბანკეტზე დაესწრენ ყველა მინისტრები, კომინტერნის წარმომადგენელნი, საბჭოთა კავშირის რწმუნებული, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე და სხვ.** (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წევრი თბილისში

გუშინ საქართველოს სამხედრო გზით კისლოვოდსკიდან თბილისში ჩამოვიდა ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრი, აღნიშნული პარტიის ორგანოების „ნიულიდერ“-ის, „ფორვარდ“-ის და „სოშელისტ რევიუ“-ს კორესპონდენტი და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საუნივერსიტეტო ფედერაციის ვიცე - პრეზიდენტი ფრიდა ატლი.

მისი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების გაცნობა.

ფრიდა ატლი ეკუთვნის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთას, რომელმაც იგი გამოგზავნა საბჭოთა კავშირში მუშების მდგომარეობის გასაცნობად. მან უკვე დაათვალიერა მოსკოვი და ტვერი, სადაც ეცნობოდა საფეიქრო მრეწველობის და მასში ჩაბმულ მუშების მდგომარეობას. ფ. ატლი სწერს წიგნს ინგლისის საფეიქრო მრეწველობაზე, რომელიც ამჟამად მძიმე კრიზისს განიცდის იაპონიის და სხვა ქვეყნების კონკურენციის გამო. ფ. ატლი დაინტერესებულია შეაგროვოს ცნობები ჩვენი საფეიქრო მრეწველობის შესახებ, რომ შეადაროს მასში ჩაბმულ მუშების მდგომარეობა ინგლისის მუშების მძიმე მდგომარეობას.

ფ. ატლი თბილისში დარჩება სამი დღე; დაათვალიერებს სხვადასხვა დაწესებულებებს და პროფკავშირებს. თბილისიდან იგი მიემგზავრება ბაქოში, საიდანაც შემდეგ დაბრუნდება მოსკოვში.

საუბარი ფ. ატლისთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ფრიდა ატლიმ თავისი შთაბეჭდილებების შესახებ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში მე განსაკუთრებით გამაკვირვა იმ ენერგიამ და ენტუზიაზმა, რომლითაც ჩაბმული არიან მუშები აღმშენებლობაში, ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აგრეთვე თქვენმა დასასვენებელმა სახლებმა და სანატორიუმებმა, სადაც მუშებს სრული შესაძლებლობა აქვთ აღადგინონ თავიანთი დასუსტებული ორგანიზმი. მე ორი კვირა გავატარე კისლოვოდსკის სანატორიუმში. სადაც საშუალება მქონდა გავცნობოდი საბჭოთა საექიმო და საკურორტო სისტემას. უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისის მუშებს ოცნებაც კი არ შეუძლიათ ასეთ დახმარებაზე.

რაც შეეხება ინგლისის სტუდენტობის დამოკიდებულებას საბჭოთა სისტემისადმი, უნდა ითქვას, რომ ისინი არ იცნობენ მას. მიუხედავათ ამისა, ისინი წინააღმდეგი არიან ინგლისის ჩარევის საბჭოთა კავშირის საქმეებში.

ინგლისის სტუდენტობაშიც, როგორც მუშათა პარტიაშიც, ორი მიმართულებაა: მემარჯვენე და მემარცხენე ფრთა. ისინი თუმცა ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულებაში ერთი აზრის არიან. ორივე ფრთა ეწინააღმდეგება ჩემბერლენის პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის მუშების მშვიდობიანი შრომის ჩაშლა.

ინგლისში დაბრუნებისას მე განზრახული მაქვს დავბეჭდო მთელი სერია წერილებისა საბჭოთა კავშირის შესახებ და წავიკითხო რამოდენიმე ლექცია სტუდენტების და მუშების კრებებზე.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. კამენევი ჩამოვიდა მოსკოვში

მოსკოვი, 15 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ამხ. კამენევი. (ადს).

კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ

ლონდონი, 14 ივლისი. ლორდთა პალატამ დაამთავრა პროფკავშირების შესახებ კანონპროექტის განხილვა. მიღებულია მხოლოდ ერთი უმნიშვნელო შესწორება. (ადს).

ტომასის მიზნები

ლონდონი, 15 ივლისი. ინგლისის კომპარტიის ორგანო „უორკერ ლაიფ“ სწერს რომ რკინისგზელთა კავშირის ყრილობაზე ტომასის გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიზნად ისახავს ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას. (ადს).

სეიმი პასუხს ამზადებს

ვარშავა, 14 ივლისი. სეიმში სწარმოებს თათბირი იმის შესახებ, თუ რა პასუხი გასცენ მთავრობას პარლამენტის სესიის დახურვის გამო.

ხალხისადმი სეიმის მიმართვის პროექტს, რომელიც ტუგუტმა წარადგინა, იხილავენ ფრაქციები,

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ სეიმი ამ მიმართვას არ გამოაქვეყნებს. (ადს).

ინგლის-ამერიკის უთანხმოება სამთა კონფერენციაზე

პარიზი, 15 ივლისი. ჟენევის სამთა კონფერენციის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ინგლისის დელეგაციას სერიოზულად აღელვებს მინისტრმა ბრიჯმენმა განაცხადა, რომ ინგლისის დეგეგაციას სერიოზულად აღელვებს შეერთებული შტატების მოთხოვნილებით, რომ მათ უფლება ექნეთ იქონიონ 25 კრეისერი 10.000 ტონით. ინგლისის დელეგაციის წევრმა ადმირალმა ჯელიკომ განაცხადა, რომ ინგლისს უნდა ჰყავდეს 70 კრეისერი და ხაზი გაუსვა ამასთან იმ მდგომარეობას, რომ ის 117 კრეისერიც, რომელიც ჰყავდა იმპერიას ომის დროს, არ იყო საკმარისი.

ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარემ გიბსონმა სასტიკ კრიტიკაში გაატარა ინგლისის პოზიცია და აღნიშნა, რომ ინგლისს არ აქვს უფლება „შებოჭოს მსოფლიო ნაოსნობა“, მან განაცხადა, რომ ინგლისის ბლოკადამ ომის დროს კინაღამ კონფლიქტი გამოიწვია ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის. მან დაბოლოს დასძინა, რომ ინგლისის მოთხოვნილება საფრთხეს უქადის სამხრეთ-ამერიკის ვაჭრობას. დელეგაციის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ, სხდომა დაიხურა. (ადს).

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ყრილობა

კიევი, 15 ივლისი. პოლონეთის რკინის გზის დელეგაციის თავმჯდომარემ გრანოვსკიმ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ ინახულა საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ლიუბენკო და მადლობა გამოუცხადა სტუმართმოყვარეობისათვის.

გრანოვსკიმ აღნიშნა, რომ ის კმაყოფილია კონფერენციის მუშაობით და იმედი აქვს, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი სასურველ შედეგებს გამოიღებენ.

გრანოვსკიმ გამოუგზავნა აგრეთვე წერილები ადგილობრივ გაზეთებს, სადაც მადლობას გამოსთქვამს სტუმართმოყვარეობისათვის და კარგი შეხვედრისათვის დელეგაციის უკრაინის რესპუბლიკაში ყოფნის დროს. (ადს).

ქარიშხალი რუმინეთში.

ვენა, 14 ივლისი. რუმინეთში ძლიერმა ქარიშხალმა დააზიანა დიდძალი ნათესები. (ადს).

მუშების შეტაკება ფრონტელებთან

ვენა, 15 ივლისი. კლეისტერნბურგში (ვენის გარე უბანში) მუშათა სპორტიული კავშირი დღესასწაულობდა თავისი არსებობის 50 წლის თავს. როცა კავშირის წევრები ბრუნდებოდენ დღესასწაულიდან, მათ თავს დაესხენ ფრონტელები. მძიმედ დაიჭრა ორი მუშა და ორი ფრონტელი. ჩაერიენ ჟანდარმები, რომლებმაც ფრონტელებს დაუჭირეს მხარი. ერთი მუშა მძიმედ დასჭრეს ხმლის დარტყმით. (ადს).

„ლენსბერი უიკლი“-ს გამოცემა შეწყდა

ლონდონი, 14 ივლისი. „ლენსბერი უიკლი“-ში გამოქვეყნებულია განცხადება, რომ 15 ივლისის ნომერი იქნება უკანასკნელი, ვინაიდან ჟურნალი ამიერიდან უერთდება დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანოს „ნიუ ლიდერს“.

ნაციონალურ უმცირესობათა სკოლები რუმინეთში

ვენა, 14 ივლისი. რუმინეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულება იმის შესახებ, რომ უნგრელების და გერმანელების ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებს ესპობა სუბსიდიები, რომელსაც აღნიშნული სკოლები ღებულობდნენ თავის დროზე 45 მილიონი ლეის რაოდენობით. ეს განკარგულება მოასწავებს სკოლების დახურვას, ვინაიდან სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე, მათ არსებობა არ შეუძლიათ. (ადს)

რევოლუციონერების დევნა ბულგარეთში

ვენა, 15 ივლისი. სამხედრო სასამართლომ ლეროჩში (ბულგარეთი) გაასამართლა 18 გლეხი, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული პარტიზანული რაზმების წევრთა დამალვისათვის. 11 ბრალდებულს, (მათ შორის ერთი ქალია), მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 6-ს—უვადო ციხე და ერთ ბრალდებულ ქალს —15 წლის ციხე. გარდა ამისა ყველა ბრალდებულებმა უნდა გადაიხადონ ფულადი ჯარიმის სახით დაახლოებით 22.000 მანეთი.

ტატარბაზარჯიკში კიდევ არ დამთავრებულა 39 ბრალდებულის გასამართლება. მათ ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი ირიცხებოდენ კომპარტიის სამაზრო და საოლქო კომიტეტების წევრებად. 28 ბრალდებულისათვის პროკურორი მოითხოვს სიკვდილით დასჯას. ბორკილებში ჩაჭედილ ბრალდებულებს მხნედ უჭირავთ თავი. ზოგიერთმა მათგანმა სასამართლოში აჩვენა, რომ მათ აიძულებდენ გაეთხარათ საფლავები, ჩაწოლილიყვენ შიგ და ასეთ მდგომარეობაში ართმევდენ მათ ჩვენებებს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლიტერატურა ოქტომბრის 10 წლის იუბილესთვის

მოსკოვი, 15 ივლისი. საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას ისტპარტში შემოვიდა ადგილობრივი ისტპარტებისაგან გეგმა ოქტომბრის იუბილესათვის ლიტერატურის გამოცემის შესახებ.

შემოსული გეგმებიდან სჩანს, რომ საიუბილეო ლიტერატურის გამოცემას ადგილობრივ აპირებენ იმაზე უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს ქონდათ განსაზღვრული საიუბილეო ცენტრალურ კომისიას და ცეკას ისტპარტს.

ამის გამო ცეკას ისტპარტმა განუმარტა ადგილობრივ ისტპარტებს, რომ საჭიროა მიღებული იქნეს უაღრესად ენერგიული ზომები ცალკე საიუბილეო წიგნების და ბროშიურების გამოცემის საქმის მოსაწესრიგებლად.

ყველა ადგილობრივმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ამ მხრივ უნდა იხელმძღვანელონ საკ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ცირკულიარებით და გეგმით, რომელიც თავის დროზე ჰქონდა გათვალისწინებული ცენტრალურ საიუბილეო კომისიას. (ადს).

დედა-მიწის გარშემო

მოსკოვი, 15 ივლისი. 16 ივლისს დაიწყებს ფრენას მსოფლიოს გარშემო კაზარინოვი, რომელმაც პირველ ავიოლატარიაში მოიგო მსოფლიოს გარშემო ფრენა.

17 ივლისს როსტოვიდან მოსკოვში გადაფრინდება აგრეთვე პირველ ავიოლატარიაში მოსკოვ როსტოვს შორის გადაფრენის მომგები (ადს).

მეორე ავიოლატარია

მოსკოვი, 15 ივლისი. 17 ივლისს მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყება მეორე ავიოლატარიის ბილეთების გაყიდვა. სალატარიო კომიტეტში უკვე შემოვიდა მოთხოვნილება 2800000 ბილეთზე. სულ კომიტეტი უშვებს 3 მილ. ბილეთს (ადს).

ტრაქტორების საკავშირო გამოცდა

როსტოვი-დონზე, 15 ივლისი. 15 ივლისს იწყება ტრაქტორების საკავშირო გამოცდა. გამოცდა იწარმოებს ნოვოჩერკასკის მახლობლად. გამოცდისათვის დათმობილია 250 დესეტინა მიწის ნაკვეთი. უკვე მიღებულია ტრაქტორები და სასოფ.-სამეურნეო მანქანები კანადიდან; მანქანებს მოელიან სხვა ქვეყნებიდანაც (ადს).

პრესის მუშაობა ქალთა მასებში

მოსკოვი, 15 ივლისი. ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პრესა სათანადოთ ვერ აკმაყოფილებს მასების მოთხოვნილებებს და მიმართა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტების ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებებს წინადადებით, რომ მეტი ენერგიით გაატარონ ცხოვრებაში ცეკას დადგენილება პრესის მუშაობის შესახებ ქალთა მასებში. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ სისტემატიურად იქნეს გაშუქებული ადგილობრივ პრესაში მუშა და გლეხ-ქალების შრომის და ყოფა-ცხოვრების საკითხები.

ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება წინადადებას აძლევს ბეჭდვითი სიტყვის ადგილობრივ განყოფილებებს მუშა და გლეხ-ქალების ჩაბმას მუშკორთა მოძრაობაში და აწარმოვონ ეს მუშაობა პარტკომის ქალთა განყოფილებების დახმარებით. (ადს).

საბჭოთა დიდი გადაფრენები

მოსკოვი, 15 ივლისი. თავდაცვა-ავიაქიმის კომისია, რომელიც 1927 წ. აწყობს დიდ საბჭოთა გადაფრენებს, შორეულ აღმოსავლეთში და ევროპის გარშემო განზრახულ ორი გადაფრენის შესახებ შემდეგს იუწყება:

ორივე გადაფრენა შესდგება ივლისის დამლევს და აგვისტოს პირველ რიცხვებში. ევროპის გარშემო გადაფრინდება მფრინავი ვოიშიცკი თვითმფრინავ „პროლეტარით“ მასთან როგორც მგზავრი გადაფრინდება სპირინი. შორეულ აღმოსავლეთში მფრინავ კოპილოვის მაგიერ, რომელიც სერიოზულად გახდა ავათ, გადაფრინდა მფრინავი შესტოვი მექანიკ ფუფაევთან ერთად თვითმფრინავ „ჩვენი პასუხი“თ. ვოიშიცკის მთელი გადაფრენა ნავარაუდევია ორ დღეში (ადს).

უკრაინის ქარხნების დაცვა

დნეპროპეტროვსკი, 15 ივლისი. აქ ჩამოსულმა უკრაინის შინაგან საქმეთა სახ. კომისარმა და მთავარ პოლიტიკური სამართველოს თავმჯდომარემ ამხ. ბალიცკიმ უკრაინის დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„მე შემოვიარე უკრაინის სამრეწველო ცენტრები: არტემოვსკის, სტალინსკის და დნეპროპეტროვსკის ოლქები. ჩემი მოგზაურობის მიზანს, გარდა აპარატების კონტროლისა შეადგენდა ქარხნების დაცვის საქმესთან გაცნობა, ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს ქარხნებში გახშირდა წარმოების ნორმალური მსვლელობის დარღვევა და ადგილი ჰქონდა აფეთქებებისა და ხანძრების შემთხვევებს. ჩემ მიერ გამორკვეულია, რომ მთელ რიგ ტეხნიკურ არანორმალობათა და დაუდევრობასთან ერთად ადგილი ჰქონდა შეგნებულ მოქმედებას იმათი მხრით, ვინც დაინტერესებულია ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ჩაშლაში. ცხადია, რომ ეს გარემოება გვავალებს ჩვენ სიფხიზლის გაძლიერებას“ (ადს).

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული

თბილისის პროლეტარიატი თავდაცვისათვის

მუშათა რაიონული კრებები

გუშინ საღამოს 6 საათზე მბეჭდავთა, ფოსტა-ტელეგრაფის, საბჭოთა - სავაჭრო და მედსანშრომის („სტელა“) მუშაკების საზაფხულო კლუბებში და ნავთლუღში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა რაიონული კრებები წითელი არმიის ნაწილებთან ერთად. კრებებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის და ქვეყნის თავდაცვის შესახებ.

ახალ მუშაკთა კლუბში მოხსენებით გამოვიდა ამხ. შ. ელიავა, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში — ამხ. რუბენი, კლუბ „სტელა“-ში ამხ. ლუკაშინი, ფოსტა - ტელეგრაფის მუშაკთა კლუბში — ამხ. ვარძიელი და ნავთლუღში — ამხ. შ. სტურუა.

მომხსენებლები შეეხენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნეს, რომ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები, ინგლისის შუბლმაგარ კონსერვატორების მეთაურობით სცდილობენ შექმნან მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რათა მოსალოდნელ ომს მომზადებული დავხვდეთ საჭიროა ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება, მუშების, გლეხების და საერთოდ ყველა მშრომელების მჭიდროდ დაკავშირება წითელ ლაშქართან.

ფართო მასების მომზადებას თავდაცვისათვის საბჭ. კავშირში აწარმოებს თავდაცვისა და ავიაციის და ქიმიური მრეწველობის ხელშემწყობი საზოგადოება (თავდაცვა - ავიაქიმი). მომხსენებლები მოუწოდებდენ დამსწრეთ ამ საზოგადოების რიგების გაფართოვებისა და განმტკიცებისაკენ.

მუშათა წრიდან გამოსული ორატორების თავის სიტყვებში და გამოტანილ რეზოლიუციებში გატარებულ იქნა ის აზრი, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები წინააღმდეგი არიან ომის, რომელსაც მას უმზადებს დასავლეთის იმპერიალიზმი, იმიტომ, რომ იგი ხელს შეუშლის ჩვენში წარმოებულ ფართო აღმშენებლობით მუშაობას. მაგრამ, თუ წინააღმდეგ საბჭ. კავშირის მშრომელების სურვილისა იმპერიალისტები თავს დაგვესხმიან, ჩვენ — აცხადებენ მუშები, როგორც ერთი კაცი დავდგებით საბჭ. ქვეყნის დასაცავად.

რეზოლიუციები თავდება მოწოდებით ყველა მშრომელებისადმი ჩაებან თავდაცვა - ავიაქიმში, გააძლიერონ მისი რიგები, უფრო ასწიონ ჩვენი სამხედრო ტეხნიკა და ამით ხელი შეუწყონ ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

ზოგიერთ კრებებზე და კერძოდ ნავთლუღში: სადგ. ნავთლუღის, „ზაკპოგრუზის“, ქალაქის სასაკლაოს და მებაღეთა კავშირის მუშა - მოსამსახურეებმა დაადგინეს საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად გადასდონ ერთი პროცენტი ხელფასიდან.

მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს, და კრებებს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ერთი დღის ხელფასი თავდაცვისათვის

(აღმასკომის თანამშრომელთა შორის).

15 ივლისს, აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა აღმასკომის თანამშრომელთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 350-მდე მუშა-მოსამსახურე. დღის წესრიგში დასმული იყო ამხ. ვარლამ მესხის მოხსენება თავდაცვის კვირეულის შესახებ.

თავის მოხსენებაში მომხსენებელმა ფართოდ შეეხო თანამედროვე მომენტს, ევროპის ბურჟუაზიის პროვოკაციულ მოქმედებას და იმ მზადებას ომისა და სისხლისღვრისათვის, რომელსაც აწარმოებს ევროპის იმპერიალიზმი.

ამხ. მესხმა ხაზი გაუსვა მოსახლეობის გასამხედროების საჭიროებას და მნიშვნელობას. დაახასიათა ყოველი მუშა-მოსამსახურის და პატიოსანი მოქალაქის მოვალეობა იმ დიდ საქმეში, რომელსაც ეწოდება ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების საქმე.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ყველა მშრომელი გახდეს ავიოქიმიის საზოგადოების წევრი და დაადასტურა წინადადება: აღმასკომის ყველა თანამშრომელმა გაიღოს ერთი დღის ხელფასი ავიო-ქიმიის ფონდის გასაძლიერებლად.

ჯაფარ-ფაშა.

მუშათა კლუბები საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მუშაობა

მუშათა ცენტრალური კლუბი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედის მიერ კლუბთან ჩამოყალიბებულია სამხედრო და პირველი დახმარების წრეები, რომლებშიაც მუშაობს 15 წევრი (აქედან რვა ქალი).

წევრები დაწვრილებით ეცნობიან სასროლო საქმეს, ქიმიას, სამხედრო წყობილებას და დაჭრილთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის საქმეს.

კლუბთან მოწყობილია სამაგალითო სამხედრო კუთხე, სადაც სისტემატიურად მიმდინარეობს მასიური მუშაობა. კუთხეში არის შემდეგი განყოფილებები: სასროლო, ქიმიური, ავიაციის, რადიო-კუთხე. მრავლად არის სამხედრო მასალა, ყუმბარები; სხვადასხვა ყალიბის თოფები. კუთხეს აქვს სამხედრო ჰაეროპლანის მოდელი.

თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი აწყობს საუბრებს სამხედრო თემებზე. საუბრებს ესწრებიან მრავალი მუშა-მოსამსახურენი.

კარგად არის დაყენებული სასროლო საქმე. სამხედრო წრის წევრები იცნობენ შაშხანას; ბევრს მიღებული აქვს ჯილდო სროლაში.

მუშათა ახალი კლუბი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედი ჩამოყალიბდა კლუბთან მიმდინარე წლის იანვარში.

უჯრედის მუშაობა გამოიხატება შემდეგში: 1) შექმნილია სასროლო წრე, რომლებშიაც მეცადინეობს 27 კაცი (აქედან ერთი ქალია). წრეში გავლილია შაშხანის შესწავლა და სროლა ტირში); 2) ჩამოყალიბებულია და ამუშავებული ქიმიური რაზმი, სადაც ისწავლება სამხედრო ქიმია და დაჭრილთათვის ბრძოლის დროს დახმარების აღმოჩენის საკითხი. კლუბის 18 წევრმა უკვე შეისწავლა პირველის დახმარების აღმოჩენის საქმე და შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობის წარმოება.

ახლო ხანში განზრახულია სამოდელო წრის შექმნა, უკვე ჩაწერილია 9 კაცი.

კლუბთან არსებობს ტირი, სადაც ყოველდღიურად სწარმოებს ვარჯიში სროლაში.

ტრამვაის მუშათა კლუბი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედის თაოსნობით, შექმნილია კლუბთან სასროლო წრე, რომელშიაც ითვლება 64 კაცი.

წრეში შესწავლილია შაშხანა. წრის წევრებმა კარგად შეითვისეს სროლის წესი. ველად ჩატარებულ იქნა ვარჯიში სროლაში 200 ნაბიჯის მანძილზე. ვარჯიშში მიიღეს მონაწილეობა როგორც წრის წევრებმა, ისე სხვა მუშებმაც. ყველა მონაწილეებმა გამოიჩინეს სროლის წესების კარგი ცოდნა და ბევრმა კი ჯილდოც მიიღო.

რკინის გზელთა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი

კლუბთან არსებობს სასროლო წრე, რომელშიაც მუშაობს 24 წევრი.(აქედან ორი ქალია).

ვარჯიში სწარმოებს ტირში, წრის წევრებს გარდა სწავლობენ სროლას დანარჩენი მუშებიც.

კლუბს ჯერ არ აქვს სამხედრო კუთხე, რაც არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. კლუბის წევრები დაინტერესებული არიან სამხედრო საქმის შესწავლით და მათ უნდა მიეცეს ამის საშუალება.

კლუბის ბიბლიოთეკაში არის პოპულიარული სამხედრო ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენაზე.

ი. ზ.

კვირეული სამხედრო ნაწილებში

ჩვენი წვლილი

(№ ქართ. მსრ. ლეგიონის მე-3-ე ასეული)

ასეულის ლენკუთხეში ხშირად იმართებოდა საუბრები თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მნიშვნელობაზე. მიღებული იყო ზომები, რომ წითელარმიელთა მასას ჰქონოდა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რას ემსახურება აღნიშნული საზოგადოება და როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია მას მომავალ ომის დროს მშრომელებისათვის.

მაგრამ დღევანდლამდის ასეულში არ იყო ჩამოყალიბებული საზოგადოების უჯრედი.

საერთაშორისო მდგომარეობის გართულებამ დააჩქარა უჯრედის ჩამოყალიბება ასეულში. თვით წითელარმიელებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი შექმნილიყო რაც შეიძლება ჩქარა, რომ ამით ჰქონოდათ შესაძლებლობა ეწარმოებიათ უფრო გაცხოველებული მუშაობა.

დღეს ასეულში უკვე არსებობს უჯრედი მრავალი წევრებით და მუშაობაც ნორმალურად მიმდინარეობს.

საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებამ მშრომელებისადმი თვითმფრინავების ასაშენებლად ჩემბერლენის საპასუხოდ, ჩვენს ასეულში ჰპოვა მხურვალე გამოძახილი. წითელარმიელებმა, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობამ გაიღეს თვითმფრინავის ასაშენებლად თავისი წვლილი ერთი დღის ხელფასის რაოდენობით. ეს თანხა უკვე გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

—ტ.

მოძრავი გამოფენა

წითელი არმიის და ფლოტის სახლის საზაფხულო შენობაში ქართული ჯარის ნაწილებმა მოაწყვეს გამოფენა შემდეგი განყოფილებებით: **ქიმიური განყოფილება** — წარმოდგენილია ყველა ტიპის წამლები, როგორც ადამიანისათვის, ისე ცხოველებისათვის. ქიმიური ხელსაწყოები, რომელნიც იხმარებიან იერიშების დროს, ჰიდროპულტები და სხვა: **ავიაციის განყოფილებაში** ყურადღებას იპყრობს თვითმფრინავი „სერია 9“ რომელიც ომის დროს ასრულებს მზვერავის როლს; **საარტილერიო განყოფილებაში** არის 48 ხაზიანი გაუბიცა, საველე ზარბაზანი და აგრეთვე ხელსაწყოები ნიშნის ამოსაღებათ და ცეცხლის თვალსადევნი მილი, **კავშირის განყოფილება** მდიდარია ექსპონატებით, აქ არის ტელეგრაფი, ტელეფონი, კლოპერის აპარატი, რომელიც მუშაობს ულენტოთ; არის წარმოდგენილი ელექტრონის დენის წყაროები, სახაზო საქმის ხელსაწყოები და მასალები, საშთანგო (ოპტიური) მოწყობილობა. ყურადღებას იპყრობენ მტრედები, რომელნიც ომის დროს გამოიყენებიან კავშირისათვის, მესანგრეთა განყოფილებაში მოცემულია სანგრების, ხიდების და თავშესაფრების მოდელები, რომლებიც დამზადებულნი არიან მესანგრე ასეულის წითელ არმიელთა მიერ. არის სხვადასხვა ტიპის ნავთიკები. საინტერესოა ძალიან ტანსაცმელი, დამზადებული ჩალისა და ბალახისაგან, ეს ტანისამოსი იხმარება ბრძოლის და ზვერვის დროს, შეხამებით ადგილმდებარეობასთან.

გამოფენა წითელი არმიის და ფლოტის სახლიდან გადატანილი იქნება თბილისის მუშათა კლუბებში. ყველა განყოფილებას მიჩნეული ჰყავს მეთაური, რომელიც აძლევს მნახველებს ახსნა განმარტებას.

ომის ინსცენიროვკის გეგმა

17 ივლისს, თბილისში საჰაერო-ქიმიური ომის ინსცენიროვკის ჩატარების გეგმა საბოლოოდ მიღებულ იქნა ამ სახით:

ქალაქში არსებულ ყველა ფაბრიკა-ქარხნებიდან და თბილისის და ნავთლუღის სადგურებზე მდგომ ორთქლმავლების საყვირებიდან დილის 10 საათზე და 30 წუთზე იძლევიან სიგნალებს „მტრის“ საჰაერო ფლოტის გამოჩენის შესახებ.

დილის 11 საათზე ზაჰესის მხრიდან ჩნდებიან „მტრის“ ჰაეროპლანები, რომლებიც თავს ესხმიან ნაძალადევს, პლეხანოვის და რუსთაველის პროსპექტებს და კახეთის მოედანს, სადაც ჰყრიან მომშხამავ გაზებით გატენილ ბომბებს.

წითელი ლაშქარი მტრის ჰაეროპლანებს კუკიის ყაზარმებიდან, საბურთალოდან და კოჯორის გზატკეცილიდან ხვდება ზარბაზნების და ტყვიის მფრქვეველების სროლით. ზემოთ აღნიშნულ პუნქტებში მოწყობილი იქნება გაზებისაგან თავდასაცავები, რომლებთანაც იმორიგევებენ სანიტარები გაზით მოწამლულისათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

ქალაქზე თავდასხმის დროს თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის პროსპექტზე გამოჩნდებიან ავიაქიმიური და სანიტარული რაზმები, რომლებიც მოახდენენ მოშხამულ ადგილების დეგაზაციას.

ისინი მტრის ჰაეროპლანებისაგან დაცული იქნებიან ჯავშნოსან ავტომობილების ტყვიის მფრქვეველებით.

ჰაეროპლანების გამოჩენისას ქალაქის სხვადასხვა ადგილებში მოწყობილი იქნება გელიოგრაფები (სინათლის სხივები), რომლებიც უჩვენებენ მტრის ჰაეროპლანების მოძრაობას.

რუსთაველის პროსპექტზე—მუშათა სასახლესთან და სახელმწიფო ოპერასთან, პლეხანოვის პროსპექტზე—მეორე რაიკომთან და კახეთის მოედანზე—მუშკოოპთან იმუშავებს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელიც აწარმოებს ცეცხლის ქრობას და მოშხამულ ადგილების დეგაზაციას.

11 საათზე და 30 წუთზე ქალაქში გამოჩნდება წითელი კავალერია, რომელიც დააწესებს წესრიგს და „დაამშვიდებს“ მოქალაქეებს.

ყოველივე ამის შემდეგ, ქალაქის სხვადასხვა პუნქტებიდან გამოუშვებენ მტრედებს, რაც მოასწავებს იმას, რომ საშიშროება განვლილია.

ომის ინსცენიროვკის დროს ტრანსპორტის მოძრაობა ქალაქში შეწყვეტილი იქნება და „წესრიგის დასაცავად“ იმუშავებს გაძლიერებული მილიცია.

მტრედების გამოჩენის შემდეგ ინსცენიროვკის ყველა მონაწილენი შეიკრიბებიან ყოფ. სამხედრო სობორის ეზოში, სადაც გაიმართება ალლუმი.

ჩვენი პასუხი ჩემბერლენს


ჩვენი პასუხი ჩემბერლენს.

კვირეულის ქრონიკა ადგილებზე

მანგლისიდან მიღებული ცნობით, ადგილობრივ თავდაცვა-ავიაქიმის რაიონულ საბჭომ მანგლისის ბაღში, 9 ივლისს მოიწვია მიტინგი, რომელზედაც გაკეთდა მოხსენება თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართა საუბრები და ყულაბებით ფულის შეკრება.

10 ივლისს მოხსენებები და ფულის შეკრება ჩატარდა მანგლისის რაიონის სოფლებში; საღამოს მანგლისში გაიმართა ფასიანი საღამო-სეირნობა.

11-დან-15 ივლისამდე ტარდებოდა ყულაბებით ფულის შეკრება. ვრცელდებოდა ლიტერატურა და მოწოდებები. ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ასაგებად, ქოხ-სამკითხველოებში ეწყობოდენ პროპაგანდის თავდაცვა-ავიაქიმში ახალ წევრების მოზიდვის მიზნით და ეწყობოდა მოძრავი გამოფენები სოფლებში.

დღეს საღამოს გაიმართება ფასიანი საღამო-წარმოდგენა და იწარმოებს ყულაბებით ფულის შეკრება.

ხვალ 17 ივლისს, დილის 10 საათზე ყველა სამხედრო ძალები, სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად თავს მოიყრიან მანგლისის მინდორზე, სადაც გაიმართება მიტინგი; აქედან ყველანი ერთად წავლენ სროლის შეჯიბრზე, სადაც სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის მოწყობილი იქნება შეჯიბრი სროლაზე, გაიმართება აგრეთვე სასპორტო ვარჯიშობაც და მოეწყობა საჰაერო ქიმიური ომის ინსცენიროვკა,

საღამოს ბაღში გაიმართება სეირნობა. მთელი შემოსავალი გადაიდება „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ფონდში.

ალლუმი აეროდრომზე

დღეს დილის ათ საათზე, თბილისის ჰაეროდრომზე გაიმართება კავკასიის წითელდროშოვან არმიის საჰაერო ნაწილის ალლუმი. ალლუმზე მოწვეულნი არიან მთავრობის წევრები და პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმომადგენლები.

ალლუმის შემდეგ მოეწყობა ფრენა.

გასამხედროება

საქართველოს ქიმიკოსთა პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა, ადგილებზე მოაწყონ კავშირის წევრ მსროლელთა წრეები. ამასთანავე ადგილებზე სამხედრო ძალებთან შეთანხმებით უნდა მოაწყონ ექსკურსიები სამხედრო ბანაკებში, და კითხვა-პასუხების საღამოები სამხედრო თემებზე.

თათბირი

დღეს დილის ათ საათზე, ქალაქის კომენდანტის სამმართველოში შესდგება, ქალაქის ყველა ავიაქიმრაზმების ხელმძღვანელთა, პირველ დახმარების ქალთა წრეების, თავდაცვა-ავიაქიმის რაიონულ საბჭოების წარმომადგენელთა და ამ ორგანიზაციების აქტივის თათბირი. თათბირზე განიხილავენ საკითხს 17 ივლისის საჰაერო-ქიმიურ ომის ინსცენიროვკაში ამ ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

მოდელების შეჯიბრი

17 ივლისს დღის 12 საათზე, დიდუბის საჯირითო მინდვრის იქით გაიმართება მოდელების შეჯიბრი ამიერ-კავკასიის ჯილდოზე.

ჯილდოთ დაწესებულია 100 მანეთი იმ მოდელზე, რომელიც გაფრინდება 200 მეტრზე.

შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებს თბილისის 5 მოდელისტი.

ხელოსანთა კლუბში

ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის ხელოსანთა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 66) 17 ივლისს, საღამოს ექვს საათზე გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა. მთელი შემოსავალი გადაირიცხება თავდაცვა-ავიაქიმის ფონდში.

მეორე საჰაერო ლატარია

სრულიად საკავშირო მეორე საჰაერო ლატარიის ბილეთების გაყიდვა ცენტრში დაიწყება 17 ივლისიდან.

ვინაიდან ბილეთები ჯერ არ არის გადმოგზავნილი, ამიერ-კავკასიაში კამპანიას უფრო გვიან შეუდგებიან.

ამიერ-კავკასიისათვის მოთხოვნილია 100.000 ბილეთი.

კამპანიის მსვლელობა საბჭოთა კავშირში

ერთი დღის წველა თვითმფრინავისათვის

პიატიგორსკი, 15 ივლისი. ორი სოფლის მთიელებმა თვითმფრინავის ასაგებად გადასდევს შემოსავალი ერთი დღის წველის გაყიდვიდან—145 მანეთი (ადს).

„ალდანის მუშათა პასუხი“

იაკუტსკი, 15 ივლისი. იაკუტსკის ოქროს მადნების მუშათა შორის დაიწყო თანხების შეგროვება თვითმფრინავის ასაგებად, რომელსაც ეწოდება „ალდანის მუშათა პასუხი ჩემბერლენს“.

კომისიები სოფლად

ხარკოვი, 15 ივლისი. კვირეულის გამტარებელმა სრულიად უკრაინის კომისიამ საჭიროდ სცნო შექმნას დიდ სოფლებში კომისიები კვირეულის გასატარებლად (ადს).

„მშრომელი ებრაელი“

კიევი, 15 ივლისი. კიევში მშრომელ ებრაელთა შორის დაიწყო თანხების შეგროვება თვითმფრინავ „მშრომელ ებრაელი“-ს ასაგებად (ადს).

კიევში

კიევი, 15 ივლისი. ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში მუშაობის გათავების შემდეგ შესდგა საერთო კრებები თავდაცვის კვირეულის გამო.

პოლონურ გაზეთ „სერპ“-ის რედაქციამ მოაწყო პოლონურ ეროვნულ სასოფლო საბჭოების მდივანთა თათბირი თავდაცვის კვირეულის საკითხის განსახილველად. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ასზე მეტ პოლონურ სასოფლო საბჭოს წარმომადგენლებმა. მიღებულია დადგენილებები თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებისათვის ხელის შეწყობის შესახებ (ადს)

კომკავშირელთა მანევრები

მინსკი, 15 ივლისი. ბობრუისკის კომკავშირის ორგანიზაციამ მოაწყო ორდღიურიანი სამხედრო მანევრები. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო საქალაქო სამხედრო ორგანიზაციის 2000-ზე მეტმა კომკავშირელებმა. კომკავშირელებმა მოაწყვეს სალაშქრო სანიტარული რაზმები (ადს).

ოქტომბრის გენერალური რეპეტიცია

(1917 წ. ივლისის დღეების 10 წ. თავი)

დღეს, 16 ივლისს (ძველი სტილით სამ ივლისს) სრულდება ათი წელი მას შემდეგ, რაც პეტროგრადის რევოლიუციონური პროლეტარიატი აქტიურად გამოვიდა ლოზუნგით: მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

1917 წ. ივლისის დღეებში პირველად დაიღვარა საბჭოების ძალაუფლებისათვის მებრძოლთა სისხლი.

ამრიგად ივლისის ამბები წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ ეტაპს ოქტომბრის გადატრიალებისათვის მზადებაში.

რომ სავსებით ნათელი შეიქნეს ისტორიული მნიშვნელობა ამ დღეების და ის მიზეზები, რომლებმაც პეტროგრადის მუშათა კლასი იარაღით ხელში გამოიყვანა ქუჩებში, საჭიროა მოკლეთ გავეცნოთ იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდენ ივლისის გამოსვლებს დაწყებული 27 თებერვლიდან.

* * *

ე. წ. დემოკრატიულმა პარტიებმა—ესერებმა და მენშევიკებმა თებერვლის რევოლიუციის პირველივე დღეებიდან გამოიჩინეს თავისი ნიშანდობლივი თვისებები—მხდალობა და ორპირობა.

იმ დროს, როცა ნიკოლოზ მეორემ, დაიმორჩილა რა მდგომარეობას, ხელი მოაწერა გადადგომის აქტს, როგორც თავისი, ისე თავისი შვილის სახელით, „დემოკრატიის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი კერენსკი, იმის მაგიერ, რომ მას პეტროგრადის აჯანყებული პროლეტარიატთან და ჯართან ერთად მიეღო ზომები თვითმპყრობელობის ყოველგვარი ნაშთების მოსასპობათ, მიეღო ზომები, რომ სამუდამოთ მოსპობილიყო ნიადაგი მონარქიის აღდგენისათვის თუგინდ დამფუძნებელი კრების საშუალებითაც კი—ამის მაგიერ ის კონტრ-რევოლიუციონური და მონარქისტული ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან—ლვოვთან, როძიანკოსთან და სხვ. ერთად ელოდებოდა, თუ რა გზას დაადგებოდა მიხეილ რომანოვი: მიიღებდა ის ნიკოლოზ მეორესაგან გადმოცემულ ტახტს, თუ გადადგომას ამჯობინებდა. და როცა მიხეილმა ამჯობინა გადადგომა, რადგან კარგად ხედავდა, რომ პიტერის პროლეტარიატი არ შეურიგდებოდა ერთი სისხლის მსმელის შეცვლას მეორეთი, „დემოკრატიის“ წარმომადგენელმა კერენსკიმ ვერ შეიკავა თავისი „აღტაცება“, მივარდა მიხეილ რომანოვთან და შესძახა:

„თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს საქციელს დააფასებს ისტორია, რადგან იგი გამსჭვალულია კეთილშობილებით, იგი უაღრესად პატრიოტულია და ამტკიცებს თქვენს უდიდეს სიყვარულს სამშობლოსადმი“.

„დემოკრატი“ კერენსკი თავის სიყვარულს მშრომელი მასებისადმი ამტკიცებდა იმით, რომ შეუძლებლად მიაჩნდა ერთი რომანოვის მაგიერ მეორის გამეფება.

და არა მარტო კერენსკი, არამედ სტიქიურად თვით მუშების მიერ შექმნილ პეტროგრადის მუშათა საბჭოს სათავეში მოქცეული მენშევიკ-ესერები—ჩხეიძე, წერეთელი, დანი და სხვ. ხელისუფლების საკითხს ღიად სტოვებდნენ, მის გადაჭრას ანდობდენ დამფუძნებელ კრებას და ამრიგად კითხვის ქვეშ აყენებდენ მონარქიის შეცვლას რესპუბლიკანური წყობილებით. თვით დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადა იდებოდა განუსაზღვრელი დროით, ხდებოდა ეს ბურჟუაზიის მოთხოვნით, რომელიც იმედოვნებდა, რომ რაც დრო გავიდოდა, უფრო მეტად შესძლებდა თავისი ძალების მობილიზაციას და მოამზადებდა ნიადაგს მონარქიის აღსადგენად.

ბურჟუაზიის პოლიტიკა კი რევოლიუციის პირველი დღეებიდან არავითარ ეჭვს არ სტოვებდა იმაში, რომ მას არ სურდა რესპუბლიკანური წყობილება, რომ ის ისწრაფოდა კონსტიტუციონური მონარქიისაკენ. ამის მრავალი მაგალითები ცნობილი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ესერ-მენშევიკები მაინც შესაძლებლად თვლიდენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას და მასთან ერთად „რევოლიუციის საქმის“ კეთებას.

გადაუჭრელი რჩებოდა აგრეთვე რევოლიუციის მიერ დღის წესრიგში დასმული საკითხი—ომისა და ზავის შესახებ.

ნახევარი თვე გავიდა, სანამ პეტროგრადის მუშების ზეგავლენით პეტროგრადის საბჭომ 27 (ძველი სტილით 14) მარტს მიიღო ცნობილი მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი.

პეტროგრადის საბჭო ევროპის ერებს მოუწოდებდა შეერთებული გამოსვლისაკენ მშვიდობიანობის დასამყარებლად.

თავის თავად ცხადია, რომ ამ მოწოდებას მხოლოდ სააგიტაციო ხასიათი ჰქონდა და არა რეალური, რადგან რევოლიუციის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრა თვით რევოლიუციონურ რუსეთში დატოვებული იყო მილიუკოვის ხელში, რომელიც სტამბოლის ჩაყლაპვაზე ოცნებობდა.

დროებითი მთავრობა კი 27 მარტამდე (9 აპრილამდე) სდუმდა ომისა და ზავის საკითხზე. და მხოლოდ ამ დღეს, რევოლიუციონური მასების უკმაყოფილებისა და ნაწილობრივ პეტროგრადის საბჭოს ზეგავლენით გამოაქვეყნა განცხადება „ომის ამოცანების“ (და არა ომის შეწყვეტის) შესახებ.

ამ მოწოდებაში დროებითი მთავრობა აცხადებდა, რომ „თავისუფალი რუსეთის ამოცანას შეადგენს არა ბატონობა სხვა ერებზე, არა მათი დოვლათის ხელში ჩაგდება, არა სხვისი ტერიტორიების ხელში ჩაგდება ძალით, არამედ სრული მშვიდობიანობის მიღწევა ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე“. განცხადება თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ეს ამოცანები დაედება საფუძვლად საგარეო პოლიტიკას დროებითი მთავრობისას, რომელიც გადაუხრელად ანხორციელებს ხალხის ნებისყოფას და იცავს ჩვენი სამშობლოს უფლებებს ჩვენი მოკავშირეების მიმართ მიღებულ ყოველ ვალდებულებების სრული დაცვით“.

ყველასათვის, ვინც კი ოდნავ კრიტიკულის თვალით შეხედავდა ამ განცხადებას, ცხადი შეიქნებოდა, რომ რუსეთის ბურჟუაზიას აზრადაც არ მოსდიოდა ხელის აღება მტაცებლურ, იმპერიალისტურ პოლიტიკაზე, რომ ნიკოლოზ მეორეს მთავრობის მიერ „მოკავშირეების მიმართ მიღებულ ვალდებულებათა სრულად დაცვა“ იყო არა „ხალხის ნებისყოფის განხორციელება“ გადაუხრელად, არამედ პირიქით—იმ ამოცანების განხორციელება სავსებით გადაუხრელად, რომელსაც რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია ისახავდა 1914 წლის ომის დაწყების პირველი დღეებიდან.

მაგრამ პეტროგრადის საბჭოს სათავეში მყოფი მენშევიკები სავსებით დაკმაყოფილდენ დროებითი მთავრობის ამ „ისტორიული აქტით“.

მენშევიკების ორგანო „რაბოჩაია გაზეტა“ 29 მარტის (10 აპრილის) ნომრის მეთაურში—„დემოკრატიის გამარჯვება“ სწერდა:

„ფიქრობდენ, რომ დროებითი მთავრობასა და დემოკრატიას შორის უთანხმოება სუფევს ომის საკითხში, რომ საკითხში, რომელიც შეეხება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, მოსალოდნელია შეკავშირებული დემოკრატიის შეურიგებელი ბრძოლა მთავრობასთან. მთავრობის მიერ ახლახან გამოქვეყნებული განცხადება ომის შესახებ გვაიძულებს ჩვენ უდიდესი კმაყოფილებით ვაღიაროთ, რომ მთავრობამ, რომელიც გრძნობს მთელს პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე, სერიოზული ნაბიჯი გადადგა დემოკრატიის მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად“.

ასე ატყუებდენ ესერ-მენშევიკები თავის თავსა და რუსეთის მშრომელ მასებს დროებითი მთავრობაში მოკალათებულ ბურჟუაზიის წარმომადგენლების ნამდვილი ზრახვების შეფასებაში.

მაგრამ ეს თეთრი ძაფებით ნაკერი განცხადება დროებითი მთავრობისა თუ მოატყუებდა მხოლოდ იმათ, ვინც თავის უწმინდეს მოვალეობათ დაისახა რევოლიუციის ძლევამოსილი წინსვლის შეფერხება, მაგრამ არა პეტროგრადის მუშებს, რომლებიც, როგორც ყოველთვის, ფხიზლად იდგენ. მომენტის შეფასებამ არ უღალატა პეტროგრადის ფხიზელ პროლეტარიატს. თუ ჯერ კიდევ „საშინაო მოსახმარად“ გამოშვებული განცხადება დროებითი მთავრობისა „ომის ამოცანების“ შესახებ არავითარ ეჭვს არ სტოვებდა იმაში, რომ დროებითი მთავრობა არც კი ფიქრობს ნაბიჯების გადადგმას ომის შესაწყვეტად, მილიუკოვის მიერ 18 აპრილს (1-ლ მაისს) პეტრ. საბჭოსა და „დემოკრატიის“ სხვა ორგანოების გაუფრთხილებლად მოკავშირეებისათვის გადაცემული ნოტა აშკარად აცხადებდა, რომ „დროებითი მთავრობა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიიყვანოს ომი სრულ გამარჯვებამდე და ამ მიზნით შეასრულოს ყველა ვალდებულებები, რომლებიც მოკავშირეების მიმართ მიიღო დამხობილმა მეფის მთავრობამ“.

როგორც კი პეტროგრადის პროლეტარიატმა გაიგო ნოტის გაგზავნის ამბავი, ფაბრიკა-ქარხნებში გაიმართა სასწრაფო საპროტესტო მიტინგები.

21 აპრილს (4 მაისს) კი პეტროგრადის შეკავშირებული პროლეტარიატი გამოვიდა ქუჩებში, რომ გამოეთქვა თავისი აღშფოთება. მიუხედავად იმისა, რომ ესერ-მენშევიკები შეეცადენ მოძრაობის სადავე ხელიდან არ გაეშვათ, დემონსტრაციაზე სჭარბობდა ბოლშევიკური ლოზუნგები.

„ძირს მინისტრი კაპიტალისტები“, „ძირს დროებითი მთავრობა“, „ძირს მილიუკოვი და გუჩკოვი“—ასეთი ლოზუნგებით გამოვიდენ პეტროგრადის რევოლიუციონური მუშები და ჯარისკაცები.

ზოგიერთ ადგილებში ბურჟუაზია შეეცადა მოეწყო კონტრ-დემონსტრაციები დრ. მთავრობის სასარგებლოდ. მოხდა შეტაკებებიც.

მაშინ პეტროგრადის საბჭომ დაინახა, რომ მუშებისა და ჯარისკაცების აღშფოთება სცილდება „ზომიერების“ ფარგლებს და 23 აპრილს (6 მაისს) გამოუშვა მოწოდება, რომლითაც კრძალავდა ყოველგვარ მიტინგებსა და მანიფესტაციებს და მოღალატედ აცხადებდა ყველას, ვინც შეიარაღებული გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა მასებს.

მაგრამ რევოლიუციონური მასების გამოსვლამ უკვე გამოიწვია დროებითი მთავრობის პირველი კრიზისი: მისი შემადგენლობიდან გამოვიდენ სამხედრო მინისტრი გუჩკოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი მილიუკოვი. მთავრობის კრიზისი პეტროგრადის საბჭოს მენშევიკ-ესერულმა უმრავლესობამ „გადასჭრა“ „სოციალისტების“ წარგზავნით მთავრობაში. მაგრამ ბურჟუაზიამ რეორგანიზაციაქმნილ დროებითი მთავრობაშიც შეინარჩუნა უმნიშვნელოვანესი პორტფელები: მთავრობის თავმჯდომარედ დარჩა თავადი ლვოვი, საგარეო საქმეთა მინისტრად ბურჟუაზიის წარმომადგენელი ტერეშჩენკო.

* * *

„სოციალისტებით“ შევსებულმა დროებითმა მთავრობამ ჩქარა დაამტკიცა, რომ მას არა ნაკლებ შეუძლია ემსახუროს საერთაშორისო და რუსეთის იმპერიალისტების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა მის რიგებში იყვენ ისეთი „მამალი“ იმპერიალისტები, როგორც მილიუკოვი და გუჩკოვია.

18 ივნისს (პირველ ივლისს) სამხედრო და საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ გამოაქვეყნა ბრძანება არმიისადმი, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამი იყო:

„თავისუფლებასა და რევოლიუციას საფრთხე მოელის. დადგა დრო და არმიამ უნდა მოიხადოს თავისი ვალი. მთავარსარდალი, გამარჯვებით მოსილი ბელადი, აღიარებს, რომ შემდგომი დაგვიანების თვითეული დღე მხოლოდ აძლიერებს მტერს და რომ მხოლოდ დაუყოვნებლივი და გაბედული დარტყმით შევსძლებთ ჩვენ მისი გეგმების ჩაშლას.

ამიტომ მე, სამშობლოს წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, თავისუფალი ხალხისა და მისი დროებითი მთავრობის სახელით მოუწოდებ არმიებს, გამაგრებულთ რევოლიუციის სულითა და ძლიერებით, გადავიდენ შეტევაზე.

— ოფიცრებო და ჯარისკაცებო! იცოდეთ, რომ მთელი რუსეთი გლოცავთ თქვენ შეტევაზე თავისუფლებისათვის, სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისათვის, მტკიცე და პატიოსანი ზავისათვის.

გიბრძანებთ თქვენ—წინ!

სამხედრო და საზღვაო მინისტრი **კერენსკი**.

აშკარა იყო, რომ იმ განწყობილების პირობებში, რომელიც სუფევდა ფრონტზე და ზურგში, როცა რამოდენიმე წლის განმავლობაში სანგრებში მოქანცული მშიერ-ტიტველი ჯარისკაცები მასობით სტოვებდა ფრონტს (პეტროგრადის საბჭოს „უწყებების“ 1917 წ. თითქმის ყოველ ნომერში მოიპოვება ცნობა მასიური დეზერტირობის შესახებ ნაწილებიდან), როცა პეტროგრად-მოსკოვის მუშები გადაჭრით მოითხოვდენ ზავის ჩამოგდებას,—ასეთ პირობებში შეტევაზე გადასვლის მოწოდება იყო აშკარა პროვოკაცია, მასების გამოწვევა. ახლა უკვე დოკუმენტალურად არის დამტკიცებული (იხ. საფრანგეთის ელჩის (მოსკოვში) მორის პალეოლოგის მოგონებები), რომ 18 ივნისის შეტევა დაიწყო მოკავშირეების მოთხოვნით, რომელთა მდგომარეობა ფრონტზე კრიტიკული იყო. შეტევა იყო აშკარა ავანტიურა, რადგან, თუ შესაძლებელი იყო ჯარების შეგროვება შეტევაზე გადასასვლელად, ფრონტზე არ მოიპოვებოდა არავითარი რეზერვი, არავითარი ძალა, რომელიც ზურგს გაუმაგრებდა შეტევაზე გადასულ ნაწილებს, რომლებიც ამრიგად წინასწარ განწირული იყვენ გასანადგურებლად.

მაგრამ პეტროგრადის საბჭოს სათავეში მდგომი ესერ-მენშევიკები შეგნებულად ხუჭავდენ თვალს ამ ფაქტებზე. **ისინი მტკიცედ და გადაუხრელად აკეთებდენ ბურჟუაზიის საქმეს** და თავის ამ კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობას ფარავდენ რევოლიუციის სამსახურის სამოსელში. აი, რას ამბობდა ირაკლი წერეთელი პეტროგრადის საბჭოს 19 ივნისის (ორი ივლისის) სხდომაზე:

„...ჩვენი რევოლიუციონური არმია გადავიდა შეტევაზე, მან დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ რუსეთის რევოლიუციით განმტკიცებულმა დემოკრატიულმა საფუძვლებმა არა თუ არ შეასუსტეს, არამედ გაამაგრეს არმიის ძლიერება. იშლება ახალი ფურცელი რუსეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაში“-ო.

მაგრამ პეტროგრადის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა და გარნიზონმა კვლავ დაამტკიცეს, რომ ისინი ისე არ უცქერიან კერენსკის ავანტიურას, როგორც დროებითი მთავრობა და პეტროგრადის საბჭოს უმრავლესობა.

პეტროგრადის საბჭოს მიერ თვრამეტ ივნისს (პირველ ივლისს) გამართული „რევოლიუციონური მთლიანობის დემონსტრაცია“ გადაიქცა დემონსტრაციად ომისა და დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. პატრიოტული და ესერ-მენშევიკური ლოზუნგები ამ დემონსტრაციის დროს მთლიანად დაიჩრდილა ბოლშევიკური ლოზუნგებით: „ძირს დროებითი მთავრობა“, „ძირს სახელმწიფო სათათბირო და სახელმწიფო საბჭო“, „ძირს კატორღული ბრძანებები ჯარისკაცების წინააღმდეგ“, „ძირს ომი“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“.

თვით პეტროგრადის საბჭოს „უწყებებიც“ კი აღიარებდა მეორე დღეს, რომ დემონსტრანტებში გაბატონებული იყო „ლენინელების ლოზუნგები“ და მოუწოდებდა საბჭოს სერიოზული ყურადღება მიექცია ამ ფაქტისათვის.

არავითარ ზომებს არ იღებდა დროებითი მთავრობა აგრეთვე არც მიწის საკითხისა და არც შრომის საკითხის გადასაწყვეტად.

ზოგიერთ გუბერნიებში, სადაც გლეხები თავისი ინიციატივით შეუდგენ მემამულეების მიწების ჩამორთმევას, გაგზავნილი იქნა დამსჯელი ექსპედიციები.

8 საათის სამუშაო დღე პეტროგრადსა და მოსკოვში მუშებმა თვითნებურად განახორციელეს.

გამწვავებული იყო ეროვნული საკითხი: ფინეთი და უკრაინა დაჟინებით მოითხოვდენ თვითგამორკვევის უფლებას.

დროებითი მთავრობა კი ერთ ადგილს ტკეპნიდა. ბურჟუაზიული მინისტრები, რომლებსაც არ სურდათ უარის თქმა თავის დიდ მპყრობელურ ზრახვებზე, უყოვლანოდ უშლიდენ ხელს ეროვნული საკითხის მოგვარებას.

გადაუწყვეტელი იყო მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

მასების უკმაყოფილება იზრდებოდა და მზადდებოდა ნიადაგი მორიგი გამოსვლებისათვის დროებითი მთავრობის კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკის წინააღმდეგ.

* * *

ერთად-ერთი პარტია, რომელსაც გარკვეული შეხედულება ჰქონდა რევოლიუციის ამოცანებზე, იყო ბოლშევიკური პარტია, რომელმაც ლენინის პირით ასე ჩამოაყალიბა პროლეტარიატის ამოცანები (ლენინი „პროლეტარიატის ამოცანების შესახებ მიმდინარე რევოლიუციაში“).

„ჩვენ დამოკიდებულებაში ომის მიმართ, რომელიც რუსეთის მხრივ ლვოვისა და კომპანიის ახალი მთავრობის დროსაც უსათუოდ რჩება მტაცებლურ-იმპერიალისტურ ომათ, ამ მთავრობის კაპიტალისტური ხასიათის გამო, დაუშვებელია სულ მცირედი დათმობაც კი „რევოლიუციონური ობორონცების“ მიმართ“.

„შეგნებულ პროლეტარიატს შეუძლია თავისი თანხმობის მიცემა რევოლიუციონურ ომზე, რომელიც ნამდვილად გაამართლებს რევოლიუციონურ ობორონცობას, მხოლოდ იმ პირობით, თუ: ა) ძალაუფლება გადავა პროლეტარიატისა და მის მომხრე უღარიბესი გლეხობის ხელში; ბ) უარს იტყვიან ანექსიაზე არა სიტყვით, არამედ საქმით, გ) საქმითვე იქნება გაწყვეტილი ყოველგვარი კავშირი კაპიტალის ინტერესებთან“.

„ვინაიდან რევოლიუციონური ობორონცების მასიურ წარმომადგენლების ფართე ფენებს, ეჭვს გარეშე, ახასიათებს კეთილსინდისიერება და ისინი ომს მხარს უჭერენ მხოლოდ აუცილებლობის გამო და არა დაპყრობების მიზნით,რადგან ისინი მოტყუებული არიან ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა საფუძვლიანად, დაჟინებით, მოთმინებით ვანუმარტოთ მათ მათი შეცდომა, განუმარტოთ კაპიტალის განუყრელი კავშირი იმპერიალისტურ ომთან, დაუმტკიცოთ, რომ ომის გათავება ნამდვილად დემოკრატიულად არ შეიძლება ძალადობითი ზავით,კაპიტალის დაუმხობლად“.

„საჭიროა ამ შეხედულების ფართე პროპაგანდა მომქმედ არმიაში“.

„დაძმობილობა“.

„2) მიმდინარე მომენტის თავისებურობა რუსეთში მდგომარეობს გადასვლაში რევოლიუციის პირველი ეტაპიდან, როცა პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობის და არასაკმაო დარაზმულობის გამო, ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ბურჟუაზიამ, მეორე ეტაპში, რომელმაც ძალაუფლება უნდა მისცეს პროლეტარიატსა და გლეხობის უღარიბეს ფენებს“.

„ამ გადასვლას ერთის მხრივ ახასიათებს ლეგალობის მაქსიმუმი (რუსეთი ახლა ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყანაა მსოფლიოში მებრძოლ სახელმწიფოებიდან), მეორე მხრივ ის, რომ ადგილი არა აქვს ძალადობას მასებზე და, დაბოლოს ამ მასების შეუგნებლად—ნდობით მოპყრობა კაპიტალისტების, მშვიდობიანობისა და სოციალიზმის ამ ყველაზე უარესი მტრების მთავრობისადმი“.

„ეს თავისებურობა მოითხოვს ჩვენგან შევეგუოთ არაჩვეულებრივად ფართე, პოლიტიკური ცხოვრებისათვის ახლად გამოღვიძებულ პროლეტარიატის მასებს შორის პარტიული მუშაობის განსაკუთრებულ პირობებს“.

„3) არავითარი მხარის დაჭერა დროებითი მთავრობისათვის, განმარტება ყველა მისი დაპირობების სიცრუისა, განსაკუთრებით, ანექსიებზე უარის თქმის საკითხში. გამაშკარავება, ნაცვლად დაუშვებელი, ილიუზიების მთესველი „მოთხოვნილებისა“, რომ ამ მთავრობამ, კაპიტალისტების მთავრობამ, ხელი აიღოს თავის იმპერიალისტურ ბუნებაზე“.

„4) აღიარება ფაქტის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების უმრავლესობაში ჩვენი პარტია შეადგენს უმცირესობას, და ჯერ კიდევ სუსტ უმცირესობას ყველა წვრილ ბურჟუაზიული, ოპორტუნისტული, ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოქცეული და პროლეტარიატში ამ ბურჟუაზიის გავლენის გამტარებელი ყველა ელემენტების ბლოკის წინაშე“.

„იმის განმარტება მასებისათვის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო არის ერთად-ერთი შესაძლებელი რევოლიუციონური მთავრობა და რომ, ამიტომ, ჩვენი ამოცანა, სანამ ეს მთავრობა ემორჩილება ბურჟუაზიის გავლენას, შეიძლება იყოს მხოლოდ მოთმინებითი, სისტემატიური, დაჟინებითი, განსაკუთრებით მასების პრაქტიკულ საჭიროებებთან შეგუებული განმარტება შეცდომებისა და ტაქტიკისა“.

„სანამ ჩვენ უმცირესობაში ვართ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკისა და შეცდომების გამორკვევის მუშაობას და ამავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლას მუშათა დეპუტატების საბჭოების ხელში, რათა მასამ გამოცდილებით გაინთავისუფლოს თავი შეცდომისაგან“.

„5) არა პარლამენტარული რესპუბლიკა,—მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან მისკენ დაბრუნება, ეს იქნებოდა ნაბიჯი უკან,—არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა რესპუბლიკა მთელს ქვეყანაში, ქვევიდან ზევით“ და სხვ..

აი, რა ამოცანები დასახა ლენინმა რევოლიუციონურ მუშათა და გლეხთა წინაშე უცხოეთიდან დაბრუნების პირველსავე დღეს.

* * *

პირველ ხანებში, თვითმპყრობელობაზე გამარჯვებით გაბრუებულ მასებში ლენინის მოწოდებამ ვერ ჰპოვა გამოძახილი, არა თუ ფართე მასებმა, არამედ ნ. ლენინის თვით ზოგიერთმა უახლოესმა ამხანაგებმა ერთბაშად ვერ შეითვისეს ეს საბჭოების ხელში ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგი.

რევოლიუციის პირველ დღეებში პროლეტარიატმა ინსტინქტიურად შექმნა თავისი კლასიური ორგანოები—საბჭოები, რადგან ისეთ „რევოლიუციონურ“ ორგანოებს, როგორიც იყო სახელმწიფო სათათბირო და სახ. სათათბიროს კომიტეტი იგი ვერ ენდობოდა. მაგრამ პროლეტარიატს მაშინ აზრადაც არ მოსდიოდა გადაექცია საბჭოები სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებად. მას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ საბჭოების საშუალებით ის შესძლებს ზეგავლენის მოხდენას დროებით მთავრობაზე და მის საქმიანობას წარმართავს რევოლიუციის გასაფართოებლად და განსავითარებლად.

მოხდა კი პირიქით,—ბურჟუაზია დროებითი მთავრობის სახით, ამ მთავრობაში მყოფ „სოციალისტ“—მინისტრების ხელით, გადაუხრელად აკეთებდა **თავის** საქმეს. მასებში კიდევ ძლიერი იყო განწყობილება, რომელსაც ლენინი უწოდებდა „კონსტიტუციონურ ილიუზიებს“.

მაგრამ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკამ დაარწმუნა მასები, რომ ამ პოლიტიკიდან არაფერი გამოვა, რომ მათ ძლიერ დიდხანს უხდებათ ლოდინი, სანამ ა) ბოლო მოეღებოდა ომს,ბ) სანამ გლეხები მიიღებდენ მიწას, გ) სანამ არმიაში გატარდებოდა სრული დემოკრატიზაცია, დ) სანამ სახელმწიფო აპარატი სავსებით გაიწმინდებოდა შავრაზმელებისაგან, ე) სანამ დაწესდებოდა კონტროლი მრეწველობაზე და სხვა.

მასების მოთმინების ფიალა აივსო და მომზადდა ნიადაგი პეტროგრადის პროლეტარიატის, მთელი რუსეთის რევოლიუციონური მშრომელი მასების ამ ავანგარდის და პეტროგრადის რევოლიუციონური გარნიზონის სტიქიური გამოსვლისათვის 3-4-5 (16-17-18) ივლისის დღეებში.

* * *

ჩვენი პარტია ხედავდა, თუ როგორ იზრდებოდა მასების უკმაყოფილება, თუ როგორ ითვისებდენ მის ლოზუნგებს მუშათა ის მასებიც კი, რომლებიც წინად ესერ-მენშევიკებს მიყვებოდენ, მაგრამ ნაადრევად თვლიდა გამოსვლას ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ნაადრევი გამოსვლა კი საშუალებას მისცემდა ბურჟუაზიას სისხლში ჩაეხრჩო ახალი რევოლიუციონური ხელისუფლება, მოესპო საბჭოები—რევოლიუციის ეს დასაყრდენი და აშკარად აეფრიალებია კონტრ-რევოლიუციის დროშა.

მაგრამ, როცა პეტროგრადის მუშებმა, მიუხედავად ბოლშევიკური პარტიის გაფრთხილებისა, გადასწყვიტეს მაინც გამოსულიყვენ ქუჩაში, პარტიამ გადასწყვიტა ორგანიზაციული ხასიათი მიეცა ამ გამოსვლებისათვის, გაეწია ხელმძღვანელობა. სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო მუშათა პარტიას, რომელიც ჭირშიც და ლხინშიც მუშებთან უნდა იყოს.

„დაწყებული სამი ივლისის დილიდან (ძველი სტილით) პეტროგრადის ყველა მუშათა რაიონებში და პეტროგრადის გარნიზონის სამხედრო ნაწილებში სტიქიურად იმართებოდა მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგები, რომლებზედაც საყოველთაო თანაგრძნობით გამოსული ორატორები მოუწოდებდენ მასებს გამოსვლებისაკენ დროებითი მთავრობის დასამხობათ და მთელი ძალაუფლების გადასაცემად მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისათვის. დაუყოვნებლივი გამოსვლის აუცილებლობას ჩვეულებრივ მუშათა და ჯარისკაცთა მასები იქვე სწყვეტდენ ერთსულოვანი ხმის მიცემით.

„ჩვენი პარტიის ცეკას, პეტროგრადის კომიტეტს და განსაკუთრებით ჩვენი პარტიის სამხედრო ორგანიზაციას განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ყველა დიდ ფაბრიკა-ქარხნებთან და აგრეთვე სამხედრო ნაწილებთან. გარდა ამისა, ქარხნებსა და ფაბრიკებს, სადაც მიტინგები იმართებოდა, და აგრეთვე სამხედრო ნაწილებს, საკუთარი ინიციატივით, კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან სპეციალური პირების საშუალებით, რათა გაეგოთ, თუ როგორ უყურებენ მომავალ გამოსვლას სხვა წარმოებები და სამხედრო ნაწილები“.

„ზოგიერთი სამხედრო ნაწილები, მაგ. მოსკოვის პირველი ტყვიის მფრქვეველთა და გრენადიორის პოლკები სრული შეიარაღებით, წითელი დროშებით, პლაკატებით და 18 ივნისის დემონსტრაციის ლოზუნგებით, რომლებიც შეიცავდენ მოთხოვნილებას დროებითი მთავრობის გადაყენებისა და ძალაუფლების საბჭოების ხელში გადაცემის შესახებ, გამოვიდენ ქალაქის ქუჩებში და საღამოს 8 საათზე გაემართენ კშესინსკაიას სასახლისაკენ, სადაც მოთავსებული იყო ბოლშევიკური პარტიის ც. კ. და მოითხოვეს გაძღოლოდენ მათ დროებითი მთავრობის დასამხობათ“*).

მთელი ღამის განმავლობაში პეტროგრადის ქუჩები სავსე იყო შეიარაღებული მუშებითა და ჯარისკაცებით. აჯანყებული მუშები და ჯარისკაცები იყვენ თავმოყრილი აგრეთვე ტავრიჩის სასახლის გარშემო, სადაც მენშევიკურ-ესერულ

---

*). ამონაწერი ამოღებულია ცეტკოვა-პროსვეშჩენსკის ბროშიურიდან „ივლისის დღეებში“.

კამოს ხსოვნას

(დაღუპვიდან 5 წლის შესრულების გამო)

> „განვლენ წლები და ხსოვნა მისი არა თუ არ წაიშლება, არამედ კიდევ უფრო გაცხოველდება, წარვლენ დრონი და საქმენი მისნი საზღაპრო გმირულ ამბებად გადაიქცევიან".
>
> **ფ. მახარაძე.**

დღეს შესრულდა ხუთი წელი, რაც ბრმა შემთხვევამ გამარჯვებულ რევოლუციას ხელიდან გამოსტაცა შეუდრეკელი მებრძოლი, გაუტეხელი ნებისყოფით დაჯილდოვებული, რევოლიუციონურ აქტების უბადლო ორგანიზატორი **ამხ. კამო.**

ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობას თამამად შეუძლია იამაყოს მისთვის თავდადებული შეუპოვარი გმირის სახელით.

რაც დრო გადის, კამოს დაუვიწყარი სახელი იმოსება ლეგენდარული დიდებით და მშრომელთა უსაზღვრო პატივისცემით.

გავიდა მხოლოდ ხუთი წელიწადი და კამოს შესახებ უკვე შეიქმნა მთელი ლიტერატურა. დაგროვდა საარქივო მასალები, დაიწერა წიგნები, სპეციალური გამოკვლევები, საგაზეთო წერილები, შეითხზა ლექსები და მოთხრობები.

კითხულობ ამ მასალებს, ამ ლიტერატურას და უსაზღვროდ გაკვირვებს ერთი რამ,—გაკვირვებს ამ ადამიანის დაუშრეტელი რევოლიუციონური პოტენციეა, მისი მოუსვენარი ბუნება და ფოლადის ნებისყოფა, რომელმაც მას საშუალება მისცა წარმოუდგენელად გადაეტანა არაადამიანური წამება და მუდამ დღე სასიკვდილო განსაცდელში მყოფს ეკეთებინა განსაკუთრებული საგმირო საქმეები.

კამო, რომ ჩვენი დროის შვილი არ ყოფილიყო, მისი თავგადასავალი ფანტასტიური ზღაპრული გმირის ამბავი გეგონებოდა.

რამდენი ახალგაზრდის ნატვრაა დღეს,—ენახათ ცოცხალი კამო, მისი საკვირველი გმირობა, ენახათ კამო, რომელიც ამ ხუთი წლის წინად გახდა სრულიად უბრალო ფათერაკის მსხვერპლი და, რომელსაც კიდევ ჭარბად ჰქონდა ძალა და მხნეობა საკვირველ რევოლიუციონურ გმირობათა ჩასადენათ.

მ—ი.

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო კამპანიის შედეგი

(თბილისი)

უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედების ბიუროს წარსულ ანგარიშებთან შედარებით, დღევანდელმა კამპანიამ მოგვცა უკეთესი ანგარიშები იმ მხრივ, რომ ამ ანგარიშებში უკეთ იყო წარმოდგენილი პარტმუშაობის ყველა დარგი და ფართოდ იყო გაშუქებული პარტიული მასების წინაშე მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს პარტიული მასების აქტივობის დიდი ზრდა თვით-გადასინჯვის კომისიების გამოყოფასთან დაკავშირებით.

ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად მასიური შვებულებისა და კომპარტიის წევრთა მოძრაობისა, პარტიის წევრები მაინც ესწრებოდნენ უჯრედების საანგარიშო კრებებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საანგარიშო მოხსენებების ვარჩევაში.

მომხსენებლები, უჯრედის წევრთა ყურადღებას აჩერებდნენ უმთავრესად უჯრედის მუშაობის მთავარ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდნენ როგორც შინაპარტიულ ცხოვრებას, ისე სამეურნეო, პროფესიონალურ და კომკავშირის მუშაობას და ამჟღავნებდნენ მუშაობის ნაკლოვანებებს და მათ მიზეზებს.

ერთ-ერთი დიდი ნაკლი მდგომარეობს პარტდისციპლინის შესუსტებაში და ეს გამოიხატება იმ ფაქტში, რომ პარტიის წევრები წესიერად და სისტემატიურად არ ესწრებიან უჯრედების კრებებს.

საწევრო გადასახადის შემოტანა დააგვიანა ერთი თვით და მეტი ზოგიერთ უჯრედებში, წევრთა 20 და 30 პროცენტმა. შემჩნეულია აგრეთვე რომ ზოგიერთ უჯრედებში პარტიის წევრები ერიდებიან დავალებების ასრულებას.

პარტორგანოების მუშაობა მოისუსტებს. პარტორგანოები არ აძლევენ უჯრედების ბიუროებს ყოველდღიურ ინფორმაციას და კმაყოფილდებიან საანგარიშო მოხსენებებით 3—6 თვეში ერთხელ. სუსტია პარტორგანოების მუშაობა აგრეთვე განმარტებითი კამპანიის ჩატარებაში, რომელმაც უნდა გამოაშკარაოს მუშათა ჯგუფების ზოგიერთი უარყოფითი განწყობილებანი.

უჯრედების მუშაობის შემდეგი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ სუსტად ვითარდებიან ორგანიზაციები წარმოებების უჯრედებში. ეს ნაკლი ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ უჯრედების ხელმძღვანელები ფიქრობენ, თითქოს მთელი უპარტიო აქტივი იყოს მოქცეული პარტიაში და ამოწურული იყოს მუშათა აქტივის კადრი, რომლის ხარჯზე შეიძლებოდეს პარტიის ზრდა. ამიტომ საჭიროა უჯრედმა სათანადო ყურადღება მიაქციოს წარმოებების უჯრედების გაფართოებას, რაც ხელს შეუწყობს პარტიის ზრდას.

პარტდატვირთვის დარგში დღემდე არსებობს პარტიული მოვალეობათა არა სწორი განაწილება უჯრედის წევრთა შორის; თუმცა ამ საკითხს უჯრედებმა უკვე მიაქციეს ყურადღება. მაგრამ დღემდე მაინც არ არის ის სრულებით მოწესრიგებული.

დაწესებულებათა უჯრედების მონაწილეობა დაწესებულების მუშაობაში არ არის საკმარისი. უჯრედებს არ შეუსწავლიათ საკითხი აპარატის რაციონალიზაციის შესახებ და კმაყოფილდებიან იმით, რომ ამ მხრივ მუშაობას აწარმოებს მუშურ-გლეხური ინსპექციის რაციონალიზაციის ბიურო.

მუშათა უჯრედებში ნაკლები ყურადღება ექცევა ცალკე საწარმოო საკითხებს; არ არჩევენ ბრიგადირების მოხსენებებს და კმაყოფილდებიან მხოლოდ საამქროების გამგეების პერიოდული ანგარიშებით.

შემდეგ, უჯრედის ბიურო დაუმუშავებლად სტოვებს უჯრედის პლენუმის დღის წესრიგში დასმულ საკითხებს. სუსტია საამქრო ბიუროს მუშაობაც. სამკერვალო საამქროს მუშებმა ისიც არ იციან, რომ არსებობს ასეთი ბიურო.

უჯრედების ბიურო სათანადოთ ვერ ხელმძღვანელობს საწარმოო კომისიების მუშაობას; კომუნისტები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ ამ კომისიების მუშაობაში.

სუსტია აგრეთვე მასიური მუშაობაც. აღსანიშნავია, რომ უჯრედის ღია კრებებს უპარტიო მუშები თითქმის არ ესწრებიან. და ზოგ შემთხვევაში კი ასეთი ღია კრებები უპარტიოთა დაუსწრებლობის მიზეზით იქცევა დახურულ კრებათ. უჯრედების დახურული კრებები სჭარბობენ ღიას. საკითხების შერჩევის დროს არ ექცევა ყურადღება უპარტიო მუშების სულიერ განწყობილებას და შეკითხვებს; არ იყენებენ მასიური მუშაობისათვის საამქროებში საუზმესათვის დაწესებულ დასვენებას.

მოხალისე საზოგადოებები სუსტად მუშაობენ. პარტგანათლების საკითხი არ არის მოწესრიგებული; გაცხრილვის დროს ჩამოშორებულთა რიცხვი აღწევს 27 პროცენტს და მეტსაც.

საანგარიშო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით ყველა უჯრედის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად. გამონაკლისს შეადგენს ამ.-კ. სატრანსპორტო მომმარაგებელი საზოგადოების უჯრედი, რომლის მუშაობა მოისუსტებს. საანგარიშო მოხსენების შესახებ მიღებულია გასასინჯავი კომისიების პრაქტიკული წინადადებები, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში შეტანილი იქნა შესწორებები, კამათში მონაწილეთა წინადადებების მიხედვით.

ძ—ია.

პარტიული მუშაობა თემებში

1926 წლის მაისიდან სენაკის მაზრაში გაუქმებული იქნა თემკომების ფასიანი მდივნების ინსტიტუტი, თემკომები, როგორც სისტემა დატოვებულ იქმნა, მხოლოდ მუშაობის გაუმჯობესებისა და გამოცოცხლების მიზნით გადიდებულ იქნას სამაზრო ინსტრუქტორ. კადრი 2-დან 3-მდე. სამაზრო ინსტრუქტორები მიმაგრებულნი იქნენ სამუშაოდ განსაზღვრულ რაიონებზე და ფაქტიურად გამოვიდა რაინსტრუქტორების სისტემა.

მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახა ამ სისტემის უვარგისობა, ფასიანი თემკომის მდივნების გაუქმებამ და რაინსტრუქტორების შემოღებამ ვერ გამართლა დასახული მიზნები.

დავიწყოთ ფაქტებიდან: ვინაიდან ფასიანი მდივნების ინსტიტუტი გაუქმდა, შეუძლებელი აღმოჩნდა ცოტად თუ ბევრად მომზადებული ამხ. ამხ. ყოლა თემკომის მდივნებად, ამან გამოიწვია უჯრედების მუშაობის შესუსტება.

რაინსტრუქტორები, რომლებიც თვეში ერთ ჯერ ან ორჯერ მიდიოდენ თემში არძალუძთ რაიმე ნაყოფიერ მუშაობის წარმოება. თემში ჩასული ინსტრუქტორი ჩაატარებდა მოხსენებას რაიმე პოლიტიკურ საკითხებზე და იმავე დღეს ბრუნდებოდა თემიდან, ის არ იყო გაცნობილი ადგილობრივ თემის საჭირ. საკითხებს. ინსტრუქტორებისა და სამკომის დირექტივების გამტარებელი თემში არავინ რჩებოდა. მუშაობის ასეთი პრაქტიკის შედეგათ მივიღეთ: 1). უჯრედების მუშაობის შესუსტება; 2) ორგანიზაციის ნაწილობრივი მოწყვეტა მასიდან და სამკომიდან; 3) პარტგავლენისა და ხელმძღვანელობის შესუსტება თემსაბჭოებისა და სხვა ადგ. ორგანიზაციებისადმი.

ამის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა შემდეგი ზომები თემკომების სისტემის ისევ ძალაში რჩება, სამკომის პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმებულია რაინსტრუქტორთა სისტემა და 15-ივლისიდან შემოღებული იქნება თემკომების ფასიანი მდივნების ინსტიტუტი.

მოხდა უჯრედ. ბიუროებისა და თემკომების გადარჩევა, მათი შემადგენლობის შერჩევით და გაუმჯობესებით. თემკომების მდივნებად შერჩეულ იქნენ შედარებით მომზადებული ამხანაგები: რაიონის ცენტრებში დატოვებულ იქნენ თემკომის მდივნებად ყოფ. რაინსტრუქტორები; დანარჩენ თემებში გამოყოფილ იქნენ ადგილობრივი ამხანაგები. მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევაში, როცა ადგილობრივ არ იყო სამისოდ მომზადებული პირები, თემკომის მდივნებად სხვა თემიდან იქნენ ამხანაგები მივლინებულნი. გამოყოფილია ჯგუფ. ორგანიზატორები, რომელნიც დახმარებას გაუწევენ, უჯრედის ბიუროს პარტმუშაობის გამოცოცხლებაში.

ამის გარდა თემებზე მიმაგრებული არიან მაზრაში მომუშავე ამხანაგები, რომელთაც გარდა სამაზრო ინსტრუქტორებისა თავიანთი მხრივ უნდა დაათვალიერონ თემორგანიზაციები. აგრეთვე საორგანიზაციო განყოფილების სამთვიურ სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია 7 თემკომის მდივნების გამოძახება და მათი მოხსენების მოსმენა ორგკოლეგიის ან სამკომის პრეზიდიუმის სხდომაზე.

მომზადებული, ძირითადი პარტიულ საკითხებს გაცნობილი ამხანაგების ყოლა თემკომის მდივნად ხელს შეუწყობს შინაპარტიულ მუშაობის გაუმჯობესებას, მის გაძლიერებას,—ეს კი თავის მხრით ხელს შეუწყობს შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებას და პარტხელმძღვანელობის გაძლიერებას კომკავშირზე, თემსაბჭოებზე და სხვა ადგ. ორგანიზაციებზე.

გაძლიერდება პარტიის გავლენა მასაზე, უკეთ გატარდება სამკომის დირექტივები თემორგანიზაციები დაუახლოვდება მასას და მაზრის ხელმძღვანელ ორგანოს. სამაზრო კომიტეტს სწორი ინფორმაცია ექნება თემებში პარტ მუშაობის შესახებ.

მ. ხარამია.

ამხ. ილარიონ ბრეგვაძის ხსოვნას

(ლეჩხ. მაზრა, ცაგერი)

ძალზე ცოტა მოგვეპოვება სპეციალისტები წითელი პედაგოგები; ამ დროს ჩვენმა მაზრამ დაკარგა ერთ-ერთი მომზადებული სპეციალური განათლებით ამხ. ილარიონ ბრეგვაძე. ამხანაგი ბრეგვაძე 1921 წლიდან კომკავშირის წევრი, ღარიბი გლეხის შვილი იყო; რომელმაც ამ სასწავლო წლის ბოლოს დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. ამხანაგ ილარიონს არ დასცალდა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა, მან ვერ მოასწრო თავისი ცოდნის გაშლა მის ჩამორჩენილ მაზრაში და ის ტრაგიკულად დაიღუპა—ქ. ბათომში ზღვაზე ბანაობის დროს.

ლეჩხუმის მაზრის კომკავშირის ორგანიზაცია ღრმის მწუხარებას გამოსთქვამს ამხანაგის უდროოდ დაკარგვაზე.

მშვიდობით ამხანაგო ილარიონ შენი სახელი მარადის დაუშლელი იქნება იმ ორგანიზაციის წევრებს შორის, რომლის წევრად 6 წლის განმავლობაში ითვლებოდი და სადაც მთელი შენი დაუღალავი ენერგიით ცდილობდი მონაწილეობა მიგეღო იმ დიად საქმის დაგვირგვინებაში, რომლისთვისაც დღეს მშრომელი მასსა და ჩვენი ორგანიზაციები იბრძვიან.

ს. მ.

საბჭოთა აღმშენებლობა აჭარისტანში

(საუბარი აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. გოგი ბერიძესთან)

თბილისში ამჟამად იმყოფება აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მამედ გოგიბერიძე.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. მ. გოგიბერიძემ საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ აჭარისტანში, განაცხადა:

— უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეტად სწრაფი ტემპით სწარმოებს მუშაობა აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგურის დასამთავრებლად. სამი გვირაბი უკვე მზათ არის. დაწყებულია მუშაობა მეოთხე და უკანასკნელი გვირაბის გასათხარად. სადგურის აგება დამთავრებული იქნება მომავალი წლის დასაწყისში.

ფართო მუშაობაა დაწყებული აჭარისტანის სოფლებში წყალსადენის და გზების გასაყვანად. ამ ერთ კვირაში ხულოს მაზრაში დამთავრდება დიდაჭარის წყალსადენის გაყვანა; წყალსადენის სიგრძეა 7 ვერსი. წყალსადენი გაყვანილი იქნება აგრეთვე სხვა სოფლებშიც, რითაც გადაწყდება საკითხი აჭარისტანის სოფლებისთვის სუფთა წყლის მიწოდების შესახებ.

დიდი მუშაობა სწარმოებს ამასთანავე სასოფლო და შარა-გზების გასაყვანად; დაწყებულია მუშაობა ქედის გზის გასაყვანად. ეს გზა იწყება ქობულეთიდან და მიდის 15 ვერსზე. ამას გარდა გაყვანილი იქნება ურამქის გზა (10 ვერსი), რომელიც ურამქის რაიონს შეუერთებს ბათომ-ახალციხის გზატკეცილს. შემუშავებულია პროექტები სხვა გზების გასაყვანათაც.

უკვე დავამთავრეთ მუშაობა ფანერის ქარხნის ასაგებად; ქარხანა ეკუთვნის აჭარისტანის სატყეო მრეწველობის ტრესტს. ქარხნის გახსნა მოხდება მომავალ კვირაში.

დაწყებულია მუშაობა ნავთსახდელ ქარხნების ასაგებად. ჯერჯერობით შენდება ერთი ქარხანა. ამ ქარხნების აგება გააცხოველებს ბათომის ცხოვრებას. უპირველეს ყოვლისა, სამუშაოს იშოვის მრავალი უმუშევარი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გზის გაყვანა დუშეთში

თელავი, 14 ივლისი. დუშეთის საურმე გზის გასაყვანად გაემგზავრენ ინჟინერი და ტეხნიკური პერსონალი. თუშები ერთსულოვნად გამოვიდენ სამუშაოზე. ახლო მომავალში შეკეთებული იქნება გზის ყველაზე უფრო საძნელო ნაწილი (10 ვერსი).

პროფესორ მორდვილკოს ჩამოსვლა

თელავი, 14 ივლისი. მოსკოვიდან თელავში ჩამოვიდა პროფესორი მორდვილკო ფილოქსერის ბიოლოგიური განვითარების შესასწავლად. პროფ. მორდვილკომ დაათვალიერა ურიათუბნის საცდელი სადგური და თელიანის და წინანდალის სახალხო მამულების ვენახები, თავის ცდებისათვის ადგილის ასარჩევად.

ნამყენი ვაზის მოყვანა

თელავი, 15 ივლისი. მიწათმოქმედების ინსტრუქტორის გამოკვლევით მიმდინარე წლის გაზაფხულზე, თელავის მაზრაში დამზადდა 3.178.300 ნამყენი ვაზი, რომელთა შორის 2.000.000 დამზადებულია ტრესტის მამულებში, დანარჩენი კი არტელების და გლეხთა ამხანაგობის მიერ. გლეხებმა 38 სოფელში შეგროვეს 200.000 ნამყენი. ახალი ნერგები კარგათ ხარობენ. (ადს).

სეტყვის შედეგები

თელავი, 15 ივლისი. სამაზრო კომისიამ გამოიკვლია სეტყვისაგან მიყენებული ზარალი. განსაკუთრებით დაზიანდენ ალაზანის გაღმა მდებარე სოფლები: შილდა, ქვარელი და ახალი სოფელი. ვენახებს გარდა გაფუჭებულია 1500 დესიატინამდე ნათესები. ძლიერ დაზარალდა ბოსტნეულობა (200 დესიატინამდე). მთელს მაზრაში ზარალი უდრის 800.000 მანეთს. (ადს).

სეტყვა

თელავი, 14 ივლისი. სოფ. ვაჩნაძიანში და შაშიანში მოვიდა სეტყვა: ვენახი 20—30 პროცენტით არის დაზიანებული. (ადს).

ნიგვზის მოსავალი

თელავი, 14 ივლისი. კახეთში წელს კარგი პირი უჩანს ნიგოზს. (ადს).

ექიმთა ყრილობა

თელავი, 15 ივლისი. თელავში შესდგა ექიმთა ყრილობა. ყრილობა შეეხო სოფლის მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს, მათ შორის ექიმბაშობას, მასების კულტურულად ჩამორჩენილობას და სხ. მოსმენილ იქნა აგრეთვე მოსკოვიდან დაბრუნებული ექიმის მოხსენება ტუბერკულიოზის საჩვენებელი დისპანსერიის შესახებ. (ადს).

წყალსადენი სოფელში

თელავი, 14 ივლისი. სოფ. ქვემო ხოდაშენის გლეხებმა მოაწყვეს წყალსადენი. სოფელს ამჟამად აქვს მთის სუფთა წყარო. (ადს).

თავდაცვის კვირეული

თელავი, 14 ივლისი. 10 ივლისს დაწყებული თავდაცვის კვირეული გაცხოველებით ტარდება. 10 და 11 ივლისს სწარმოებდა შეჯიბრება სროლაში; 12 და 13 ივლისს დაწესებულებებში და უჯრედებში წაკითხული იქნა მოხსენებები. კინო მთელი კვირის განმავლობაში მუშაობს თავდაცვა-ავიაქიმის სასარგებლოდ. გამოშვებულია გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები და გამოწვევები თვითმფრინავ „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"-ის ასაგებად შემოწირულებათა შემოსატანად (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

საგზაო მშენებლობა

ცხინვალი, 14 ივლისი. სამხრეთ-ოსეთის სოფლის მოსახლეობას მიმდინარე წელს საგზაო ბეგარის მოსახდელად უმთავრესად მეორე ხარისხოვან სამუშაოებზე იწვევენ. ახალ-გორის და მიუვალ მონასტერის რაიონის შორის დასრულდა გზის გაყვანა. ფართოვდება გუფტა-კუდარის გზა მდინარე ბაცის ხეობაში, რომელიც სამსახურს გაუწევს ოსეთის სამ რაიონს. 15 ივლისს დაიწყება სამხრეთ-ოსეთის ვაკე ადგილებში გზის გასაყვანათ მოსახლეობის გამოწვევა. გლეხები ხალისით იხდიან საგზაო ბეგარას (ადს).

წერილებიდან

— **დადგით ტელეფონი.** (ყარაიაზი). ყარაიაზის რაიონი ერთ მოზრდილ და მდიდარ რაიონათ ითვლება თბილისის მაზრაში. დღეს ადმინისტრატიული დაყოფის რაიონული სისტემა გაუქმებულია მაგრამ ყარაიაზს მაინც არ დაუკარგავს რაიონული ცენტრის მნიშვნელობა. ამოდენა რაიონს არა აქვს ტელეფონი, რის გამო მოწყვეტილია ცენტრს. უბრალო რამ საქმეზე გვიხდება თბილისში ჩასვლა, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს. ადგილობრივი მილიცია ემსახურება ორ თემს ალტალის და თვით ყარაიაზის თემს, რომლებიც დაშორებულია ერთმანეთზე 20 ვერსის მანძილზე. ტელეფონის ქსელის უქონლობის გამო მილიციას უძნელდება მუშაობა. საჭიროა მომავალ საბიუჯეტო წლისათვის მაინც იზრუნოს ტელეფონზე აღმასკომმა.

იბლისშვილი.

— **გადაიტანეთ.** (სოფ. ხევი, გურია) ჩვენი სამკითხველო მოთავსებულია აღმასკომის შენობაში, რაც უხერხულია, ვინაიდან აქვე ამავე ოთახში მოთავსებულია ტელეფონი და ფოსტის სააგენტო განყოფილება, გვერდზე აფთიაქი, სადაც არის აურ-ზაური და ხმამაღლა ლაპარაკი. ქოხ-სამკითხველო უნდა გადატანილ იქნეს სხვა ადგილას.

ელენაშვილი.

— **გახსენით საექიმო პუნქტი.** (ვეჯინ-წყემის თ., სენაკის მ.). ეს თემი შესდგება 800 კომლისაგან. ეს თემი დაშორებულია 8—9 ვერსით საექიმო პუნქტს. თუმცა ძველ სენაკში არსებობს საექიმო პუნქტი, მაგრამ ის ამ თემისათვის სრულიად არ არის ხელსაყრელი, რადგან ძველსენაკსა და ვეჯინ-წყემს შუა გადის მდინარე ტეხური, რომელიც ძლიერ მაგარი წყალია და 1 დეკემბრიდან ივლისის დამლევამდე მიმოსვლა საშიფათოა. ზამთარში ვეჯინ-წყემის თემის მცხოვრებნი იძულებულნი არიან არ უექიმოთ თავიანთ ავადმყოფს, რადგან 7—9 ვერსიდან ექიმის მოყვანა ძალიან ძვირი ჯდება.

საჭიროა ამას სენაკის ჯანმრთელობის განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება და დაუნიშნოს ამ თემს საექიმო ან საფერშლო პუნქტი აფთიაქით.

აკ. აბულაძე.

— **ყურადღების ღირსია.** (მარნის თემი, სენაკის მაზ.). აღნიშნულ თემის სოფ. მეორე ილორის მცხოვრებლებმა გასულ წელს ჩაუყარეს საძირკველი სამკითხველოს შენობას, რომლის ასაშენებლად საზოგადოებამ გაიღო საკმაო წვლილი. ამის შემდეგ გადის ერთი წელი და მოთავეებს არა უშველია რა. აშენდა მხოლოდ კედლები და მიმდინარე წელს ისიც ნახევარი დაინგრა.

კარგი იქნებოდა, რომ აღნიშნული თემის აღმასკომი მიაქცევდეს ამ გარემოებას ყურადღებას და შენობის აგებას გააგრძელებდეს.

შ. ვაჩიშვილი.

— **სანიტარულ სექციას სძინავს.** (ნოქალაქევის თ., სენ. მაზრა). წელს, როგორც სხვაგან ისე ნოქალაქევის თემსაბჭომაც გამოყო სანიტარული სექცია, რომელსაც [illegible] ძილისაგან ჯერ არ გაუღვიძია. სოფლებში დიდი უსუფთაობაა. საჭიროა სანიტარული სექციამ, გაიღვიძოს და მიხედოს სოფლებს.

ა. ბ—ლი.

— **საქონლის ჭირი.** (ს. ხეთა, ზუგდიდის მაზრა) როგორც ჩვენს თემში, და ხობის რაიონში, ისე მთელს ზუგდიდის მაზრაში გავრცელებულია საქონლის ჭირი. ხშირია შემთხვევა, რომ გლეხის ოჯახს აკლდება ორი-სამი სული მსხვილფეხა საქონელი. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები მთელ მაზრას გაანადგურებს ასეთი მავნებელი სენი.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

აკ. ივლიანიშვილი.

— **ნათესების მდგომარეობა.** (ფოთი). ფოთის რაიონში საყანე მიწა არის 1.300 ქცევა, აქედან დათესილია წელს 640 ქცევა. ნათესების მდგომარეობა აღინიშნება 3 ნიშნით. დაუთესავი დარჩა 660 ქცევა. თესვას ხელი შეუშალა ერთი მხრივ ხშირმა წვიმებმა და შემდეგ გვალვამ, მეორის მხრივ მოსახლეობის სულ მცირე პროცენტის ჩაბმამ სოფლის მეურნეობაში

შ. კუხალეიშვილი.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის
პროლეტარიატი

ამხ. იასონ ჯორბენაძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხ. სპირიდონ კიკაჩეიშვილს, გალაკტიონ ხარაბაძეს, ალექსანდრე ჯვარშეიშვილს, თაბორიძე დიმიტრის, სალუქვაძე რემზონ, ქებაძე ალექსანდრე, ედიგაროვი მიშა, პისკუნოვი; ზაქარია, სოლომონ ხეთერელი, ახვლედიანი კირილე, ჯვარშეიშვილი მელიტონ, ხეთერელი ილია; ხეთერელი ისიდორე, ენუქიძე ნიკიფორე.

გ. ჯვარიშვილი

ამხ. სერგო მეგრელიშვილის გამოწვევით შემომაქვს 10 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შემდეგ წევრებს: ბენიტო ბუაჩიძეს, დავით რონდელს, ვალიკო ლუარსამიძეს, იონა ვაკელს; კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ალიო მაშაშვილს, კალე ფეოდოსიშვილს, კარლო კალაძეს, ელიზბარ პოლუმორდვინოვს, პეტრე სამსონიძეს, გ. შინატეხელს; შალვა ნავთლუღელს, ნიკო ასლამაზაშვილს, შალვა რადიანს და კალე ბობოხიძეს.

მირ. ხუნუნაიშვილი.

ამხ. ვანო კუპუხიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად (2) ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს; ლიდა მახარაძეს, ანეტა ქობულაშვილს, ჟუკა ზაალიშვილს, ვანო ბურდულს; საშიკო ნაზღაიძეს, გიორგი შერგელაშვილს, გიორგი გვარამაძეს, ლიუბა გოგუაძეს, ჟენია ორაგველიძეს; ნინიჩკა ორაგველიძეს, ნადია სიხარულიძეს, ანეტა იმნაიშვილს, დათიკო ლავრენტისძე გოგუაძეს, ნიკოლოზ ჩხაიძეს, პორფილე გოგუაძეს, ჟენია პოლშინს, დათიკო გოგუაძეს, ვალოდია მანტურიას, ივლიანე გოგუაძეს; რუბენ თევდორაძეს; ნოე გიორგისძე კუპუხიძეს.

აკაკი გოგუაძე.

ამხ. თამარა შოშიაშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ა. გამსახურდიას, გ. ბაბუნაშვილს, ს. ლეშქაშელს, ს. მამფორიას; ს. ბაგინოვს, ს. დათუნაშვილს, ვ. იაშვილს, თამარა გოგოძეს, არჩილ აბრამიშვილს, მშევარდნაძეს, აბზიანიძეს, გიგილოშვილს, გ. ბალდასაროვს, ნ. იზორიანს, სვიატოდუხოვს; ექ. კლიმიაშვილს, ნ. შახიჯანოვს, შახბუდაგოვს; ხარქის გევოდიანცს.

ა. ბაბახანოვი.

შემომაქვს ჩემი წვლილი ერთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მარუსია სახლაშვილს, საშა აბურჯანიას, ოლია ნადირაძეს და ივლიანე კრუაშვილს.

ნ. გეგენავა.

შემომაქვს ჰაეროპლან „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს; ალექსანდრე გადელიას, დიანოზ სოსელიას, იოსებ ლიპარტიას, იოსებ კუჭავას, პეტრე ხარბედიას, ალექსანდრე ურჩავას; ირაკლი ხარჩავას, დავით ჩხაიძეს, ვლადიმერ ასათიანს, ვასო სალუქვაძეს, მიხა კორთხონჯიას; ბეგლარ ჩაგუნავას, პარმენ გაგუას, ირაკლი ლაშხიას, რაჟდენ ბეჟვაიას, კირილე ერქვანიძეს; ვანო კალანდიას, დავით ჯანჯღავას; ვასილი ხასკაიას, მალაქია სხულუხიას, ყარამან ჯანაშიას, ალექსანდრე პაპავას, გუდუ გაბიჩვიას, არტემ გაბიჩვიას; მაკარი თოფურიას; ივ. თოფურიას; დიომიდე ჯანჯღავას; ლევ. ჯავახიას, ანტონ ზაქარიას, ერმოლე ბოჭგუას; ვანიჩკა გელაშვილს; ბაბო ლაზარევს და აკაკი კოკაიას.

პოლიევკტი კოკაია.

ამხ. ნინო მიქელაძეს გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დავით ლორთქიფანიძეს, კოწია ცაგარეიშვილს, ვლადიმერ ლაბახუას, ვერა მელქაძეს, ლეონტი ფოცხვერიას, მიხეილ კიკელიას, ანდრო კანდელაკს და შალვა ლეჟავას.

შუშანიკა ქართველიშვილი.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მანეთი.

ნეოფიტე ღლონტი.

„თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ტრამვაის ადგილკომში მოქანდაკე მიშა ჭიაურელის სახელით შემოაქვს 3 მანეთი.

ადგილკომი.

ამხ. შურა ოსავას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ერთი (1) მანეთი და ვიწვევ შემდეგი ამხანაგებს: ზოსიმე ქორჩილავას, ნინა კაჭარავას, ბორისი ჭანტურიას, ბაბი ჟორჟიკიას, ბაგრატი დარსმანიას, ლუსია ძველაიას; მაგდალინა ბზიავას, ნინა გაბელაიას, ხეფიდონი ჯორბენავას, მიხა კაჭარავას, ბესარიონ ჟვანიას, ლეონტი კორძახიას, ბიქტორი ბაკურიას, ლეონტი თოდუას, სერგო გაბუნიას, აკაკი გვაზვას, ლავრენტი ნორაკიძეს და გედე კაჭარავას.

მარო შენგელია.

ამხ. იასონ ჯორბენაძის გამოწვევით, შემომაქვს ათი მანეთი თვითფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დავით ჩხიკვაძეს, იპოლიტე ელიავა, დონდუა-რომასკევიჩი ელისაბედი, და არჩილ ქარცივაძეს.

ბიქტორ მეგრელიშვილი.

ამხ. იასონ ჯორბენაძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხ.: ქუმსიაშვილი ალექსანდრე, რევია, მაკარევიჩი, ევდოკიმე, ჯიჯია ვალენტინა, შირიაევი ნიკოლოზ; ლოვიანი, არჩვაძე ნესტორ, ზედგინიძეს, ნარიმანოვს, კუსიკოვს.

მირიან ეფრემისძე უნგიაძე.

ამხ. ვანო სტურუას გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითფრინავის ასაგებ ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: შამშე ლეჟავას, პარმენ წულუკიძეს, კანდიდი გობეჯიშვილს, მიხა ლობჟანიძეს (ლაშხი), ნიკოლოზ ენუქიძეს, დავით ჯაფარიძეს, პარმენ გამყრელიძეს, კოწია ჯაფარიძეს, დავით ბააზოვს, იაკობ ფანცხავას, თედო ღლონტს, იოსებ გედევანიშვილს; სიმონ აუნდაძეს, სერგო ამაღლობელს, გრიშა ხოფერიას (მუშიშვილი), ეფრემ ჩახუნაშვილს, ვარლამ იმნაძეს, კარპეზ ბერიძეს, ალექსანდრე ჩხეიძეს, მელიტონ ჩეჩელაშვილს, ვასო ხახანაშვილს, მირიან ბასილიას, გიორგი დოლიძეს, აკაკი ბაბუნაშვილს, ვლადიმერ ორჯონიკიძეს, ბუდუ სანაძეს, ნიკიტა ჟორდანიას, დავით ლორთქიფანიძეს, ვლადიმერ ჩხეიძეს, სერგო ოგანეზოვს, პეტრე კავკასიძეს, ინჟ. გრ. აბაშიძეს, იოსებ ვარძიელს, ევგენი ვაწაძეს, ნიკო ქადაგიძეს და ირაკლი ურუშაძეს.

მ. გავაშელი.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნატაშა ნანეიშვილს, სოფიო ლოლობერიძეს, ქრისტინე კანდელაკს, ელენე ცაგარეიშვილს, ელენე მაჭავარიანს, ეპრა ამაღლობელს, ლიპა კოპალეიშვილს, სარა ასათიანს, ნინა ფრანგიშვილს, ნინა პაპავას, ქსენია რუხაძეს, ჟენია რუხაძეს, თამარა ნიკოლაიშვილს, ელენე დუნდუას, შუშანიკა ქართველიშვილს, ვერა მელქაძეს, ლუბა ნიკურაძეს, მარუსია ნანეიშვილს, ვერა ბოხუას, ელენე პაპავას, ლეოლინე პაპავას, ლუბა ტორონჯაძეს, აგრაფინა დოლიძეს, ვერა კოპალეიშვილს, ალექსანდრა თარგამაძეს, ლიდა პაპავას, რაისა ცანავას, ნინა აროშიძეს, ლუბა კანდელაკს, ევგენია შენგელიას, ბარბარე ხუჭუას, ნინა ხუჭუას, ანეტა სიხარულიძეს, თამარა სიხარულიძეს, ჭუჭულა კანდელაკს, თამარა ცოტაძეს, გუგული ადანაიას, ქეთო ხაჯალიას, ლუბა კალაძეს (თბილისიდან), ევგენია ჩერგეზიშვილს, ფატულა კვირიკაძეს (სტურუა), (ქუთაისიდან), მარო კასტავას, მარიამ მიქაძეს, ევგენია ჩახუნაშვილს, მართა შარაბიძეს, თამარა სავჯაიას.

ოლა სტურუა.

შემომაქვს სამი მანეთი (3) ჰაეროპლანის ასაშენებლად.

ი. ზამთარაძე.

ტრამვაის მოძრაობის, სახელოსნოს და ელსადგურის ადგილკომების წევრებს და ტეხნიკურ თანამშრომლებს „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდში შემოვაქვთ 19 მანეთი და ვიწვევთ:

1) კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის გამგეობის ტეხნიკურ თანამშრომლებს, 2) ტრამვაის კლუბის და წრეთა ხელმძღვანელებს, 3) 1, 2, 3, 4 და 5 რაიონის მეეზოვეთა ადგილკომის თანამშრომლებს, 4) დალაქთა ადგილკომს, 5) წყალსადენის ადგილკომს, 6) ცეცხლის მქრობელთა ადგილკომს, 7) აბანოს მუშათა ადგილკომს, 8) უქსის ადგილკომს.

მინდობილობით—ბიქტორ მურღულია.

ამხ. სერგო შარაშიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ალიოშა ლომაძეს, გრიშა მალანიას, მიშა ცხომელიძეს, გ. ბუხნიკაშვილს, კოწია სტურუას, ვალოდია კვირიკაძეს, ილიკო საყვარელიძეს, ბენო ბერაძეს, საშა ბუჯიაშვილს, ვალოდია ლეჟავას, ვალიკო მანჯგალაძეს, გრიშა მკურნალს, მიშა ისაკაძეს, ლ. სვიმონიშვილს, ი. გობრონიძეს, ესე კალანდაძეს, გაბო გვარჯალაძეს, ბ. კვიტაშვილს, ლავრენტი სოსელიას, კირილე გოგუაძეს, დეუბაძეს, ბ. მელიქაძეს, ვ. მხეიძეს; არობელიძეს, პოლშინს, კ. ღლონტს, რაპავას, მიკავას, ს. ლორთქიფანიძეს, გრიშა ტაბიძეს, ფირცხალავას, კუჩეროვს.

ნ. ძირქაძე.

ამხ. გერცელ ბააზოვის და მეგრელიშვილის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდში შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მიშა რიჟინაშვილს, მიშა კაკიტელაშვილს, ბენო ელუგალაშვილს, ბენო გაგულაშვილს, როზა თავდიდიშვილს, ექიმი ბენიამინ კაკიტელაშვილს, ექიმი ისაკ მინოვიჩს, ილიკო ბაქრაძეს. სოლომონ კაკიტელაშვილს, გაბო ელიგულაშვილს.

სოლომონ ქჰონდზერი.

—:—

დღეს შემოვიდა 98 მან.
სულ შემოვიდა 4847 მან. 84 კ.

მუშათა ცხოვრება

ბორჯომის დასასვენებელ სახლში

გემოკვების კავშირს თავის მუშა-მოსამსახურეებისათვის აქვს გახსნილი დასასვენებელი სახლი ბორჯომში, რომელიც ყოველ თვიურად აგზავნის საშუალოთ 70-80 მუშა-მოსამსახურეს, სადაც მათ ეძლევა უფლება თავიანთი ოჯახის წევრებით დაისვენონ.

ყველა კავშირის წევრებს, რომლებიც იგზავნებიან ხსენებულ სახლში, კავშირი აძლევს დოტაციას 5 მანეთიდან 12 მანეთამდე ხელფასის მიხედვით. კავშირმა აგრეთვე გაგზავნა 15 უმუშევარი თავის ხარჯზე დასასვენებლად. მათთვის მოწყობილია ცივი და თბილი ვანები, არის აგრეთვე ბორჯომის მინერალური წყალი ორნაირი, რომლითაც ისინი სარგებლობენ. აქვე არის მოწყობილი სამკითხველოც და მოდის სხვადასხვა ენებზე გაზეთები.

დასასვენებელ სახლთან არის სასადილო ჰიგიენურად მოწყობილი, რომელსაც ამხ. აბიჯვივი განაგებს.

სასადილოში არის ზოგიერთი ნაკლი და საჭიროა მათი გამოსწორება.

ლ. ჯავახიშვილი.

—:—

კონცერტი ამხ. ორჯონიკიძის სახ. კლუბში

10 ივლისს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართა ძმები თარხნიშვილების კონცერტი. ქართულ სახ. სიმღერების შესრულებით და დაიდგა ერთ მოქმედებიანი სცენა სოფლის ცხოვრებიდან ფანდურის დაკვრით და ცეკვა-თამაშით. მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა ფანდურზე დაკვრამ და სიმღერამ.

მაგრამ კლუბის გამგეობამ უნდა ეცადოს, რომ სისტემატიური ხასიათი არ მისცეს წარმოდგენების გვიან დაწყებას, რომელიც დამსწრეებში იწვევს დიდ უსიამოვნებას, რადგან აქ მეტ ნაწილად რკინის გზის მუშები ესწრებიან, რომელნიც დილით ადრე მიდიან სამუშაოთ წარმოდგენა კი უნდა იწყებოდეს არა უგვიანეს საღამოს 8 საათისა და თავდებოდეს ღამის 11 საათზე.

ამას მოვითხოვთ ყველა მუშა-მოსამსახურეები.

მუშკორი ძია-ლევან.

—:—

ბავშთა ჯანმრთელობისათვის

კამოს ქუჩაზე, № 82, ამ.-კავკ. რკინის გზის ჯანმრთელობის სამმართველომ ერთი წელია რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთათვის გახსნა ძუძუმწოვარ ბავშთათვის ბაგა, რომელიც მედიცინის ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებითაა მოწყობილი.

ბაგას აქვს ყველა ბავშთათვის საკუთარი საწოლი ყოველგვარი მოწყობილობით და სათამაშოებით.

ჰიგიენის მხრითაც ბავშვები დაცულია და ყველას მიჩენილი აქვს თავისი ნივთები დანომრილ უჯრედში.

მუშა-დედებს ბავშვები მიჰყავთ დილის 8 საათზე და სტოვებენ მუშაობის გათავებამდე. ყოველ სამ საათში დედა მოდის და კვებავს ბავშს, დაცულია სასტიკი სისუფთავე; დედებს ასწავლიან ბავშვების მოვლას. ბაგაში იღებენ 2 თვიდან სამ წლის ჰასაკამდე. არიან მოზრდილებიც. ავადმყოფ ბავშვებს ცალკე უვლიან. ბავშვს სპეციალური აღმზრდელი ქალი ჰყავს. ბაგა პირველია ამიერ-კავკასიაში და გათვალისწინებულია 40 ბავშვისათვის.

გადაწყვეტილია ეს ბაგა ბავშვთა სამკურნალოდ გადაკეთდეს და გადატანილ იქნეს რკინისგზის ახლოს მუშათა რაიონში.

ტონ.

უმოქმედო ადგილკომი და სარევიზიო კომისია

(დ. ლია, ზუგდ. მაზრა).

დაბა ლიაში არსებობს განათლების კავშირის ადგილკომი, რომელსაც სძინავს. 3—4 თვე იქნება, რაც ამ ადგილკომში შემავალ წევრთა საზოგადო კრება არ ყოფილა. ამას წინად მოწვეული იყო მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. სამაზრო გამგეობიდან გამოცხადდა წარმომადგენელი, მაგრამ კრება არ შესდგა, რადგან კავშირის წევრები არ მოვიდენ კრებაზე. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რაც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ კავშირის წევრებს არ იცნობენ კავშირის წესდებას და არა აქვთ შეგნებული, თუ რა არის პროფესიონალური კავშირი, ადგილკომი კი ამ მხრივ მუშაობას არ აწარმოებს.

სარევიზიო კომისიას ხომ სულ სძინავს: აგერ 6 თვეა, რაც არჩეულია სარევიზიო კომისია, მაგრამ მას ერთხელაც არ მოუხდენია რევიზია.

უგურელი.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

— **ჩვენი მიღწევები.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მუშტაიდში წინეთ არ შეესვლებოდა ადამიანს, მაგრამ დღეს ეს კლუბი ისეა გამშვენიერებული, რომ შიგ შესვლისას არც გინდა წამოსვიდე. ამ კლუბის გამშვენიერებაზე დიდი თანხა დაიხარჯა—25.000 მანეთი დაჯდა მისი გადაკეთება და დღეს საუკეთესო კლუბათ ითვლება.

რა თქმამ უნდა, მუშებიც თავიანთი ოჯახის წევრებით დიდათ კმაყოფილი არიან ამ კლუბით და ხშირათაც ატარებენ აქ დროს და ისვენებენ საუცხოვო ჰაერში.

კლუბს განაგებს ამხ. გრ. ალავიძე.

მუშკორი ძია ლევან.

— **საჭიროა მუშკოოპის დუქანი.** ფუნიკულიორზე ბევრი მუშა-მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები ადიან. აქ არის კერძო ვაჭრები და ტყავს აძრობენ ყველას, ვინც აქ რაიმეს იყიდის. მაგ., ბოთლი ლუდი 75 კაპ. ღირს, ლიმონადი 50 კაპ. და სხვა ხომ ყველაფერი ძვირია. ეს ხდება იმიტომ, რომ აქ არ მოიპოვება მუშკოოპის არც ერთი სავაჭრო დუქანი, — და ვაჭრებიც გათამამდენ.

ალ. კო—შვილი.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **სატარიფო თათბირი.** ა.-წ. ივლისის 18, დილის 11 საათ. საქ. პროფსაბჭოს სატარიფო საეკონომიო განყოფილება იწვევს რესპუბლიკის მაშტაბით სატარიფო თათბირს შემდეგი დღ. წესრიგით: 1) დამუშავება იმ საკითხების, რომლებიც დასმულია საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მომავალ სატარიფო თათბირის დღის წესრიგში. 2) ფასების დაკლების კამპანიის შედეგები საქართველოში.

— **ხელფასის გამოკვლევა.** საქ. პროფსაბჭოს შრომის სტატისტიკური ამჟამად აწარმოებს თბილისის მაშტაბით დიფერენციალური ხელფასის გამოკვლევას.

— **2.700 მან. დახმარება.** ფოსტელ მუშაკთა პროფკავშირის ც. გ. ამავე კავშირის წევრთა ავადმყოფ მუშების საექიმო დახმარებისათვის გაიღო ერთდროული დახმარების სახით 2.700 მანეთი.

— **ლიანდაგის დარაჯები.** ხაშურის საუბნო კომიტეტმა დაადგინა ლიანდაგის დარაჯების, როგორც მთავარ ხაზზე, აგრეთვე შტოებზედაც, შეუმოკლდეთ შემოსავლელი მანძილი და დაწესდეს სამთვიანი მორიგეობა.

— **მოთხოვნილების თანახმად.** „ზაკტპოს" შორაპნის ფილიალს წინადადება მიეცა მუშა-მოსამსახურეთათვის მოთხოვნილების მიხედვით იქონიოს საჭირო საქონელი.

— **1500 მან.** თბ. აღმასკომმა გაიღო თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები"-ს ასაშენებლად 1.500 მანეთი.

— **კომისიის გამოყოფა.** საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია ფასების დაკლების შედეგების ირგვლივ.

— **მანგლისში.** მისი ადგილმდებარეობის შესწავლის მიზნით ფიზკულტურის ბიურო 25 ივლისს აწყობს ფეხით გადასვლას.

— **ექსკურსიები.** საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება კავშირის წევრთათვის ახლო მომავალში აწყობს ჯგუფურ ექსკურსიებს: ბაქოში, ალავერდის ქარხანაში, ერევანი-სევანის ტბაზე, ზუგდიდში და სხვა.

— **ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.** იმავე პლენუმმა დაადგინა მიღებული იქნას ზომები საქმისადმი ბიუროკრატიულ მოპყრობის წინააღმდეგ როგორც წარმოება - დაწესებულებებში, ისე ადგილკომებში.

გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გუშინ საღამოს 7 საათზე, გლეხთა სახახლის დარბაზში გაიხსნა სრ. საქართველოს გლეხთა ურთიერთ დახმარების ცენტრ. კომიტეტის პლენუმი. პლენუმი გახსნა საქ. ცაკის თავმჯდომარის მოადგილემ, ცაკის სოც. უზრუნ. განყოფ. გამგემ ამხ. ქ. ხომერიკმა.

პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის მიღების შემდეგ პლენუმი გადავიდა ადგილებიდან მოხსენებების მოსმენაზე.

ახალციხის სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. პ. შუღნია აღნიშნავს, მაზრაში არსებულ გლეხკომების საერთო მდგომარეობას, ეხება ღარიბი გლეხობისათვის მიცემულ დახმარების რაოდენობას და გლეხკომის გამგებლობაში მყოფ წარმოებათა საქმიანობას. მომხსენებლის სიტყვით გასული წლის განმავლობაში მაზრაში არსებულ გლეხკომებს ჰქონდათ 52.338 მანეთი შემოსავალი.

მეორე მოხსენებით გამოდის თბილისის სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. ივ. ცომაია. მომხსენებლის გადმოცემით მაზრის გლეხკომების ღარიბ წევრებისათვის დარიგებულა ერთი წლის განმავლობაში 4.246 მანეთი ფულად და 1229 ფუთი ხორბალი.

დანარჩენი მოხსენებები გადადებულია პლენუმის შემდეგი სხდომისათვის.

ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა იტალიასთან

(საუბარი ამხ. ზ. კალანდაძესთან)

ამ დღეებში იტალიიდან თბილისში დაბრუნდა აბრეშუმის ტრესტის მიერ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იარაღ-მანქანების შესაძენათ მივლინებული ამხ. ზ. კალანდაძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

— იტალიაში გავემგზავრე თებერვლის პირველ რიცხვებში და დავყავი იქ სამთვე ნახევარზე მეტი. დავალებული მქონდა შემეძინა აბრეშუმის სახვევი ქარხნებისა და საგრენაჟო სადგურებისათვის საჭირო მოწყობილობა. სხვადასხვა ფირმებს შევუკვეთე 100.000 მან. იარაღ-მანქანები. აქედან ნაწილი უკვე მიღებულია საქართველოში.

რაც შეეხება იტალიელ მრეწველების დაინტერესებას საბ. კავშირთან ვაჭრობით, უნდა ითქვას შემდეგი: იტალიაში არის ორი ჯგუფი მრეწველების. ერთი ამ ჯგუფთაგანი მჭიდრო კავშირშია მუსოლინის პარტიასთან და მათი ყოველი ნაბიჯი უთუოდ შეთანხმებული უნდა იყოს ფაშისტების ცენტრალურ კომიტეტთან. ეს ერთგვარი ბიუროკრატიზმი შესამჩნევათ აბრკოლებს ვაჭრობის განვითარებას. მეორე ჯგუფი—უდიდეს ინტერესს იჩენს ჩვენთან ვაჭრობისადმი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის დროს მე მოვხვდი მილანში, სადაც მოლაპარაკებას ვაწარმოებდი ცნობილ „ბატალიის" ფირმასთან ჩვენთვის კრედიტების მოცემაზე. ეს მოლაპარაკება რამოდენიმე დღით დააბრკოლა ინგლის-საბჭოთა კონფლიქტმა, მაგრამ შემდეგ იტალიელი მრეწველები ჩვენთან ვაჭრობის კიდევ უფრო მეტს სურვილს იჩენდნენ.

საინტერესო არის თუ როგორ სცხოვრობს იტალიელი მოქალაქე: ყველა, ვინც კი რაიმე სახელმწიფოებრივ, ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში მსახურებს, მექანიკურათ ირიცხება ფაშისტური პარტიის წევრად და მას ჯამაგირიდან უქვითავენ განსაზღვრულ ნაწილს. ფაშისტების ახალი ლოზუნგი ასეთია:—„იტალიაში სცხოვრობენ მარტო ფაშისტები". ამგვარად შესაძლებელია მუშას არაფერი საერთო არა ჰქონდეს ფაშიზმთან, მაგრამ იგი მაინც მათ პარტიაში იყოს ჩარიცხული. ასეთი ზომით ფაშისტები მიზნათ ისახავენ პარტიული შემოსავლის გადიდებას და სხვა არაფერს. მაგრამ არის ფაშისტური პარტიის ე. წ. ძირითადი კადრი, რომელშიაც იღებენ მხოლოდ „დამსახურებულ" ფაშისტებს. მუსოლინი, რომელიც ასე პოპულიარული იყო თავის ბატონობის პირველ ხანებში, თანდათან ჰკარგავს ნდობას თვით ფაშისტების თვალშიაც. გლეხობა და მუშები კი ფაშისტებს პირდაპირ ზიზღის თვალით უყურებენ.

ფაშისტი ყველაფერია იტალიაში. მისთვის არ იწერება არც კანონი, არც წესი და რასაც უნდა იმას ჩაიდენს.

მე დავათვალიერე წარმოება-ფაბრიკები და ახლოს გავეცანი მუშების მდგომარეობას. საუკეთესო კვალიფიციური მუშა თვიურად ღებულობს არა უმეტეს ასი მანეთისა ჩვენი ფულით. ცხოვრება კი, განსაკუთრებით საკვები პროდუქტები—ძლიერ ძვირია.

იტალიიდან ზოგიერთი შეკვეთების დასაბანდებლათ მომიხდა გერმანიაში ჩასვლა. გერმანიაში ამჟამად საქართველოს მრეწველობისათვის განაწილებულია, გერმანიის კრედიტების ანგარიშში, 600.000 დოლარის შეკვეთები.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ როგორც გერმანიის; ისე იტალიის და სხვა ქვეყნების მრეწველებმა შესაფერისად გამოიყენეს ინგლისთან ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა და ხელიდან არ უშვებენ ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების არც ერთ შემთხვევას.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ჰქონდა ბჭობა შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

„დემოკრატიის" „ბელადები" ცუდ ხასიათზე იყვენ. გარეთ ბობოქრობდა ათეულ-ათასის კაცისაგან შემდგარი მასა, რომელიც მოითხოვდა თავის ორგანოსაგან ბოლო მოეღო დროებითი მთავრობის მოღალატური და კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკისათვის. „ბელადებს" კი არც საამისო გამბედაობა ჰქონდათ და არც სურვილი. რევოლიუციონურ მასების ხელმძღვანელობაზე მეტად მათთვის სასურველი იყო ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ძველი გზით სიარული.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პეტროგრადის კომიტეტის და სამხედრო ორგანიზაციის სახელით გამოშვებული იქნა მოწოდება მუშებისა და ჯარისკაცებისადმი შეეწყვიტად გამოსვლები, მაინც გრძელდებოდა დემონსტრაციები და მიტინგები. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში მოხდა შეტაკება ერთის მხრივ რევოლიუციონურ მუშებსა და ჯარისკაცებს და მეორე მხრივ კაზაკებსა და იუნკრებს შორის. კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები აწყობდენ შეიარაღებულ თავდასხმებს მიტინგებზე.

იმავე დღეს, პეტროგრადის რევოლიუციონური მუშების და ჯარისკაცების დასახმარებლად კრონშტადტიდან თავიანთი სამხედრო გემებით ჩამოვიდა ათი-ათასი კრონშტადტელი მეზღვაური, რომლებიც გაემართენ ქშესინსკაიას სასახლისაკენ, სადაც მათ მაშინ ავადმყოფმა ლენინმა მიმართა მოკლე სიტყვით. ქშესინსკაიას სასახლიდან კრონშტადტელები წავიდენ პეტრე-პავლეს ციხისკენ, რომელიც უბრძოლველად დაიკავეს.

⁂

როგორ გამოეხმაურენ ამ ამბებს ესერ-მენშევიკები.

პეტროგრადის საბჭოს „უწყებებში" 4 ივლისის ნომერში მოთავსებულია შემდეგი მოწოდება პეტროგრადის მუშებისა და გარნიზონისადმი:

„უცნობი პირები, წინააღმდეგ ყველა სოციალისტური პარტიების აშკარად გამოთქმული ნებისყოფისა, მოგიწოდებენ თქვენ იარაღით ხელში გამოხვიდეთ ქუჩებში. ისინი წინადადებას გაძლევენ ამ გზით პროტესტი განაცხადოთ იმ პოლკების დაშლის წინააღმდეგ, რომლებმაც თავი შეირცხვინეს ფრონტზე რევოლიუციის წინაშე თავისი მოვალეობის დავიწყებით

ჩვენ, მთელი რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატიის წარმომადგენლები გიცხადებთ თქვენ:

პოლკების დაშლა ფრონტზე ჩატარებული იქნა საარმიო და ფრონტის ორგანიზაციების მოთხოვნით და ჩვენ მიერ სამხედრო მინისტრად არჩეულ ა. ფ. კერენსკის ბრძანებით.

დაშლილი პოლკების დასაცავად გამოსვლა არის გამოსვლა ჩვენი ძმების წინააღმდეგ, რომლებიც სისხლს ღვრიან ფრონტზე.

მოვაგონებთ ამხ. ჯარისკაცებს: არც ერთს სამხედრო ნაწილს არა აქვს უფლება გამოვიდეს იარაღით გარეშე მთავარსარდლის მოწოდებისა, რომელიც ჩვენთან თანხმობით მოქმედობს.

ყველას, ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს ამ მწვავე დღეებში, რომელსაც რუსეთი განიცდის,—ჩვენ გამოვაცხადებთ რევოლიუციის მოღალატეებათ და მტრებათ.

ამ დადგენილების ასასრულებლად მიღებული იქნება ყველა ზომები, რაც კი ჩვენს განკარგულებაშია".

მოწოდებას ხელს აწერდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტის ბიურო და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად ცენტრალური კომიტეტის ბიურო.

მუშების გამოსვლაში კაპიტალისტების წინააღმდეგ პეტროგრადის საბჭოს ორგანომ დაინახა საფრთხე რევოლიუციისათვის და მოათავსა წერილი სათაურით: „რევოლიუცია საფრთხეშია".

ამ წერილში საბჭოს ორგანო აღიარებდა, რომ კადეტი მინისტრები მთავრობიდან გამოვიდენ არა „დათმობისათვის" უკრაინის საკითხზე, არამედ იმიტომ, რომ „ისინი არიან რევოლიუციის შემდგომი განვითარების წინააღმდეგი, მისი გაფართოების წინააღმდეგი, ვინაიდან მათ არ სურთ დაეხმარონ რევოლიუციის საქმეს, არ სურთ მონაწილეობა არც მის დამრცხვებაში და არც მის გამარჯვებებში". მაგრამ მიუხედავად ამისა, რომ გაზეთი მინისტრ-კაპიტალისტების ტაქტიკის ასეთ რამოდენიმედ სწორ დახასიათებას იძლეოდა, მას სრულიად არ გამოჰყავდა აქედან ერთად ერთი დასკვნა, რომელიც უნდა გამოეტანა რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანოს: ძალაუფლების გადასვლა დემოკრატიის ხელში.

პირიქით, ესერ-მენშევიკებს ფიქრიც კი არ სურდათ ამის შესახებ და პეტროგრადის რევოლიუციონური პროლეტარიატის გამოსვლას რევოლიუციის დასაცავად, დროებითი მთავრობისა და შავრაზმელ გენერლების წინააღმდეგ უწოდებდენ „რევოლიუციის ღალატს" და „შეთქმულებას დემოკრატიის" წინააღმდეგ.

⁂

4 (17) ივლისს შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც ესერ-მენშევიკები განაგრძობდენ გზების ძებნას „კრიზისიდან" თავის დასაღწევად.

სხდომა ატარებდა მეტად მღელვარე ხასიათს, წამდაუწუმ საჭირო ხდებოდა სხდომის შეწყვეტა მუშათა სხვადასხვა დელეგატების განცხადებების მოსასმენად.

მუშათა დელეგაციები პირდაპირ უსვამდენ საბჭოს კითხვას: სურთ თუ არა მათ ძალაუფლების ხელში აღება, რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა.

საღამოს სხდომაზე გამოცხადდა 54 ფაბრიკა-ქარხნის დელეგაცია 90 კაცის შემადგენლობით. დელეგაციიდან ილაპარაკა ოთხმა კაცმა. ეს სიტყვები საუკეთესო პასუხი იყო ბრალდებაზე, რომ პეტროგრადის მუშების და ჯარისკაცების გამოსვლა არის „მავნე აგიტაციის" შედეგი. აი ამ მუშების სიტყვებიც. (შემოკლებით):

პირველი წარმომადგენელი: „უცნაურია, როცა გვიხდება ცენტრალური აღმასკომის მოწოდების კითხვა:—მუშებსა და გლეხებს უწოდებენ კონტრ-რევოლიუციონერებს. ჩვენი მოთხოვნილება მუშების საერთო მოთხოვნილება არის—მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს".

მეორე წარმომადგენელი: „...ჩვენ მოვითხოვთ ათ მინისტრ-კაპიტალისტის გადადგომას, ჩვენ ვენდობით საბჭოს, მაგრამ არა იმათ, ვისაც საბჭო ენდობა".

მესამე წარმომადგენელი: „...საქმე სიტყვებში როდია, არამედ მოქმედებაში. ჩვენ გამოგზავნილი ვართ იმისათვის, რომ მოვისთხოვოთ საბჭოებს ძალაუფლების დაუყოვნებლივ აღება თავის ხელში. მიწა უნდა მიეცეს გლეხებს დაუყოვნებლივ, ყოველგვარი დამფუძნებელი კრების გარეშე".

მეოთხე წარმომადგენელი:„. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მთელი მიწა გადავიდეს ხალხის ხელში. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გაუქმებული იყოს ყველა ბრძანებები, მიმართული რევოლიუციონური არმიის წინააღმდეგ. სანამ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკა გაგრძელდება, ქვეყანა ვერ დამშვიდდება. კმარა ამ საძაგელი გველის თბობა ჩვენს გულზე, ახლა, როცა კადეტებმა უარი სთქვეს თქვენთან მუშაობაზე:: ჩვენ გეკითხებით—თქვენ: ვისთან აპირებთ კიდევ ვაჭრობას? ჩვენ მოვითხოვთ, რომ მთელი ძალაუფლება გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სრულიად რუსეთის საბჭოების ხელში. მხოლოდ ამაშია ერთად-ერთი გამოსავალი".

მუშების ამ წინადადებაზე მენშევიკები და ესერები გაურბოდენ პირდაპირ პასუხს. წერეთელი ამტკიცებდა მუშებს, რომ ორი კვირის შემდეგ ყველაფერი გამოირკვევაო. მათ განზრახვა ჰქონდათ აღმასრ. კომიტეტების სხდომები გადაეტანათ მოსკოვში, რომ ემუშავათ უფრო „დამშვიდებულ ატმოსფერაში" (იხ. „იზვესტია" 1917 წ. 6 ივლისის ნომერში სტეკლოვის სიტყვა).

ამავე დროს გამოსვლების წინა დღეებში **ფრონტზე გაპარული კერენსკი აგროვებდა საიმედო ნაწილებს (კაზაკებს, იუნკრებს) პეტროგრადის რევოლიუციონური მუშების და ჯარისკაცების განსაიარაღებლად.**

5 (18) ივლისს ფრონტიდან კიდევაც მოვიდა დამსჯელი ექსპედიცია. 3—4 ივლისის დღეებში დამფრთხალ და მიმალულ ბურჟუაზიას ფრთები შეესხა. ნაძირალები გამოვიდენ ბნელი კუნჭულებიდან და დაიწყო პოგრომული აგიტაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ. იმავე დღეს პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსის გენ. პოლოვცევის ბრძანებით დაარბიეს „პრავდა"-ს რედაქცია და ჩვენი პარტიის ც. კ. ბინა (ქშესინსკაიას სასახლე) ამავე დროს ბურჟუაზიის ლაქიებმა ბურცევმა და ალექსინსკიმ შეთითხნეს ჭორი, თითქო ლენინი და ზოგიერთი სხვა ბოლშევიკები ბურჟუაზიის აგენტები იყონ და მათ ფულები მიეღოთ გერმანიის გენერალური შტაბისაგან. თუმცა ბოლშევიკური ფრაქციის მოთხოვნით ამ ხმების გასაბათილებლად პეტროგრ. საბჭოს მიერ არჩეულმა სპეციალურმა კომისიამ დაამტკიცა ამ ჭორების სრული უსაფუძვლობა, მაგრამ შავრაზმელ და მენშევიკურ პრესას („ბირჟევკა", „ნოვოე ვრემია", „ედინსტვო" და სხვ.) მიეცა სალაპარაკო მასალა.

ბოლშევიკების წინააღმდეგ გაფიცხებულ კამპანიაში ერთიანი ფრონტით გამოდიოდენ ყველანი, დაწყებულ ესერ-მენშევიკების „რაბოჩაია გაზეტა" „დელო ნაროდა"-თი და გათავებული შავრაზმელ სუვორინის „ნოვოე ვრემია"-თი.

„ბოლშევიკურ საფრთხესთან" საბრძოლველად შედგენილ იქნა „რევოლიუციის ხსნის მთავრობა". კერენსკიმ მიიღო პრემიერ-მინისტრისა და შეინარჩუნა საზღვაო და სამხედრო მინისტრის პორტფელი. მთავრობაში შევიდა აგრეთვე ოთხი კადეტი. კადეტებს შეეძლოთ შესვლა ამ „რევოლიუციის მხსნელ" მთავრობაში, რადგან ეს იყო აშკარა კონტრ-რევოლიუციის მთავრობა, მთავრობა, რომელიც თავის უპირველეს ამოცანად ისახავდა ბრძოლას ნამდვილ რევოლიუციონურ ელემენტებთან.

დაიწყო თეთრი ტერორის ხანა. განიარაღებულ იქნენ პეტროგრადში მყოფი ყველა რევოლიუციონური ჯარის ნაწილები, გაცემულ იქნა ბრძანება ლენინის, ზინოვიევის და კამენევის დაპატიმრების შესახებ, ფრონტზე შემოიღეს სიკვდილით დასჯა. შინაგან საქმეთა მინისტრმა მენშევიკმა წერეთელმა აკრძალა ყოველგვარი მიტინგები, დემონსტრაციები და გამოსვლები. ბოლშევიკური პარტიის ლიდერები იძულებული შეიქნენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვნენ. მაგრამ ისინი ჯურღმულებიდანაც განაგრძობდენ მასების დარაზმვას უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის კონტრრევოლიუციონურ დროებითი მთავრობასთან და ძალაუფლების გადასაცემად ნამდვილად რევოლიუციონურ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში.

აი, რას სწერდა ივლისის დღეების შემდეგ არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ლენინი:

„...4 ივლისამდე მთელი ძალაუფლების გადასვლა მაშინდელი საბჭოების ხელში იყო ერთად-ერთი სწორი ლოზუნგი. მაშინ ეს შესაძლებელი იყო მშვიდობიანი გზით, სამოქალაქო ომის გარეშე. რადგან მაშინ კიდევ არ ჰქონდა ადგილი სისტემატიურ ძალადობას მასაზე, ხალხზე, რომელიც 4 ივლისს შემდეგ შემოიღეს".

„...ახლა რევოლიუციის მშვიდობიანი განვითარება რუსეთში უკვე შეუძლებელია და კითხვა ისტორიის მიერ ასეა დაყენებული. ან კონტრრევოლიუციის სრული გამარჯვება ან ახალი რევოლიუცია".

გენიალური ბელადის სიტყვები გამართლდა სავსებით. კონტრ-რევოლიუცია, რომელიც წელში გასწორდა ივლისის დღეების შემდეგ, რადგან „დემოკრატიის" „ბელადებმა" მიიღეს მისი ყველა პირობები; აგვისტოში მოისპო არა მარტო საბჭოები, არამედ თვით დროებითი მთავრობაც. მხოლოდ რევოლიუციონური მასების სიფხიზლემ იხსნა რევოლიუცია მონარქისტული საფრთხისაგან (კორნილოვის გამოსვლა).

ეს იყო უკანასკნელი თვალსაჩინო მაგალითი, რომელმაც დაარწმუნა მასები „კონსტიტუციონური ილიუზიების" უნიადაგობაში.

ბოლშევიკური პარტიის მიერ, გენიალური ბელადის ნ. ლენინის მეთაურობით; მომზადებულმა 1917 წ. მეორე რევოლიუციამ—ოქტომბრის რევოლიუციამ—მთელი ძალაუფლება გადასცა რევოლიუციონურ საბჭოებს.

ივლისმა გაიმარჯვა ოქტომბერში.

ჩქარა ჩვენ ვიდღესასწაულებთ ათი წლის თავს საბჭოთა ხელისუფლებისას, რომელიც დამყარებულ იქნა ოქტომბრის რევოლიუციის შედეგად და რომელიც, მიუხედავად საერთაშორისო ბურჟუაზიისა და მენშევიზმის განუწყვეტელი ინტრიგებისა, მტკიცდება და ძლიერდება.

ე. ჭ—ძე.

სურებ-ჩოხატაურის გზა

ამა წლის მაისის რიცხვებში ასურეთში ადგილობრივ მუშა-მოსამსახურების და გლეხობის მონაწილეობით გაიმართა წარმოდგენა სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოთ, რომლის წმინდა შემოსავალს 65 მან. ვგზავნით აღნიშნულ გზის ფონდში.

დიდი მადლობის ღირსია ადგილობრივი მასწავლებლობა, რომლებმაც მიიღო მხურვალე მონაწილეობა აღნიშნულ საქმეში.

გზის საალმშენებლო კომიტეტის წევრი
ს. კეკელიძე.

—:—

პოლიო ლოგინეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ მოქ.: ალექსი ბარამიძეს, დათა ბარამიძეს, ნინა ბარამიძისას, მელიტონ ბარამიძეს, მართა ბარამიძისას, ჟენია ბარამიძისას, ოქროპილ კიკვაძეს, დათა კიკვაძეს, ალფესი კიკვაძეს, ჟულია ბიბინეიშვილს, პასიკო ბიბინეიშვილისას, ივდითი დარსალიასას, ბენია ბარამიძეს და სოსიკო რამიშვილს.
სოფიო ბიბინეიშვილისა.

ამხ. გერ. ლომთათიძის გამოწვევით შემომაქვს 3 მან. სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვანად და ვიწვევ ამხ. ს. ჭიჭინაძეს და ჭ. იმედაძეს.
დ. ორაგველიძე.

—:—

სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვან ფონდის გასაძლიერებლად ამხ. ოლია ბარამიძის გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: იურკა მიხეილის ძე ბიბინეიშვილს, საშა სიმონის ასულს ლომთათიძეს, აჩიკო სოლომონისძე დოლიძეს და ლარისა გულისაშვილი დოლიძისას, ნორა ძიძიშვილს, მირიან და მახარე ბარნაბიშვილებს, რისიმე ბარამიძის ასულ კეკელიძისას, მირცა ლომაძეს (ხიდისთავიდან) და ფედოსი ლომინეიშვილს (თავსურებიდან).
მადლენა ბარონის ასული ბიბინეიშვილი.

ქრონიკა

ვერა ინბერ თბილისში

გუშინ, დილით თბილისში ჩამოვიდა ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ქალი ვერა ინბერ.

ამხ. კოსტროვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა“-ს რედაქტორი კოსტროვი.

პურის შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში

ჩრდილოეთ კავკასიის დამზადებულ პურიდან ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის შემოტანილი იქნება 16 მილიონი ფუთი ხორბლეული.

აღნიშნული ციფრი წინასწარია. ამიერ-კავკასიისათვის საჭირო პურის რაოდენობა სისწორით გამოკვლეული იქნება 15 აგვისტოსათვის.

თბილისის ალმასკომში

◆ **საზოგადოებრივი სამუშაოები.** კომუნალურ განყოფილებამ დაიწყო საზოგადოებრივი სამუშაოები განაპირა უბნების კეთილმოსაწყობად.

◆ **ზოოლოგიური ბაღი.** თბილისის ალმასკომის დავალებით, ზოოლოგიური ბაღის გაშენების გეგმის დამუშავება უნდა დაამთავრონ შემოდგომისათვის.

◆ **ახალი ბაღი.** ქალაქის ალმასკომმა მომავალი ხუთ წლიან საპერსპექტივო გეგმაში შეიტანა ახალი ბაღის გასაშენებლად საჭირო ხარჯები. ბაღი აშენდება ვერის ხიდიდან ვერის პარკამდე.

◆ **კრემატორიუმი.** ალმასკომის საგეგმო კომისიამ მიიღო და დაამტკიცა თბილისში კრემატორიუმის აგების გეგმა.

◆ **ტყის მოშენება.** ქალაქის კეთილმოწყობის ხუთ წლიანი გეგმის თანახმად, ყოველწლიურად თბილისის მიდამოებში გაშენებული იქნება 30 დესეტინა ტყე.

◆ **სარწყავი ავტომობილები.** თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს საზღვარგარეთ ქუჩების მოსარწყავი ავტომობილები.

შრომის კომისარიატში

◆ **უმუშევრობასთან ბრძოლა.** მომავალ საბიუჯეტო წლისათვის, უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით საზოგადოებრივი სამუშაოების მოსაწყობად შრომის კომისარიატმა ბიუჯეტში შეიტანა 200.000 მან.

◆ **თათბირი.** დღეს შრომის დაცვის განყოფილებაში დანიშნულია თათბირი სპეცტანისამოსების ნორმის გამომუშავების შესახებ.

◆ **წარმოებებთან არსებულ შეფასებელ-საკონფ.** კომისიებს და მუშათა ფრაქციებს დაევალათ თვალყური ადევნონ მათ წარმოებებში ზედმეტი სამუშაოების მოსპობას.

ჯანსახკომში

◆ **საექიმო იარაღების დაგზავნა.** ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილებამ დაუგზავნა ყველა მაზრებს საექიმო-საბებიო ინსტრუმენტების თითო კომპლექტი.

◆ **ფინსახკომმა დაადგინა** მისცეს დახმარება ზოგიერთ მაზრებს სათადარიგო-სამკურნალო ფონდიდან.

◆ **კბილის ექიმთა ინსტიტუტი.** ჯანსახკომი აწარმოებს მოლაპარაკებას განათლების სახ. კომისარიატთან თბილისში კბილის ექიმთა ინსტიტუტის დასაარსებლად.

სხვადასხვა

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ტიხორეცკიდან—სურიევს, კარშიდან—ახირტლაძეს, მოსკოვიდან ანჩარსკის, ცხინვალიდან—ახპატელოვს, აბაშიდან—ქემოკლიძეს, ევპატორიიდან—ბაგდატიევს, ყაზანიდან კაუმოვისას, ზოლოტონოშიდან—კრაინსკის, ვლადიკავკავიდან—ორლოვსკის, ქობულეთიდან—ორლოვს, პიატიგორსკიდან—მამისაშვილს, აგინოდან—ადამუცკის, ქარელიდან—ზაალიშვილს.

◆ **პენსია ერმილე ულენტის ქვრივს.** საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს გამონაკლისის სახით დაუნიშნოს ქვრივ ელენა ულენტისას პენსია საერთო წესით.

ულენტის ქმარი—ერმილე ულენტი, სად. სვირის უფროსის თანაშემწე, მოკლულ იქნა ყაზახების მიერ 1906 წელს იანვრის 8-ს.

◆ **შირაქის ნავთი.** ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში მიღებული ცნობებით, ამ დღეებში შეუდგებიან შირაქის ნავთის საცდელი ჭა-ბურღილების ამოღებას.

◆ **სასმელი წყლის გამორკვევა.** თბილისის მაზრის კურორტებზე შეუდგენ სასმელი წყლების ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს.

◆ **ანდეზიტების გამოკვლევა.** ამ დღეებში ყაზბეგის რაიონში მიემგზავრებიან ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს სპეციალისტები ანდეზიტების მადნების გამოსაკვლევად.

◆ **ბორჯომის წყალი.** რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ბორჯომის წყლის ექსპორტი გაიზარდა ორჯერ.

◆ **პოლიგრაფიული მრეწველობის გამოფენაზე** გასაგზავნ ექსპონატების დამზადებას შეუდგა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტი. გამოფენაზე გაიგზავნება ლიტოგრაფიული მრეწველობის პროდუქციის ნიმუშები.

ახალი წიგნები

◆ **სახელმძღვანელო სკოლებისათვის.** იბეჭდება მე-6 და მე-7 ჯგუფის მოწაფეთა სახელმძღვანელო წიგნი „მათემატიკური ამოცანები“ ა. ხარაბაძის.

◆ **საბინაო საკითხები“.** გამოვიდა საქ. „ბინათ კავშირის“ საზოგადოების გამოცემა „საბინაო საკითხები და საბინაო კოოპერაცია“ პ. შენგელაიასი.

შემთხვევები

◆ **ქურდობა კოოპერატივში.** გუშინ სოლოლაკის ქუჩაზე კოოპერატივ „მეომარში“ ვაჭრობის დროს გაქურდეს ალექსანდრე ყიასაშვილი, რომელსაც მოჰპარეს 330 მანეთის ოქროულობა და ფული.

◆ **ქურდობა.** ღია კარებიდან გაქურდეს მოქ. მ. ავეტისოვის ბინა (პეტრე-პავლეს ქუჩა № 10). წაიღეს საოჯახო ნივთები და ტანისამოსი.

◆ **კოოპერატივის გაქურდვა.** გაქურდეს ა. კ. სატრანსპორტო სამომხმ. საზოგადოების ფარდული, რომელიც გახსნილია რკინის გზელთა საზაფხულო კლუბში. წაღებულია სხვადასხვა საქონელი.

◆ **გაქურდეს** მოქ. ალ. სკლისოვსკის ბინა (პლეხანოვის შესახვევი № 8) წაღებულია 150 მან. ნივთები.

ელდარის ნავთის შესახებ*)

(ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს განმარტება)

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების ნავთის დამუშავების სექციაში ელდარის ველზე ნავთის შადრევანის ამოხეთქვის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

ნავთის შადრევანის ამოხეთქვის შესახებ დღემდე სამთო განყოფილებას არ მიუღია არავითარი ცნობები. შესაძლებელია, რომ ელდარის ველზე კვლავ ამოუნა ნიადაგიდან ნავთმა, და ეს შადრევანათ მიიღეს. ნავთიან ადგილებში საზოგადოთ ხშირია შადრევანის ამოვარდნის შემთხვევები გურიაში მაგალითად ამ რამოდენიმე წლის წინათ ამოვარდა ორი მეტრის სიმაღლე შადრევანი. აქედან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ნავთის მარაგი დიდია.

ნავთის საქმეთა სპეციალისტი-კონსულტანტი ზიბერტი აცხადებს: ელდარისა და შირაქის ველები შეადგენენ კახეთის დიდი სანავთო რაიონის უმთავრეს ნაწილს. ჯერ კიდევ ბაქოში ნავთის ამოღების დაწყებამდე, დაახლოებით 1860-იან წლებამდე მთელი აღმოსავლეთი საქართველო და ქალაქი თბილისი სარგებლობდა ელდარიდან და შირაქიდან ამოღებული ნავთით. მაშინ, როგორც ამას ისტორიული წყაროებიდან ვტყობილობთ აწარმოებდენ უბრალო ჭაობის ამოღებას და იქედან ამოჰქონდათ ნავთი, როგორც ეხლა წყალი ამოაქვთ.

მიწის წიაღის ყველა სიმდიდრეზე შეიძლება ითქვას ვარაუდით, თუ რამდენი იქნება ამ თუ იმ მადნის მარაგი, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ნავთზე. ნავთის წყაროების მარაგის გამორკვევა ყოვლად წარმოუდგენელია, ვინაიდან მეცნიერებაში არსებობს აზრი, რომ ნავთი მიწის ქვეშ ახდენს დიდ გეოგრაფიულ „მოგზაურობას“ ხოლო არის ისეთი აზრიც თითქოს ნავთის მარაგი იცვლებოდეს სხვადასხვა პერიოდებში.

ამჟამად, სამთო განყოფილების ცნობით შირაქში სწარმოებს გამოკვლევითი მუშაობა, რომლის დამთავრების შემდეგაც შესაძლებელია დაახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ ელდარის ნავთის წყაროების შესახებ.

---

*) ცნობა ელდარის ველზე ნავთის შადრევანის ამოხეთქვის შესახებ ჩვენ გადმოგვცა ა. ქ. დეპ. საგენტოო. რედ.

ტრამვაის ახალი ვაგონების

გამოცდა

გუშინ სწარმოებდა მოსკოვიდან მიღებულ ტრამვაის ვაგონების გამოცდა. გამოცდას მოჰყვა სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგი. ვაგონები, როგორც მოსალოდნელი იყო, სავსებით წესიერად და ნორმალურად მუშაობენ.

ჯერ-ჯერობით გრძელდება ვატმანების ვარჯიში, რომლის მიზანია ვატმანები შეეჩვიონ ახალი ვაგონების მართვას, ვაგონები აღჭურვილია ვესტინჰაუზის მუხრუჭით. ახალი ვაგონის ნორმალური დატვირთვა უდრის—50 კაცს, ხოლო მაქსიმალური 70-ს.

როგორც ვსწერდით, ჯერ მიღებულია მხოლოდ ორი ღია ვაგონი. მიმდინარე წლის დამლევამდე გამოგზავნილი იქნება კიდევ 20 ვაგონი.

შეკვეთილ 74 ვაგონიდან 24 ღია ვაგონია, ხოლო 50 დახურული ვაგონი.

პირველ ხანებში ახალი ვაგონები იმუშავებენ პირველი და მეორე მარშრუტით, რომლის ხაზი სრულიად განახლებულია.

დანარჩენ მარშრუტებზე ახალი ვაგონები გაშვებული იქნებიან იმის და მიხედვით, როგორც კი ძველი ლიანდაგი შეცვლილი იქნება ახალი ლიანდაგით.

ტირიფონის არხი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებით სათანადო ორგანოების წინაშე, რათა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიეცეს ტირიფონის არხის გასაყვანად 600.000 მან.

აღძრული იქნება შუამდგომლობა, რათა 250.000 მანეთი მოკლე ვადიანი სესხის სახით გაღებული იქნეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკიდან საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის გარანტიის ქვეშ, 200.000 მანეთი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ბანკიდან და 150.000 მან. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან.

რკინისგზეზე

მუშა-ხელის ნაკლებობა

აზერბეიჯანის ხაზზე ადგილი აქვს კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობას.

როგორც გამოკვლევიდან სჩანს, საჭიროა: 30 სადგურის უფროსის თანაშემწე, 15 მწონავი და 15 მოლარე ბილეთებისა და საბარგო სალაროებისათვის.

გზის გამგეობას მიღებული აქვს ზომები ამ ხაზზე საჭირო აგენტების გასაგზავნად.

ბრძოლა გზის წალეკვასთან

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიამ წინადადება მისცა სალიანდაგო დარგს გამოიკვლიოს რაიონი სადგ. ერევნიდან—ულუხანლუმდე, და მიიღოს ზომები წყალდიდობისაგან და წალეკვისაგან გზის დასაცავად.

ხელოვნება

◆ **თბილისელი მომღერლები იტალიაში.** ამჟამად იტალიაში მღერის ახალგაზრდა მომღერალი **ვ. ჭამაკაშვილი** და მსახიობი **ისეცკი.** ჭამაკაშვილი გამოდის იტალიის სხვადასხვა ქალაქებში; ისეცკი კი მიწვეულია შემოდგომის სეზონისათვის სტოკჰოლმის ოპერაში.

◆ **სამზადისი საოპერო სეზონისათვის.** მომავალი საოპერო სეზონისათვის სამზადისი დავალებული აქვს ხელოვნების მთავარ განყოფილებას. ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება მთელ რიგ გამოჩენილ მომღერლებთან მათი თბილისში მოწვევის მიზნით.

სხვათა შორის, მოწვეულია ცნობილი მომღერალი ქალი **ხლავინსკი** (დრამატ. სოპრანო).

დასის შედგენა დასრულდება ახლო ხანში.

◆ **ორი სიმფონიური კონცერტი.** დღეს საღამოს მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბში გაიმართება დიდი სიმფონიური საღამო. დაუკრავს ორი ორკესტრი—**ი. ფალიაშვილის** და კარდაშევის ხელმძღვანელობით.

◆ **საღამო კონცერტი.** დღეს საღამოს ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **კონცერტის გადადება.** 16 ივლისისათვის სახელმწიფო კონსერვატორიაში დანიშნული კონცერტი გადადებულია შემდეგისათვის.

◆ **თეატრის შენობა ავლაბარში.** ავლაბარში აგებენ თეატრისა და კინოს შენობას. შენობის საფუძველი უკვე ჩაყრილია.

◆ **პლატონ ქიქოძის წერილების წიგნი.** გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში და კიოსკებში პლ. ქიქოძის კრიტიკული წერილების კრებული „ლიტერატურული საქართველო“ (1924—27 წ. წ.) წიგნი შესდგება შემდეგი განყოფილებებიდან:1) მომაკვდავი ლიტერატურა, 2) პროლემაფიდან დღემდე, 3) ლიტერატურული თანამგზავრობის პრობლემა. წიგნს დართული აქვს დამატება: პარტიის ხაზი ლიტერატურაში საკავშირო კომპარტიის ცეკას რეზოლიუცია; ჟურ. „პროლემაფის“ მოწინავე. წიგნი განათლების კომისარიატის მიერ მოწონებულია მუშფაკებისათვის, მეორე საფეხურის სკოლებისათვის, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისთვის და სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის, შეიცავს 275 გვერდს, ღირს 1 მან. 50 კაპ. გამოცემა სახელგამის.

დღეს კინოებში

◆ მინიონი—„ილონა“.
◆ არფასტო—„მეფის ბრძანებით“.
◆ დარბაზი—„მომაკვდავი ერები“.
◆ ოდეონი—„საღამოს შვიდ საათზე“.
◆ პალასი—„ექიმი კალიგარი“.
◆ აპოლო—„სამთა სიყვარული“.

სოცდაზღვევის ანარიცხები

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა სამეურნეო ორგანოებს, რათა მათ ფხიზელი თვალყური ადევნონ, რომ მათმა ქვემდებარე დაწესებულებებმა და წარმოებებმა დაზღვევის ანარიცხები შეიტანონ ხელფასის გაცემასთან ერთად.

შრომის ორგანოებს და დაზღვევის ორგანიზაციებს დაევალა გააძლიერონ მუშაობა დაზღვევის ანარიცხების ასაკრეფად; იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც სისტემატიურად არ იხდიან ანარიცხებს, მიღებული უნდა იქნეს იძულებითი გადახდევინების ზომები და დამნაშავეები სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

ამიერ-კავკასიის ხელისუფლების, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცა ენერგიული დახმარება გაუწიონ დაზღვევის ორგანიზაციებს დაზღვევის ანარიცხების აკრეფის საქმეში.

თავის მხრივ, დაზღვევის ორგანიზაციებმა მაქსიმალური მომჭირნეობა უნდა გამოიჩინონ დაზღვევის ფონდების ხარჯვაში და მტკიცეთ უნდა დაიცვან საბიუჯეტო დისციპლინა.

უმაღლეს სასწავლებლებში

მიღება

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში (სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტი) მიღება დაიწყება პირველ სექტემბრიდან. განცხადებას მიიღებენ 25 აგვისტოდან. მისაღები გამოცდები დამთავრდება 18 სექტემბერს. მიღების და მისაღებ გამოცდების შედეგები გამოცხადებული იქნება 25 სექტემბერს.

თვითეულ უმაღლეს სასწავლებელთან ეწყობა მიმღები კომისია, რომელშიაც შევლენ: ს. პ. კ ს. კულტგანყოფილების, ა. ლ. კ. კ. ს. კ. პ: ცეკას აგიტპროპის, პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს და უმაღლეს სასწავლებლის გამგეობის წარმომადგენლები

პროფესიონალური განათლების მთავარ სამართველოსთან მოწყობილი იქნება ცენტრალური კომისია, რომელიც იქნება უმაღლეს სასწავლებლებში მიღების უმაღლესი ორგანო. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნებიან ახალგაზრდები არა უმცროს 17 წლისა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული იქნება 500 კაცი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—150. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე მიღებული იქნება 200 კაცი, სოციალურზე და საექიმოზე—75 კაცი თვითეულზე და აგრონომიულზე და პოლიტიკურზე—150. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სასოფლო-სამეურნეო და საინჟინერო ფაკულტეტებზე მიღებული იქნება 75 კაცი თვითეულზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტში დათმობილი აქვთ: 110 ადგილი მუშფაკების კურსდამთავრებულებს და 40 ადგილი ავტონომიურ რესპუბლიკებს—აფხაზეთს, აჭარისტანს და სამხრეთოსეთს.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 50 ადგილი დათმობილი აქვს მუშფაკების კურსდამთავრებულებს და 30 ადგილი ავტონომიურ რესპუბლიკებს.

სასამართლო

პ. კალატოზიშვილის საქმე

პავლე კალატოზიშვილი 1923 წლიდან მსახურობდა პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის მოანგარიშის თანამდებობაზე. მას ევალებოდა სალაროს წიგნების წარმოება, მუშების ხელფასის გამოწერა, მათი დავალიანების სიების შედგენა და სხვ. მასვე ებარა ხელწერილის ქვეშ 3743 მანეთად ღირებული მარკები. ამ მარკების საშუალებით სწარმოებდა ანგარიშის გასწორება მუშკოოპის მაღაზიასთან, საიდანაც მუშებს სურსათ-სანოვაგე მიჰქონდათ.

გადის დრო და პოლიგრაფტრესტი მუშკოოპს უდგენს უკანასკნელის მიერ სტამბაში მასალების დაბეჭდვის ანგარიშს და სთხოვს დავალიანების დაფარვას. მუშკოოპი ტრესტს პირიქით, გაედავა და უთხრა; ჯერ თქვენი დავალიანება დაფარეთ და ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთო. გაკვირდა პოლიგრაფტრესტი. არავითარ დავალიანების შესახებ მან არ იცის. რაშია საქმე!

დაინიშნა საქმის გამოძიება. აღმოჩნდა, რომ ორივე მოდავე მხარე მართალი ყოფილა. დამნაშავე პავლე კალატოზიშვილი, რომელმაც მარკები ფულად აქცია და მუშკოოპის მაღაზია თავისი შემოსავლის წყაროდ გაიხადა. კალატოზიშვილს გაფლანგული აღმოაჩნდა—2855 მანეთი.

კალატოზიშვილიც უარს ამბობს „დავალიანებაზე“ და აცხადებს, რომ შესაძლებელია (?) მას მარკები მოჰპარეს.

საქმის გარჩევა დაიწყო გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლოში.

სასამართლოს შემადგენლობა:—თავმჯდომარე—ამხ. **ბერიშვილი,** პროკურორი—ამხ. **აბაკელია,** დამცველი—**მ. ღვამიჩავა.**

დ. გორდაძის გასამართლების გარშემო

(საუბარი ამხ. ლაშხთან)

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. **ლაშხმა** ჯამი გაუკეთა დ. გორდაძის გასამართლებას და განაცხადა შემდეგი:

— თბილისის სისხლის სამართლის მილიციიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შეკრებილი მასალები დ. გორდაძეს ახასიათებენ, როგორც ბანდიტს, რომელმაც ძარცვა მოახდინა ჯერ კიდევ 1910 წელს.

საზოგადოებას ალბად უკვირს, როგორ მოხდა რომ გორდაძემ, რომელსაც 22 წელს დახვრეტა ჰქონდა მისჯილი ძარცვლობისათვის, მოახერხა დაწინაურება.

სასამართლოს განკარგულებაში არსებული მასალები მოწმობენ, რომ არავითარი ორგანიზაციის დავალებით ის არ ყოფილა გაგზავნილი სვანეთში. იქ ის თავისით წავიდა „ბედის საძებნელად“. იქ მან ისარგებლა 1924 წელს აგვისტოში მომხდარი არევ-დარევით, (მისი წარსული სვანეთში არავინ იცოდა) და თავი ამოჰყო მილიციაში. აქედან მან მოახერხა დაწინაურება და თბილისის მილიციაში გადმოსვლა მაგრამ მისი ბანდიტობა ვერ დაიფარა, მალე გამოაშკარავდა მისი ვინაობა და ის გააიდევნა მილიციის რიგებიდან.

გორდაძის პროცესი მოწმობს, რომ ჩვენ ხშირად უნდა ვამოწმებდეთ და ვსწმენდდეთ ჩვენს აპარატს ასეთი ელემენტებისაგან.

მკვლელობის ჩადენა როგორც სასამართლო მასალებიდან სჩანს, შედეგად მოჰყვა გორდაძისათვის ძლიერი შეურაცხყოფის მიყენებას ამაშუკელის მიერ და ამიტომ სასამართლოს არ შეეძლო სხვა სასჯელი შეეფარდებია.

სასამართლოს სესიის მუშაობა სიღნაღის მაზრაში

(საუბარი ამხ. ბერიშვილთან).

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **აბაკელიას** მონაწილეობით დაამთავრა მუშაობა სიღნაღის მაზრაში და დაბრუნდა თბილისში.

სესიის თავმჯდომარემ ამხ. ბერიშვილმა სასამართლოს მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— სესიის მუშაობა გაგრძელდა დაახლოვებით 2 თვე 6 მაისიდან 10 ივლისამდე. სესიას უხდა გაერჩია 56 საქმე. აქედან 12 გადაიდო სხვადასხვა მიზეზების გამო, 4 დაუბრუნდა საგამომძიებლო აპარატს ხელმეორედ გამოსაძიებლად, ხოლო დანარჩენი 40 საქმე გაირჩა. უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა გამოტანილ იქნა 9 კაცზე. უმეტესად დამცემლებზე და მძარცველებზე. საერთოდ სიღნაღის მაზრაში სჭარბობს მძარცველობა, შემდეგ მიდის მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე და სხვა. არის შემთხვევა, როცა ერთი მტევანი ყურძნის გულისთვის კაცი კაცს ჰკლავს. ეს, უსათუოდ, ადგილობრივ მცხოვრებლების ნაწილის გაუნათლებლობის, ჩამორჩენილობის შედეგია.

სესიამ წაიღო გასარჩევად უფრო სერიოზული, საპატიმრო საქმეები, წვრილი საქმეები კი გადასცა ოლქის სასამართლოს სამაზრო რწმუნებულს.

საქმეები ირჩეოდა ადგილობრივ, სოფლებში. საჩვენებელი პროცესები იმართებოდა ცის ქვეშ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი დასწრებოდა. დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ გლეხებში კულაკ **ზვერიაშვილის** გასამართლებამ პროცესს დაესწრო 4.000-მდე კაცი სხვადასხვა მაზრებიდან. ღარიბ გლეხებმა და მოჯამაგირეებმა, რომლებიც აღშფოთებული იყვნენ მეჩი კულაკის საქციელით, გამართეს ფართო დემონსტრაცია და მოითხოვდენ ბოროტმოქმედის სასტიკად დასჯას. გლეხობა კმაყოფილი დარჩა სასამართლოს განაჩენით.

— უნდა აღინიშნოს, ამბობს ამხ. ბერიშვილი, რომ სიღნაღის მაზრაში საგამომძიებლო აპარატი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ზოგიერთ შემთხვევაში, საქმე ისე ბუნდოვანად იყო გამოძიებული, რომ იძულებული ვხდებოდით საქმე გადაგვედო ხელმეორედ გამოსაძიებლად.

სესიის მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩატარებულ იქნა მოხსენებები და ბაასები გლეხთა კრებებზე. გლეხობა დიდი კმაყოფილი დარჩა ახსნა-განმარტებებით. აუარებელ შეკითხვებს იძლეოდენ მიწის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების შესახებ.
გ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჰერკულანუმის გათხრა

ამ რამდენიმე ხნის წინათ იტალიის მთავრობა კვლავ შეუდგა გათხრას ძველ რომაულ ქალაქ **ჰერკულანუმისას,** რომელიც 79 წელს ჩვენს ერამდე (ე. ი. თანამედროვე წელთ აღრიცხვის დაწყებამდე) მეზობელ ქ. **პომპეისთან** ერთად ფერფლმა დაფარა ვეზუვის ამოხეთქის დროს. პომპეის გათხრა უკვე დიდი ხანია სწარმოებს და მდიდარ შედეგებს იძლევა. ჰერკულანუმის გათხრა თავის დროზე დაიწყეს, მაგრამ ჩქარა იძულებული შეიქნენ მიეტოვებიათ მუშაობა ამის მიზეზი იყო ერთის მხრივ ის, რომ ის ადგილები, სადაც ფერფლს ქვეშ დამარხულია ეს ქალაქი, აღმოჩნდა მთლიანად დასახლებული ან ეჭირა ზეთის ხილისა და ყურძნის პლანტაციებს. რომელთა პატრონები უარს ამბობდენ თავისი საკუთრების დათმობაზე. მეორე მხრივ, სწორედ ამ ადგილებში ფერფლი იმდენათ გამაგრებული აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი იარაღებით რომლებითაც გათხრებს აწარმოებენ, არ მოხერხდა მისი დაშლა ისე, რომ არ დაემტვრიათ მასში მოქცეული სიძველეთა ნაშთები!

მხოლოდ ახლა, ხანგრძლივი და ყოველმხრივი მომზადების შემდეგ, ჩასთვალეს შესაძლებლად გათხრების განახლება სპეციალურად დამზადებულ ხელსაწყოების საშუალებით. მთელი მუშაობა სწარმოებს ახალი სისტემით, რომელმაც უკვე პომპეიში გამოიღო ბრწყინვალე შედეგები: დაწყებული ზევიდან სწმენდენ ფერფლის ზედაპირებს და დაუყოვნებლივ. ფერფლის გაწმენდასთან ერთად იწყება სარესტავრაციო მუშაობა ისე, რომ აღმოჩენილ სიძველეთა უმნიშვნელო ნაწილიც კი არ იკარგება. როცა ფერფლის აღება მიაღწევს ძველი ქალაქის ფილაქნებამდე, ქალაქი უკვე აღდგენილი იქნება.

გათხრების უკვე პირველ დღეს გამოარკვიეს მიმართულება ერთი ქუჩის, რომელზედაც შემდეგ აღმოაჩინეს პალესტრის (სასპორტო სკოლის) საძირკველი და პატარა სახლი, რომლის კედლები გამშვენიერებულია შესანიშნავი სურათებით და ჩუქურთმებით.

რადიო ფეჩი

ინჟენერმა **ნ. ჩ. რენტშლერმა,** „ვესტინჰაუზის კომპანიის“ თანამშრომელმა აღმოაჩინა რადიო-ტალღების საშუალებით მეტად მაღალი ტემპერატურების მიღების წესი. რენტშლერი მცირე არეზე, განსაკუთრებული მოწყობილობის საშუალებით აგროვებს მრავალი გენერატორიდან მიღებულ რადიო-ტალღებს. თუ რადიო-ტალღებს ამ სივრცეზე ხვდება ელექტრონის გამტარი რაიმე სხეული, ისინი (რადიო-ტალღები) იწვევენ მასში ისეთ მძლავრ ელექტრო დენებს, რომ სხეული დაუყოვნებლივ იწყებს დნობას, რადგან მასში დიდი სიმხურვალე ვროვდება.

ასეთ რადიო-ფეჩში რენტშლერმა შესძლო მიეღო მაგარი სახის ურანიუმი, რადიო-აქტიური ლითონი. რომელსაც მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში იცნობდენ მხოლოდ მარილების სახით.

რადიო-ფეჩი ახალ პერსპექტივებს შლის შორ მანძილზე ელექტრონული ენერგიის გადაცემის წინაშე. ასე მაგ., თუ რენტშლერის ტალღების ფოკუსში (წერტილში, სადაც ტალღები თავს იყრიან) მოვათავსებთ ჩვეულებრივ ელექტრონის ლამპას, უკანასკნელის ღერო ხურდება და ლამპა იწყებს ნათებას.

საექსპორტო საცივარი

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა შეუდგეს მძლავრი საექსპორტო საცივარის მოწყობას ფოთში. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს უფლება მიეცემა შევიდეს აქციონერად საზ-ბა „ხლადოექსპორტ“-ში 150.000 მანეთის კაპიტალით.

ფოთის საცივარი ყველაზე უფრო მძლავრი იქნება მთელს ამიერ-კავკასიაში; ის ამუშავებული იქნება არა უგვიანეს 1928 წლის შემოდგომისა. წინასწარი გეგმის მიხედვით საცივარი დაიტევს 100-120 ათას ფუთ ტვირთს. საცივარის აგება დაჯდება 1.500.000 მანეთი.

საცივარის აგებით ამიერ-კავკასიას საშუალება ექნება შავი ზღვით გაგზავნოს ტვირთები მარსელში და ჰამბურგში.

ბრძოლა მათხოვრობასთან

ქალაქის ადმინისტრატიულ განყოფილებასთან შესდგა ქალაქის ქუჩებში მათხოვრობასთან მებრძოლი ცენტრალური კომისია, რომელიც მუშაობას შეუდგება 7 ივლისიდან. კომისიაში შედიან თბილისის ალმასკომის ადმინისტრ. განყოფილების და ქალაქის მილიციის უფროსი ამხ. **ს. ხმალაძე,** დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების წარმომადგენელი—**კიდაიში,** პიონერობიდან—**აბესაძე,** თბ. ბავშვთა მეგობრების საზოგადოებიდან—ამხ. **ალექსანდრა შულგინი** და **თ. კალანდაძე.**

გარდა ცენტრალური კომისიისა, ქალაქში იმუშავებს აგრეთვე 4 სარაიონო კომისია. სარაიონო კომისიები მოახდენენ ქუჩების ჩამოვლას და დააპატიმრებენ ყველა ჯანმრთელ მათხოვრებს. კომისიები ამავე დროს შეუდგებიან დაპატიმრებულთა ვინაობის სასწრაფო გამოკვლევას და თუ გამოირკვა, რომ რომელიმე მათხოვარს აქვს არსებობის საშუალება, ან მისი ოჯახის წევრები პროფკავშირში ირიცხებიან და მუშაობენ, მათ აეკრძალებათ ქუჩაში მათხოვრობა. თუ ისინი რამოდენიმეჯერ იქნენ დაპატიმრებული მათხოვრობისათვის, მაშინ დადგება საკითხი მათი გადასახლების შესახებ რესპუბლიკის ფარგლებიდან.

კომისიის ასეთი ღონისძიებები გამოწვეულია იმით, რომ ხშირად ჩამოსული ეზიდების ბავშვები საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან მშობლებიდან და ისინი მაინც მათხოვრობენ. მათი მშობლები კი ამავე დროს მუშაობენ ტვირთმზიდველებათ და ირიცხებიან პროფკავშირში.

ის მათხოვარი ბავშვები, რომელთაც სხვა საარსებო წყარო არ აღმოაჩნდებათ, გადაყვანილი იქნებიან საბავშვო სახლებში.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

შრომის ბირჟა უმუშევრების საყურადღებოდ იტყობინება, რომ **მე-3 სექციისათვის (შავ მუშათა სექცია) საჭიროა 200 კაცი; მსურველები უნდა გამოცხადდენ ამ დღეებში შრომის ბირჟაში: სამუშაო ზაფხულის მთელ სეზონზე გაგრძელდება. ხელფასი და საცხოვრებელი პირობები ხელსაყრელია.**

დღეს, 16 ივლისს ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს: 2

საწარმოო კვალიფიციურ მუშაკთა 1-ლი სექცია: ანნა ჩოპიკაშვილს, ლ. პახლევანოვს, მარიამ ეგანოვას, მუსტაფ ხაჩატურიანს.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ნინო თოხაძეს, სიმონ მანფორიას, გიორგი რუსიშვილს, იაკობ გამყრელიძეს, გიორგი წერეთელს, ნინო უშვერიძეს,,, თამარ ყარალაშვილს, ვერა ლახოვს, სოლომონ აბულოვს, ოლღა იასენენკოს და ოლღა ნარდოვს.

შავ მუშათა მე-3 სექცია: ანტონ მოწონელიძეს, დიმიტრი ხატიაშვილს, ნესტორ ნოდიას, გიორგი აბუაშვილს, სერგო ხურცილავას, ალერ გოგიაშვილს, იოსებ ცაბაძეს, გიო მჭედლიშვილს, ალექსანდრე თედიაშვილს, სტეფანე ჯიქიას; პეტრე ბაიაკაშვილს, იაკობ ჩომახიძეს, დიმიტრი დონაძეს, არშაკ ასრიევს, გიორგი დავიდოვს, ს. ვოსკანიანს, ოვანეს აკოპოვს, კარაპეტ კაზარიანს, სიმონ კუჩანსკის, გრიგოლ მიქელიანცს, აივაზ თამოევს, მარტინ ოვანესიანს, მიქიჩ ასოევს, რუბენ ხაჩატურიანს, სეროპ ხასიანს, გარეგინ მურადოვს, კ. მალხანიანცს, ვასილ კრიელიკი, საქო ადამოვს, კირილე წვერავას, ხაზარ სავაროვს, სათოიან გეურქ. ცხოვრელი ალექსის, ლავრენტი შავერდოვს, ოგანეზოვს და თადაოზ მადიანს.

მე-5 სექცია: არსენ ტერ ავეტისოვი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 16 ივლისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიოსტუდიიდან გადაცემული იქნება:

კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღება—რუსულ და ქართულ ენებზე (7—7—40).

მომავალი ომების ხასიათი—რუსულ და ქართულ ენებზე (7—40—8—20).

როგორ გავაძლიეროთ მემინდვრეობის შემოსავლიანობა—რუსულ და ქართულ ენებზე (8—20—9).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე (9—9—10).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (9—10—11).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 37

საზოგადოება მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების წესისა და შრომის პირობების შესახებ

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლ. მაისის 25.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1925 წლ. ივლისის 30-ს თარიღით „გლეხურ მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ“ გამოცემულ ინსტრუქციის განსავითარებლად (ა.-კ. შრომის კანონმდებლობის მოამბე № 14—1925 წ.), მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების წესისა და შრომის პირობების შესახებ ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს შემდეგ წესებს:

ამ წესების გავრცელების ფარგლები

1. დადგენილება ესე ვრცელდება მწყემსებზე და მენახირეებზე, რომელნიც სოფლის საზოგადოებებთან, მის ნაწილთან და საქონლის მეპატრონეთა ჯგუფებთან დაქირავებით მუშაობენ.

2. მწყემსებისა და მენახირეების შრომის პირობები, რომლებიც ამა დადგენილებაში არ არის გათვალისწინებული ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. ივლისის 30-ს თარიღით „გლეხურ მეურნეობაში დაქირავებულ შრომის პირობების შესახებ“ დამტკიცებულ დროებითი წესით წესრიგდება.

დაქირავების წესი

3. მწყემსებისა და მენახირეების დაქირავება უშუალოდ დამქირავებლის (სოფლის საზოგადოების, მისი ნაწილის და საქონლის მეპატრონეთა ჯგუფის მიერ სწარმოებს.

4. დაქირავებულს შეუძლია მწყემსი, ან მენახირე დღიურ სამწყესურზე, ან წლის განმავლობაში სხვა სამუშაოზე, ან კიდევ მუდმივ სამუშაოსათვის აიყვანოს.

5. აკრძალულია მოჯამაგირეთა კომიტეტების, სოფლის საბჭოების, ან სხვა ორგანიზაციების მხრივ დაქირავების ისეთი წესების შემოღება, რომლითაც დამქირავებელი მწყემსების ან მენახირეების დაქირავებისათვის ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებიდან ნებართვის აღებას თხოულობენ.

დაქირავების პირობები

6. მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების პირობები განისაზღვრება ურთი-ერთ შეთანხმებით დამქირავებელსა (საადგილ-მამულო საზოგადოება, ნაწილი მისი, საქონლის მეპატრონეთა ჯგუფები) მწყემსებთან და მენახირეებთან ან სასოფლო-სამეურნეო პროფესიონალურ კავშირთან, რომელიც მოქმედობს მათი სახელით.

7. დამქირავებელი ვალდებულია მწყემსების ან მენახირეების დაქირავების დროს დასდოს მასთან, ან მათი სახელით მომქმედ პროფკავშირთან წერილობითი შეთანხმება (შრომის ხელშეკრულება) დაქირავების პირობების შესახებ

შენიშვნა: წერილობითი შეთანხმების დადება სავალდებულო არ არის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებლები მწყემსებს, ან მენახირეებს ქირაობენ სამუშაოზე არა უმეტეს ვიდრე ორი კვირის ვადით.

8. შრომის ხელშეკრულებაში უნდა იყოს ნაჩვენები:

ა) სამწყესოს შემადგენლობა (ერთგვარი ან შერეული) და სამწყესში მსხვილი (ცხენი, ძროხა დასხვა) და წვრილი (ცხვარი, ხბო და სხვა) საქონლის რაოდენობა, ბ) დაქირავების ვადა (დაქირავების ვადის ხანგრძლივობა და აგრეთვე დაქირავების ვადის დასაწყისის და დაბოლოვების თვე და რიცხვი), გ) მწყემსობის დაწყების და გათავების ვადები ღამის სამწყესოებში, დ) წესი და ადგილი საქონლის შესაგროვებლად სამწყესურებზე გასარეკად და სამწყესურიდან მორეკის დროს, ე) სამწყესურის ადგილი და სამწყესურზე გასარეკი გზა, წყლის ღალევის ადგილი და უკან გამორეკა, ვ) სამუშაო ხელფასის სახე, რაოდენობა და გადახდის ვადები, ზ) კანონის მიერ დაწესებულ უქმე და დასასვენებელ დღეებში მუშაობიდან განთავისუფლების და დასასვენებელ დღის მიცემის წესები და ი) დამატებითი პირობები.

9. შრომის ხელშეკრულების პირობებს აქ დებულებასთან შედარებით არ შეუძლია გააუარესონ მწყემსებისა და მენახირეების მდგომარეობა, ამისათვის ყოველგვარი პირობას, რომელიც დაშვებულ იქნება ხელშეკრულებაში და უფრო ცუდ პირობაში ჩააყენებს მწყემსსა ან მენახირეს, კანონიერი ძალა არა აქვს.

10. შრომის ხელშეკრულების დადება მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების შესახებ არ შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მისი ასრულება უნდა დაიწყოს ერთი წლის და მეტის ვადით და აგრეთვე ერთ წელიწადზე მეტი.

11. მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების შესახებ წინასწარ მოლაპარაკების დროს შემოდგომაზე, რომ მათ იმუშაონ მომავალ სასოფლო-სამეურნეო სეზონში დაიშვება. მოლაპარაკების წერილობითი პირობები უნდა იყოს დადასტურებული თემალმასკომის, ან სოფლის საბჭოს მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებული, ან დამქირავებელი მომავალში უარს იტყვის წინასწარ მოლაპარაკების პირობებზე, ის ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ მომავალ სეზონის დაწყებამდე ორი თვით ადრე.

იმ შემთხვევაში თუ დამქირავებელი ზემოაღნიშნულ ვადის განმავლობაში მწყემსს, ან მენახირეს არ გააფრთხილებს წინასწარ მოლაპარაკებით დადებულ პირობებში მუშაობის უარის თქმაზე დამქირავებელი ვალდებულია მისცეს დაქირავებულს მიუღებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორი თვის სამუშაო ჯილდო, ან და მხარეთა მიერ ურთი-ერთ შორის სპეციალურად დაწესებული ჯილდო მისცეს იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გაფრთხილებული საძოვრებ-ზეგარეკის დაწყების წინ ორი თვით ადრე.

12. სოფლის საზოგადოებები, მათი ნაწილები და საქონლის მეპატრონეთა ჯგუფები მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად და ხელშეკრულების დასადებათ ირჩევენ განსაკუთრებულ რწმუნებულს, რომლებსაც არჩევის შესახებ საზოგადო კრების განჩინება, ან ოქმი ეძლევა სოფლის საბჭოს მიერ დადასტურებული.

აღნიშნულ რწმუნებულის მოვალეობას შეადგენს:

ა) საზოგადოების სახელით მოლაპარაკების წარმოება მწყემსების და მენახირეების და მათთან (მწყემსებთან და მენახირეებთან) ან მათი სახელით მომქმედ პ.-კავშირთან შრომის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, ბ) სასოფლო საზოგადოებების, მათი ნაწილის და ჯგუფის მიერ შრომის ხელშეკრულებებით მიღებულ ვალდებულებათა შესრულება.

შენიშვნა 1: საზოგადოების რწმუნებულთა არჩევის შესახებ განჩინების, ან ოქმს სოფლის საბჭო უსასყიდლოთ ამოწმებს.

შენიშვნა 2: საქონლის მეპატრონეთა და მწყემსების ურთი-ერთშორის მოთხოვნილების და პრეტენზიების წარდგენა საზოგადოების რწმუნებულის საშუალებით ხდება.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც მწყემსის დასახმარებლად საჭიროა ხელქვეითის (подпасок) დაქირავება, მაშინ ეს უკანასკნელი დამქირავებელსა და მწყემსის შორის შეთანხმებით ხდება. თუ დაქირავება მოხდება მწყემსებთან შეუთანხმებლად, მაშინ უკანასკნელს შეუძლიან მოიხსნას პასუხისმგებლობა დამხმარე პირი მოქმედებისათვის.

14. მწყემსის, ან მენახირის დაქირავების დღიდან ორი კვირის განმავლობაში დამქირავებელნი ვალდებულნი არიან წარადგინონ სოფლის საბჭოში ორივე მხარეების შორის დადებული წერილობითი შეთანხმება (შრომის ხელშეკრულება) იმ ადგილებში. სადაც არ არის სოფლის საბჭო—შეთანხმება აღსანუსხავად მახლობელ თემსა, საუბნო (დაირა) თემალმასკომისა, ან სოფლის საბჭოში წარედგინება.

სოფლის საბჭოს, ან თემის, ან საუბნო (დაირა) ალმასკომს არა აქვსუფლება დამქირავებელსა და მწყემსსა და მენახირეს შორის დადებულ ხელშეკრულებაში რაიმე ცვლილება უშუალოდ შეიტანოს აღნუსხვისათვის წარმოდგენილ შეთანხმებებში, ხოლო თუ აღმოჩნდება მწყემსის და მენახირის მდგომარეობის გამაუარესებელი პირობები, მხარეებს აძლევს წინადადებას დაუყონებლივ შეიტანონ ცვლილებები.

შენიშვნა: სოფლის საბჭოს, საუბნო, დაირის ალმასკომს არა აქვს უფლება აღნიშნული შეთანხმების (შრომის ხელშეკრულების) აღნუსხვისათვის დაქირავებულს, ან მწყემსს, ან მენახირეს გადაახდევინოს რაიმე საფასური.

15. სოფლის საბჭო მოვალეა წარდგენილი ხელშეკრულება იმავე დღეს აღნუსხოს, როდესაც უკანასკნელს წარმოადგენენ, უკიდურეს შემთხვევაში მეორე დღეს არ უნდა გადააცილოს.

სოფლის საბჭოს მიერ შრომის ხელშეკრულების აღნუსხვა გამოიხატება დაწესებული ფორმით სარეგისტრაციო დავთარში საჭირო ცნობების შეტანაში.

16. შრომის ხელშეკრულება (წერილობითი შეთანხმება) სდგება ორ ცალად და მას ხელს აწერს ორივე მხარე ე. ი. დამქირავებელი და დაქირავებული. აღნუსხვის შემდეგ დაქირავების (შეთანხმების) ერთი ცალი ეძლევა ხელზე დამქირავებელს, მეორე კი დაქირავებულ მწყემს, ან მენახირეს.

შენიშვნა 1: ორივე მხარეების დამქირავებლისა და დაქირავებულის წერა-კითხვის უცოდინარობის შემთხვევებში, ან ერთი მათგანის (დამქირავებლის ან დაქირავებულის) ხელწერის ნაცვლად შრომის ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ პირობითი ნიშნის დასმა, მასთან პირობითი აღნიშვნები უნდა დადასტურებული იქნეს სოფლის საბჭოს მიერ, რაზედაც უკანასკნელს არა აქვს არავითარი უფლება გადაახდევინოს რომელიმე მხარეს რაიმე საფასური.

შენიშვნა 2: თუ წერა-კითხვის უცოდინარმა მხარემ, რომელიც სდებს ხელშეკრულებას, უკანასკნელის აღნუსხვის დროს მოითხოვა მისი წაკითხვა სოფლის საბჭოს წარმომადგენელი ვალდებულია წაიკითხოს იგი მხარეთათვის გასაცნობად.

17. მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების შესახებ დადებული წერილობითი პირობას კანონიერი ძალა ეძლევა იმ დროიდან, როცა მას ორივე მხარეები ხელს მოაწერენ.

(გაგრძელება იქნება)

ა.-კ. შრომის სახ. კომისარი **იაშვილი.**
საერთო საორგ. გან. გამგე **მელნიკოვი.**
შეთანხმებულია ა.-კ. პ. კ. ს.-თან **იაკუბოვიჩი.**
შ

იურიდიული დახმარება

მედსანშრომის კავშირის წევრს (წიგნ. № 7234)

პასუხი

სრულიად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წლის 22 სექტემბრის დადგენილება № 63-ის ძალით, შვილად-აყვანილნი სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, როგორც ნამდვილი შვილები. მაშასადამე, თქვენ როგორც ჩასიძებული, მიწის კოდექსის მე-40 მუხლის და მის შენიშვნის თანახმად, ითვლებით კომლის კანონიერ წევრად და სარგებლობთ კომლის წევრის ყველა უფლებებით.

რაც შეეხება თქვენი საკუთარი საშუალებებით შეძენილ ქონებას, ის თქვენ საკუთრებას შეადგენს და მიწის კოდექსის მე-51 მუხლის ძალით საერთო გასაყოფ ქონებიდან გამოირიცხება. ამიტომ თქვენ სიმამრს არა ჰქონდა უფლება გაეყიდა თქვენი ხარები.

რაც შეეხება გამოყოფას, თქვენ როგორც კომლის კანონიერ წევრს ამის უფლება გაქვთ.

პასუხი

საიდან და რა წესით უნდა მიეცეთ ერთდროული დახმარება ან და ბავშვის საკვები დახმარება დაზღვეულ ოჯახის წევრებს, როდესაც ეს უკანასკნელი ცხოვრობენ ცალკედ.

ზუგდიდის მაზრის მცხოვრებს ს. დარჩიას

პასუხი

ზემოხსენებულ შემთხვევებში ბავშვის მოსავლელად ერთდროული დახმარება და მისი საკვები პერიოდული (ყოველთვიური) დახმარება გაიცემა. ბავშვის დაბადების და საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, ხოლო დასამარხი დახმარება კი ოჯახის წევრების გარდაცვალების ადგილის მიხედვით. დახმარებას გასცემს ის დამზღვევი სალარო, რომლის მოქმედების რაიონში ცხოვრობენ დაზღვეულის ოჯახის წევრები და იმ ნორმით, რაც დაწესებულია აღნიშნული რაიონისათვის. დახმარების მისაღებად საჭიროა დამზღვევ სალაროს წარედგინოს საბუთი იმის შესახებ, რომ მთხოვნელი ნამდვილად იმყოფება დაზღვეულის კმაყოფაზე. ამ საბუთზე კეთდება აღნიშვნები დახმარების გაცემის შესახებ (იხ. ა. კავ. შრომის სახკომატის 1926 წ. 2 მარტის ცირკულიარი № 9. გამოქვეყნებულია „შრომის კანონმდებლობის“ მოამბე № 5-ში 1926 წ. 15 მარტიდან).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. რემედ.** ცეკა იტყობინება რომ დღეს 16 ივლისს, საღამოს ექვს საათზე **შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.**

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. ბიურო** კოლექტივი იტყობინება, რომ უნივერსიტეტის შენობაში დღეს 16 ივლისს, 6 საათზე **მოწვეულია კ. კავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება.** წინადადება ეძლევა ქალაქში დარჩენილ კომკავშირის წევრებს გამოცხადდენ აღნიშნულ დროისათვის.

— **საქ. კ. პ. (ბ) თ. კ. საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ საალრიცხვო - განმანაწილ. განყოფილებაში (ოთახი № 34) ამხ. **თარხანოვთან.**

ლევშიცი ბორის გრიგოლისძე, ანტონოვი პეტრე, გელაშვილი ნიკოლოზ ტარასისძე, ყურულოვი ივანე დავითისძე, ქილიფთარი ივანე იოსებისძე, გრიგორიანი სარქის გალუსტისძე, ელიაშვილი ნიკოლოზ პავლესძე, გელაშვილი შალვა ტარასისძე, კაციტაძე ქრისტეფორე ნესტორისძე.

უზომო მწუხარებაში მყოფი დედა ნინა და მამა ნესტორი არჩვაძენი, ბებია ოლია, ბაბუა მიხა და ბიძა სერგო ჯანაშიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ მათთვის უძვირფასესის და უსაყვარლეს მუდამ ჟამს დაუვიწყარი

თინათინი ნესტორის ასულ
არჩვაძის

უდროვოდ გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება ნეკრასოვის ქ. № 1 (კარლ მარქსის მოედანზე) შაბათს 16 ივლისს, საღამოს 5 საათზე; დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. 3336

ანონსი: სამშაბათი, 19 ივლისიდან ანონსი:
„ეთერი“ (სახელმწ. ოპერის ბაღში)
კინო-თეატრებში ერთსადაიმავე დროს
„აპოლო“ (არტოს ბაღში)
საუკეთესო მხატვრულ-ისტორიული სურათი
„ტარას ტრიასილო“
დადგმა რეჟის. ჩარდინინის
ოპერატორი ზაველიევი
მხატვარი-ხუროთმოძღვარი პროფ. კრიჩევსკი
საუკეთესო დადგმა. | წარმტაცი სიუჟეტი.
სალარო ღიაა საღამ. 7 საათიდან.
1-ლი სეანსის დასაწყისი საღამ. 8 საათზე.
ნ. 1458

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“, პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი) (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—22

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)
პირველად თბილისში!
მარიონ დევისი მხატვრულ შედევრში
„მეფის ბრძანებით“
სიმებიანი ორკესტრი მ. ბელსკის ხელმძღვანელობით.

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)
უცხოეთის მხატვრული ახალი სურათი
„ლიუსეტა“
სიმებიანი ორკესტრი. სალარო ღიაა საღ. 7 საათ.

აპოლო (არტოს ბაღში).
სეზონის ერთი საუკეთესო სურათთაგანი
„სამთა სიყვარული“
დადგმა რეჟ. ა. რომის, სცენარი შელოვსკის. მთავარ როლებში: ქმარი—ბატალოვი, ცოლი—ა. სემიონოვა, მესამე—ფოგელი.
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღში შესვლა უფასოა.
0—13 ნ. 1388
ანონსი: სამშაბათიდან კინო-თეატრებში—ეთერში და აპოლოში „ტარას ტრიასილო“

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი:
1 წლით . . 10 მან.
1/2 წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
(ყოფ. ბაღი „სტელლა“)
ალმასკომის
(ყოფ. სოლოლაკის) ქ. 13

დღეს, 16 ივლისს ერთი სასწრაფო სიმფონიური კონცერტი
1-ლი შრომის კოლექტივისა, რესპ. დამსახ. მსახ. ი. ფალიაშვილის ხელმძ. და სახ. ოპერის მსახ. ო. გ. გილბერტის (სიმღერა) მონაწილ.
1-ლ განყოფილების პროგრამაში შედის ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოები, ხოლო მე-2 განყოფილებაში—დასავლეთ ევროპის კომპოზიტორების ნაწარმოები.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყ. საღ. 9 საათზე.
უამინდობის შემთხვევაში კონცერტი არ გადაიდება. მოწაფეთა და სტუდენტების ბილეთების (30 კაპ.) აღების დროს საჭიროა მოწმობის წარდგენა კანტორაში. ბაღში—კინო. კონცერტზე აღებული ბილ-ბით შეიძლება კინოში და ბაღში შესვლა

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან
არსებულ ა-კ. სატრან. სამომხმ. საზოგ.
(ზაკტპო) ბუფეტში კვირიდან 17 ივლისს
დაიწყება სადილების გაცემა ბაღში.
სადილი ორი კერძიდან პურით ეღირება 60 კაპ.
სამზარეულო გამოცდილი კულინარის მეთვალყურეობის ქვეშ.
ბუფეტი ამავე რიცხვიდან ღია იქნება საქმიან დღეებში დღის 12 საათიდან ღამის 2 საათამდე და უქმე დღეებში დილის 10 საათიდან ღამის 2 საათამდე.
2—1 ნ. 1456 ა-კ. სატრ. სამომხ. საზოგ. გამგეობა.

დაიკარგა პარტ. ბილეთი № 0853017 პირადობის მოწმობა, ნებართვა იარაღის ტარებისა და საკრედიტო ამხ. წევრობის მოწმობა გიორგი ფიდოს-ძე ბალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3335

დაიკარგა მოწითანო მაძებარი „ტრიზორა“. მნახველს ვთხოვ მაცნობოს ხიდისთავის ქ. № 18 ერმინე სოროდიას, მნახველი მიიღებს სათანადო საჩუქარს. 3332

დაიკარგა ფულის ქვითარი 15 მარტის თარიღით მოცემული კოკის ს. ს. საკრ. ამხანაგობიდან მელიტონ შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 3338

დაიკარგა განათლების მუშათა კავშირის საწევრო წიგნაკი, გაცემული ელენე მერაბის ასულ წულუკიძის სახელზე, ჩ. გ. 3339

დაიკარგა მოწმობა მე-2 საღამოს ტეხნიკუმის გათავებია შესახებ გიორგი ამირაგოვის სახელზე, ჩ. გ. 3337

დაიკარგა ქ. ახალ სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმის ჰუმანიტარული განყოფილების კურსდამთავრების მოწმობა № 323, გაცემული 1924 წ. 15 სექტემბერს იოანე ბესარიონის-ძე ცხომარიას სახელზე, ჩ. გ. 3342

დაიკარგა დროებითი მოწმობა ახალაბაშის ცხრაწლედის დამთავრების შესახებ გალაქტიონ გვაზავას სახელზე, ჩ. ბ. 3342

დაიკარგა პირადობის მოწმობა და ნუსხა, მოცემული ქ. ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მიერ, ალექსი უგრეხელიძის სახელზე, ჩ. გ. 3340

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბილეთი № 11 | 8 ალექსანდრე ოჩიგავას სახელზე, ჩ. გ. 3343

დაიკარგა საალრიცხვო პირადობის ბარათი № 1640 | 10, გაცემული ქობლიანის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ სანდრო ნარიმანაშვილის სახელზე ჩ. გ. 3343

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ფურცელი № 132, გაცემული ხაშურის სამხ. მაგიდის გამგის მიერ 1924 წ. 12 თებ. შალიკო ლაქოშვილის სახელზე, ჩ. გ. 3343

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.